

240
1949
საქართველოს
სსრ მეცნიერებათა
აკადემია

ს ა ქ ა რ ტ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ი ა ბ ა თ ა ა ქ ა დ ე მ ი ა
А К А Д Е М И Я Н А У К Г Р У З И Н С К О Й С С Р

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ ო ე მ ბ ე

В Е С Т Н И К

Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. Джанашиа

4602

XIV-A



ს ა ქ ა რ ტ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ი ა ბ ა თ ა ა ქ ა დ ე მ ი ა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი

1949

Тбилиси

შინაარსი — Содержание

83-

1. მ. ფოფხაძე. საქართველოს ცარცისა და პალეოგენის მხარეთეხიანები	1
М. В. Попхадзе. Меловые и полеогеновые плеченогие Грузии	95
2. ი. ჩხიკვიშვილი. საქართველოს ფრინველები	109
И. Д. Чхиквишвили. Птицы Грузии	137
3. ვ. პაპავა. კავკასიის კოწახურები	137
В. И. Папава. Барбарисы Кавказа	157
4. И. В. Дылевская. Материалы к познанию листовельных мхов Грузии	163
ი. დილევსკაია. მასალები საქართველოს ლერფოთლიანი ხავსების შესწავლისათვის	200
5. ტ. ანჩაბაძე. მასალები ქალაქდამშლელი სოკოების შესწავლისათვის	201
Т. Т. Анчабадзе. Материалы к изучению бумаго-разрушающих грибов	208

დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად.
სარედ.-საგამომც. საბჭ. დადგენილებით.

*

რედაქტორი პ. შეტრეველი
ტექნორედაქტორი კ. აბუანაძე

*

სტამბის შიკვითის № 424. უფ 04502.
ტირაჟი 500. ხელმოწერილია დასაბეჭდ.
28/VI-49 წ. ქალაქის ზომა 74×105.
საბეჭდ. ფურც. 14. სააღრიცხვო საგა-
მომცემლო ფურცელი 18.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-
ბული პოლიგრაფიისა და გამომცემლო-
ბეების საქმეთა სამმართველო. 1-ლი სტამბა,
ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Управления по делам
полиграфии и издательства при Совете
Министров Грузинской ССР,
ул. Орджоникидзе № 50

მ. ფოფხაძე

საქართველოს ტარცისა და პალეოგენის მხარტფეხიანები

ნაწილი I

წინასიტყვაობა

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების კოლექციებში ცარცულ და მესამეულ მხარტფეხიანთა დაუმუშავებელი მასალის არსებობამ წამოჭრა მათი განსაზღვრის საკითხი, რაც მე დამევალა.

მასალის შესწავლის შემდეგ ბუნებრივად დაისვა საკითხი მხარტფეხიანთა სტრატეგრაფიული ღირებულების შესახებ. ამისათვის საჭიროდ ვცანი დაკვირვებების წარმოება ველზე კრილების ასაწერად და ნამარხების შრე-შრეზე დასაგროვებლად.

საქართველოს ცარცული და პალეოგენური ნაღებები საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდა მხარტფეხიანებით, რაც არ შეესაბამება მათი შესწავლის საქმეს. ლიტერატურულ წყაროებში საქართველოს მხარტფეხიანთა აღწერა და დასურათება ძალიან იშვიათია; მკვლევართა მიერ მოყვანილ სიებზე დაყრდნობა კი, ცხადია, ყოველთვის როდი შეიძლება. გარდა ამისა, ლიტერატურულ წყაროებში, ხშირად, საქართველოს მხარტფეხიანები მხოლოდ გვარებით იხსენიებიან, რაც აგრეთვე მათ შესწავლელობაზე მიუთითებს.

პირველი შრომა დას. საქართველოს ქვედა ცარცის მხარტფეხიანთა შესახებ ეკუთვნის ქ. ნუცუბიძეს, რომელმაც ამ ნამარხთა შესწავლის მიმართულებით საინტერესო მუშაობა ჩაატარა [10].

ჩემს შრომაში აღწერილია საქართველოს ცარცულ და მესამეულ მხარტფეხიანთა საკმაოდ დიდი რაოდენობა [იხ. თანდართული ცხრილი], როგორც საკუთარი, ისე მუზეუმში დაცულ კოლექციებიდან. სამწუხაროდ, „მოამბის“ შეზღუდული მოცულობის გამო, იძულებული ვავხდი სტრატეგრაფიული ნაწილი და დასკვნები მხარტფეხიანთა სტრატეგრაფიული ღირებულების შესახებ ამომელო შრომიდან, რაც, ცხადია, მთლიანობას უკარგავს მას. ვიმედოვნებ, რომ შრომის ამ ნაწილის ვრცლად გამოქვეყნებაც არ დაყოვნდება; მოკლე დასკვნები ამ ნაწილიდან მოთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში [12].

შესწავლილი მასალა პალეონტოლოგიურად მდიდარი აღმოჩნდა: საქართველოს ცარცული და მესამეული მხარტფეხიანები ჩემს ხელთ არსებული მასალების მიხედვით თავსდებათ 10 გვარში და 94 სახეს შეიცავენ; ამათგან 15 ახალი სახე და სახესხვაობაა. თითქმის ყველა ახალი სახე და სახესხვაობა დასურათებულია. დასურათებულია აგრეთვე, ზოგიერთი, საქართველოსათვის აქამდე უცნობი ან იშვიათი ფორმა.

სიამოვნებით აღვნიშნავ აწ განსვენებულ ივ. რუხაძის, ივ. კაქარავას, დ. კაქარავას, პ. გამყრელიძის, გ. ჩხოტუას, ე. ვახანიას, მ. ერისთავის და იმ სხვა პირთა თავაზიანობას, რომელთაც გადმომცეს მხარტფეხიანთა მასალა სტრატეგრაფიული ცნობებით. ასევე თავაზიანობით ნ. კანდელაკმა, ქ. ნუცუბიძემ და მ. ერისთავმა გადმომცეს შესადარებლად და გამოსაყენებლად მათი, იმჟამად გამოუქვეყნებელი, მასალები.

თემის დამუშავების დროს რჩევისათვის არა ერთჯერ მიმმართავს პროფ. ი. კაქარავასა და პროფ. ლ. დავითაშვილისათვის.

მუშაობის პროცესში მე მუდმივად ვსარგებლობდი ყურადღებით საქართველოს სახ. მუზეუმის დირექციისა და გეოლოგიის განყოფილების მეცნიერთანამშრომლების მხრივ. ვსარგებლობდი საქართველოს მუზეუმის, გეოლოგიური ინსტიტუტის და საქნავთის ბიბლიოთეკებით, გეოლოგიური სამმართველოს საფონდო მასალებით და საქართველოს მუზეუმის ფოტო-ლაბორატორიის და მხატვარ მ. ხუციშვილის დახმარებით. ზემოთ ჩამოთვლილ პირთა და ორგანიზაციათაგან ძლიერ დავალებული ვარ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

პალეონტოლოგიური ნაწილი

ოჯახი *Rhynchonellidae* Gray

გვარი *Rhynchonella* Fischer

ჯგუფი *Rhynchonella corallina* Leym

Rhynchonella valangiensis de Lor.

1847. *Rhynchonella Agassizii*, d'Orbigny [58] გვ. 17 ტაბ. 494, სურ. 1-4.
1913. *Rhynchonella valangiensis*, Jacob et Fallot [54]. გვ. 51. ტაბ. 7, სურ. 1-4.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	18 მმ	16 მმ	15 მმ
სიგანე	22 "	20 "	17,5 "
სისქე	13 "	12 "	10,5 "

აღწერა.—ნივთი საშუალოდანი ფორმისაა, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი; ზურგის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე მუცლის; მუცლის საგდულს ნივთის შუა ნაწილიდან მიუყვება საკმაოდ ღრმა სინუსი, რომელშიც 4—5 წიბოა; ზურგის საგდული ქედიანია. თითოეული საგდულის წიბოთა რიცხვი 20—26 უდრის. წიბოები მახვილია. ზოგ ნიშნებს გლუვი თხემი აქვს, ზოგს კი წიბოთა არსებობის ნიშანი ატყვია. თხემს ქვემოთ წიბოები საკმაოდ რელიეფური არიან. გვერდის კომისური სწორია, ოდნავ გაღუნული მუცლის საგდულისკენ და აწეული; შუბლის კომისური—ასიმეტრიული. ნივთის ერთი მხარე აწეულია და ერთი დაწეული. თხემი ამართულია, წვეტიანი, პატარა კარგად შემოფარგლული კიდეებით. ფორამენი პატარაა.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუში წიბოების მოყვანილობით და განლაგებით, ღრმა სინუსით, სწორი გვერდის კომისურით, აწეული გვერდებით, ასიმეტრიული შუბლის კომისურით, წვეტიანი ამართული თხემით, სიფართოთ და ნივთის საერთო იერით ძლიერა ჰგავს ჟაკობისა და ფალოს მიერ აღწერილ და დასურათებულ *Rh. valangiensis* de Lor.-ს. მსგავსებას განსაკუთრებით აძლიერებს ზურგის საგდულის თხემქვეშა ძლიერი გამობურცულობა. აღწერილი ნიმუში წააგავს აგრეთვე *Rh. multiformis* Roem. var. *contractoides* Jac. et Fall.-ს (54. გვ. 53, ტაბ. VII, სურ. 8—10), მაგრამ უკანასკნელი ძლიერ ბრტყელი და თხელი ფორმაა და უფრო მკვეთრი მოკაზმულობაც ახასიათებს.



სადაურობა.—ქიათურის რაიონი. ქვ. ცარცული კირქვები. რაჭა. ს. შქმერის ვალანჯინური კირქვები [7]. ბზიფის ხეობა. ბერიასული კირქვები [2; 3].

გავრცელება.—საფრანგეთი. ზედა ვალანჯინური (ქაკობი და ფალო).

კოლექცია.—ჩიტიასი (ქიათურის რაიონი); მ. ერისთავის (ს. შქმერიდან), ი. კაპარავასი (აფხაზეთიდან).

რიცხვი.—6.

Rhynchonella multiformis Roem.

1899. *Terebratula multiformis*, Roem. Nordd. Ool. Suppl., p. 19, t. 18, t. 8.

1907. *Rhynchonella multiformis*, Каракаш [22]. გვ. 210, ტაბ. 20, სურ. 20a—20б.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	10,5 მმ
სიგანე	10 "
სისქე	6 "

აღწერა.—ძლიერ პატარა ტანის ნიმუშია, ალბათ, ზრდადაუმთავრებელი. ნიჟარის სიგრძე-სიგანე თითქმის თანაბარია. ასევე თანაბარია აგრეთვე საგდულთა გამობურცულობაც, ზურგის საგდული ოდნავ მეტად გამობურცულია, სახელდობრ თხემის მიდამოებში; მთლიანად ფორმა უფრო ბრტყელია, ვიდრე გამობურცული. თითოეულ საგდულზე წიბოთა რიცხვი 22-ს უდრის, წიბოები თხემთან წვრილი, თითქმის მიმჭარალია და შემდეგ თანდათან მატულობენ სისქეს, თუმცა ზომიერად. შუბლის კიდესთან წიბოები შედარებით დაცილებული არიან ერთმეორისაგან. მუცლის საგდულს შუბლის კიდის მახლობლად ემჩნევა ორი-სამი კარგად გამოსახული კონცენტრული ზრდის ხაზი; ზურგის საგდულზე მხოლოდ ერთი ზრდის ხაზი ჩანს და ისიც ნაწიბურივით მიუყვება შუბლის კიდეს. გვერდის კომისური სწორია, შუბლის კომისური მორგავალე-ბული, შუაში ოდნავ ჩაზნექილი და გვერდებზე აწეული (ორიენტაცია მუცლის საგდულის მხრიდან). თხემი ამართულია, ფორამენი სიგრძე ოვალური. ჩანს ერთი დელტიდიალური ფირფიტა, მეორე დაზიანებულია.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუში საერთო მოყვანილობით, ზომით, წიბოთა რიცხვით, ზრდის ხაზებით, თხემის მოყვანილობით და აგრეთვე სხვა ნიშან-თვისებებით ჰგავს კარაკაშის მიერ დასურათებულ და აღწერილ ნიმუშს. სამწუხაროდ როემერის ფორმებთან შედარების საშუალება არა მქონდა. კარაკაშის მიერ აღწერილი ფორმა, როგორც ჩანს, ზრდადაუმთავრებელია; კარაკაშს დასურათებული და აღწერილი აქვს ამავე სახის სხვა ნიმუშები (22. გვ. 210, ტაბ. XXI, სურ. 14 და სხვ.), რომლებთანაც ჩემი ნიმუშები არ შემიდარებია, რადგან ისინი, ალბათ, ზრდადამთავრებულ ფორ-

შებს წარმოადგენენ. რაც შეეხება ტაბ. XX, სურ. 8-ზე გამოსახულ ნიმუშს, საეპეო არის, რომ ის ზემოფაღნიშნულ სახეს ეკუთვნოდეს. თვით კარაკაშის (22. გვ. 211) გარკვეულად აღნიშნავს ამ ნიმუშზე, რომ ის *Rh. Gibbiana* Sow.-ს უახლოვდება. კარაკაშის მიერ სინონიმიკაში შეტანილია მის მიერვე *Rh. multiformis*-ად აღწერილი ნიმუში [21. გვ. 87, ტაბ. 1, სურ. 1], რომელიც მე არ შემიტანია სინონიმიკაში, რადგან მას *Rh. multiformis* Roem. var. *typica* Renn.-ს ვაკუთვნებ.

სადაურობა.—ს. გუმბრის ზედა აპტური მონაცრისფრო, ოდნავ ქვიშიანი მერგელები. აფხაზეთი. ვაგრა. ბარემული [15; 16].

გავრცელება.—ყირიმი ს. ბიასალის, ს. ჩოკურჩის და ს. ბიტაკის ბარემულში (კარაკაშის); ასის რაიონი, ქვედა ბარემული [32]; სამხრეთ ჰანოვერის ნეოკომური (როემერი); საფრანგეთი. ნეშატელის იურის ზედა ვალანტინური მერგელები და სხვა... (ეაკობი და ფალო).

კოლექცია.—მ. ფოფხადის (გუმბრიდან), ე. ვახანიასი (გაგრიდან). რიცხვი.—2.

Rhynchonella multiformis Roem. var. *typica* Renng.

1895. *Rhynchonella multiformis*, Каракаш [21] გვ. 87, ტაბ. 1, სურ. 1.

1926. *Rh. multiformis*, Roem. var. *typica*, Реннгартен [32] გვ. 85, ტაბ. 8, სურ. 8.

ზომები

სიგრძე	12 მმ	12 მმ	12 მმ
სიგანე	13 "	12 "	12,5 "
სისქე	ერთი საგდულია, ერთი საგდულია		8,5 "

კოლექციაში ოთხი ნიმუშია, სამი მათგანი მხოლოდ მუცლის საგდულითაა წარმოდგენილი, მეოთხე ორივე საგდულითაა, მაგრამ შუბლის კიდესთან დაზიანებულია.

აღწერა.—ნიჟარა სამკუთხოვანი ფორმისაა, უმეტეს შემთხვევაში განიქარბობს სიგრძეს, ზოგჯერ კი სიგრძე-სიგანე თანაბარია. უდიდესი სიგანე საგდულს შუბლის კიდის მახლობლად აქვს. მთლიან ნიმუშზე ზურგის საგდული ოდნავ უფრო გამოზურცულია. მუცლის საგდულს ნიჟარის შუა ნაწილიდან მიუყვება სინუსი, რომელიც 6 წიბოა. წიბოთა რიცხვი საგდულზე 24—25-ს უდრის. წიბოები წვრილია და ხშირი, თხემთან წიბოები შეუიარაღებელი თვალით უჩინარია, შემდეგ ისინი ოდნავ მსხვილდება და შუბლთან უკვე საკმაოდ რელიეფურნი და მახვილნი არიან. გვერდის კომისური სწორია და მუცლის საგდულისკენ გაზნეკილი, თხემი ამართულია, ოდნავ გადაღუნული ზურგის საგდულისკენ. ფორამენი პატარაა და მრგვალი. მუცლის საგდულზე კარვად ჩანან დელტიდიური ფირფიტები და კბილები (2 კბილი). მუცლის

საგდულის შიგა მხარეზე შესამჩნევია ადუქტოროთა აღნაბეჭდები და სებტის მკრთალი, მაგრამ საკმაოდ გრძელი აღნაბეჭდი.

მიმოხილვა.—ზემოთ აღწერილი ნიმუშები—ფორმით, ზომებით, წიბოთა მოყვანილობით და რიცხვით, სინუსის არსებობით, სინუსის აქეთ-იქით აწეული კიდეებით, თითქმის აწეული თხემით და კომისურებით ძლიერ ჰგვანან *Rh. multiformis* Roem var. *typica* Renng.-ს. ძლიერ ჰგავს ეს ფორმა აგრეთვე კარაკაშის *Rhynch. multiformis* Roem.-ს, რომელიც რენგარტენის ზემოთ აღნიშნულ სახესხვაობაში შეჰყავს. მსგავსებას განსაკუთრებით ადასტურებენ: სინუსის აქეთ-იქით მდებარე თითო წიბო, რომელთა გამო გვერდები აწეულია, სინუსში მდებარე შედარებით გრძელი 6 წიბო და აგრეთვე ზურგის საგდულისკენ გაზნეპილი სინუსი. *Rh. multiformis* Roem. var. *contractoides* Jac. et Fall.-საც (54. გვ. 53, ტაბ. VII, სურ. 8-10) წააგავან ჩემი და აგრეთვე რენგარტენის ნიმუშებიც, მაგრამ განსხვავდებიან მისგან ნაკლები სისქით. *Rhynchonella valangiensis* de Lor.-საგან (54. გვ. 51, ტაბ. VII, სურ. 1-4) ეს ნიმუშები განსხვავდებიან წვრილი და ხშირი წიბოებით და სიმეტრიული შუბლის კომისურით.

სადაურობა.—წყალტუბო, ურგონული.

გავრცელება.—ჩრდ. კავკასია. ასის რაიონის ბარემული (რენგარტენი). იგივე ავტორი ამ სახესხვაობას აღნიშნავს ჩრდილო გერმანიის პორტრეულში.

კოლექცია.—ი. ხეჩინაშვილის.

რიცხვი.—4.

Rhynchonella multiformis Roem. var. *ardescica* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella multiformis* Roem. var. *ardescica* Jacob et Fallot [54] გვ. 55, ტაბ. 8, სურ. 1-5.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	23 მმ	22 მმ	20,5 მმ	18,5 მმ
სიგანე	23 "	24 "	22 "	19 "
სისქე	17 "	17 "	15 "	15 "

აღწერა.—ნიჟარა ხუთკუთხოვანია, სფერული ერთი შეხედვით, ძლიერ გამოზურტული. ზოგჯერ სიგრძე-სიგანე თანაზომიერია, ზოგჯერ კი სიგანე ჰარბობს სიგრძეს. თითოეულ საგდულზე წიბოთა რიცხვი 20—25-ს უდრის. მუცლის საგდული ნაკლებ გამოზურტულია და ქედია. ქედზე წიბოთა რიცხვი ან იმდენია, რამდენიც სინუსში, ან ერთით მეტი. წიბოები შუბლის კიდესთან უფრო მსხვილი არიან, თხემისაკენ ისინი თანდათან წვრილდებიან და ზოგჯერ ულუბოდ უჩინარნი არიან. კარგნები გლუვია. წიბოები და წიბოთშორისი ლარები მკვეთრია და თითქმის თანაზომიერი. წიბოები მეტ-ნაკლებად მახვილია. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ მუცლის

საგდულისკენ გაზნეკილი და ბოლოს სწორი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისაკენ. შუბლის კომისური კუთხოვანია, ტალღებრივი. შუბლის კიდე მეტ-ნაკლებად ასიმეტრიულია. თხემი მოლუნულია, საშუალო ზომისა ან დიდი, წვეტიანი. თხემის გვერდები მორგვალეულია; ფორამენი სივრცით ოვალურია, დელტიდოუმი არა ჩანს.

მიმოხილვა. — ზემოთ აღწერილი ფორმა *Rhynchonella corallina* Leym.-ის ჯგუფს ეკუთვნის, რასაც ადასტურებს: დიდი, ან საშუალო ზომის მოლუნული, წვეტიანი თხემი, მაგრამ არა ფრინველის ნისკარტისებრი, კარგად განვითარებული, მკაფიო წიბოები, კარგნებთან გამჭრალი წიბოები, ზოგჯერ მორგვალეული კარგნები.

განსხვავდება ამ ჯგუფისაგან უფრო სუსტი ფორამენით; ეს კი, ვფიქრობ, არსებითი არ უნდა იყოს, ვინაიდან თვით ქაქობი და ფალოც აღნიშნავენ ამ ჯგუფის რინქონელათა ცვალებას ფაციესების გავლენით, მაგალითად: კუთხოვანი კარგნების მორგვალეულით შეცვლას და სხვა. აღწერილი ფორმა ამ ჯგუფიდან ჰგავს *Rhynchonella multiformis* Roem. var. *ardescica* Jacob et Fallot-ს და *Rhynchonella sulcata* (Parkinson) David-ს (54. გვ. 66, ტაბ. IX, სურ. 18—24). უკანასკნელს ჰგავს: მოლუნული თხემით, მახვილი წიბოებით, მკაფიო ღარებით, შუბლის ასიმეტრიულობით და სხვა... განსხვავდება მისგან: სიფართით და მოყვანილობით, სახელდობრ *Rh. sulcata* შესამჩნევად უფრო ფართო ფორმაა, რის გამო მისი მოყვანილობა განივ ოვალურია, გვერდები ფრთხილად გაშლილი აქვს და, გარდა ამისა, უფრო ბრტყელიცაა (გარდა ტაბ. XI, სურ. 14—15-ისა). ასეთი მოყვანილობის გამო მისი თხემი უფრო კუთხოვანად გამოიყურება. წიბოთა რიცხვი როგორც ქაქობისა და ფალოს, ისე დ'ორბინის მიერ მოცემულ დასურათების მიხედვით (58, ტაბ. 495, სურ. 1-7) სხვაობა თითქმის არ უნდა იყოს (ჩემს ნიმუშებზე 28 წიბოა, ქაქობისა და ფალოს სურათებზე—30, დ'ორბინის—35), მაგრამ დ'ორბინი *Rh. sulcata*-ს 60 წიბოიანად ახასიათებს, რაც დიდ განსხვავებას წარმოადგენს. ჩემს ნიმუშებს არ ახასიათებს აგრეთვე მოკვეცილი შუბლის მხარე, რაზედაც დ'ორბინი მიუთითებს.

რაც შეეხება *Rh. multiformis* Roem. var. *ardescica* Jac. et Fall.-ს მათ ჩემი ნიმუშები უფრო მეტად ჰგვანან. სახელდობრ — ორივეს ახასიათებთ: მორგვალეულ-გამობურცული მოყვანილობა, უფრო მეტად გამობურცული ზურგის საგდული, მახვილი წიბოები, წიბოთშორისი ღარების და წიბოების თითქმის თანაბარი ზომა, წიბოთა თანაბარი რიცხვი, შუბლის კიდესთან ზურგის და მუცლის საგდულთა ერთი მეორეში შეუმჩნეველი გადასვლა, კარგად გამოსახული ტალღებრივი და კუთხოვანი შუბლის კომისური, სინუსში და ქედზე 6—8 წიბო, სუსტად ასიმეტრიული შუბლი, მოლუნული თხემი, უწიბო კარგნები, სივრცით ოვალური ფორამენი, შესატყვისი ზომები და სხვა.

სადლორობა. — აფხაზეთი. ბზიდის მარჯვ. ნაპირი, აბტურ კირქვებიდან [3].



გავრცელება.—საფრანგეთი. ზ. ჰოტრიველი კირქვები (ქაკობი და ფალო).

კოლექცია.—ი. კაპარავისი.

რიცხვი.—16.

Rhynchonella multiformis Roem. var. *sub-ardescica* n. var.

ტაბ. 2, სურ. 3.

პოლოტიპი № 122-52 ინახება საქ. მუზ.-ის გეოლოგ. განც.-ში.

ზომები

სიგრძე	24 მმ	23,5 მმ	21,5 მმ
სიგანე	26 „	24 „	23 „
სისქე	18 „	18 „	17 „

აღწერა.—ნიჟარა თითქმის მრგვალია, დაკვირვების შემდეგ ისახება მისი ხუთკუთხოვანი მოხაზულობა. ნიჟარა ძლიერ გამოზურცულია, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი. მუცლის საგდული სინუსიანია, ზურგის—ცხადლ ქედანი და უფრო გამოზურცული. წიბოთა რიცხვი თითოეულ საგდულზე 12—15-ს უდრის, სინუსში და ქედზე კი—3—4-ს. წიბოები მსხვილნი და მკვეთრი არიან, ზოგიერთ ნიმუშზე წიბოები მახვილია, ზოგზე მორგვალეების მიდრეკილება აქვთ, თუმცა საგსებით მრგვალი წიბო არცერთ ნიმუშს არ აქვს. შუალა წიბოებს (სინუსში და ქედზე) სულ მცირე ხარვეზის შემდეგ მოსდევენ გვერდის წიბოები, რომელნიც უფრო მოკლენი არიან და გვერდებიც ამ ადგილას ფრთისებრ გაწეულია, რის გამო უდიდესი სიფართო ნიჟარას სწორედ ამ გვერდის წიბოთა დამთავრების ადგილას აქვს, ე. ი. შუაში. თხემის ნაწილი გლუვია, შემდეგ შესამჩნევია წერილი წიბოები, რომელნიც თანდათან მსხვილდებიან და ბოლოს შუბლის კიდესთან ისინი საკმაოდ მსხვილნი არიან. ნიჟარა იმდენად მრგვალია, რომ საგდულთა ერთი მეორეში გადასვლა თითქმის შეუძნეველია. მუცლის საგდულის სინუსი კარგად არის გამოსახული, შუბლის კომისური კუთხოვანია, გვერდის კომისური ჯერ სწორი, შემდეგ გაზნეწილი მუცლის საგდულისკენ და ბოლოს ბლაგვი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისკენ. თხემი საშუალო ზომისაა, ან შედარებით დიდი, მოლუნული, მორგვალეული გვერდებით; ფორამენი პატარაა და ოვალური.

მიმოხილვა.—აღნიშნული ნიმუშები ყველა ნიშან-თვისებით: მოლუნული თხემით, პატარა და ოვალური ფორამენით, ნიჟარის გამოზურცულობით, სინუსით და ქედით, კომისურების მოყვანილობით და სხვა ნიშნებით საგსებით შესატყვისნი არიან *Rh. multiformis* Roem. var. *ardescica* Jacob et Fallois-ის (54. ტაბ. VIII, სურ. 1-5). განსხვავება ჩინს მხოლოდ წიბოთა რიცხვში და სისქეში, სახელდობრ—უკანასკნელის წიბოთა მაქსიმალური რიცხვი 28-ს, ხოლო მინიმალური—22 ს უდრის. ზემოთ აღწერილ ნიმუშებზე კი—წიბოთა რიცხვი 15-ს უდრის. რიცხვის შემცირების ხარჯზე წიბოები ძლიერ

გამსხვილებულნი არიან და ამის გამო ნიჟარის გამობურცულობაც შედარებით გაზრდილია. დაკვირვება წიბოთა ხასიათზე მაფიქრებინებს, რომ ჩემი ნიმუშები ენათესავეებიან ზემოთ დასახელებულ სახესხვაობას. ასეთი ფორმების არსებობა ზედმეტად ადასტურებს, რომ *Rhynchonella multiformis* Roem. წვრილ და მრავალ წიბოიან ფორმებთან ერთად შეიცავს მსხვილ და მცირე წიბოიან ფორმებსაც, რომელთაც უაკობისა და ფალოს მიერ აღწერილ სახესხვაობისაგან განსხვავებით პირობითად აღწერ, როგორც *Rh. multiformis* Roem. var. n.

სადაურობა.—ბზიფის მარჯვ. ნაპირი. აპტური კირქვები.

კოლექცია.—ივ. კაჭარავასი.

რიცხვი.—4.

Rhynchonella multiformis Roem. var. *rotundicosta* Jac. et Fall.

1913, *Rhynchonella multiformis* Roem. var. *rotundicosta* Jacob et Fallot [54.] გვ. 56, ტაბ. VIII, სურ. 6-13.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	20 მმ	18 მმ
სიგანე	23 "	20 "
სისქე	13 "	12 "

ჩემ ხელთ ამ სახესხვაობის ოთხი ნიმუშია. ისინი საესებით შესატყვისნი არიან უაკობისა და ფალოს მიერ აღწერილი ფორმების.

სადაურობა.—აფხაზეთი, გაგრა. ქუთაისი. მდ. წყალწითელა და გუმბრის ქვედა აპტური ნაცრისფერი მერგელები.

გავრცელება.—საფრანგეთი. ბარემული.

კოლექცია.—ე. გაბუნიასი (აფხაზეთიდან), სობრიევსკის ((ქუთაისიდან). მ. ფოფხაძის (ს. გუმბრიდან).

რიცხვი.—4.

Rhynchonella multiformis Roem. var. *castellanensis* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella multiformis* Roem. var. *castellanensis* Jacob et Fallot [54.] გვ. 54, ტაბ. VII, სურ. 1-19.

კოლექციაში მხოლოდ ერთი, ნაწილობრივ დეფორმირებული ნიმუშია, რომელიც თავისი მოყვანილობით და ნიშან-თვისებებით ჰგავს უაკობისა და ფალოს მიერ აღწერილ ფორმას, მხოლოდ განსხვავდება მისგან წიბოთა ნაკლები რიცხვით.

სადაურობა.—რაჭა. ს. კვატხეთი. ქვ. ცარცი.

გავრცელება.—საფრანგეთი. პოტრეული.

კოლექცია.—მ. ფოფხაძის.

რიცხვი.—1.

Rhynchonella corallina Leym. var. *neocomiensis* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella corallina* Leym. var. *neozomiensis* Jacob et Fallot [54.] გვ. 50, ტაბ. 6, სურ. 9-11.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	25 მმ	24 მმ
სიგანე	23 "	22 "
სისქე	14 "	13 "

აღწერა.—12 ნიმუშიდან მხოლოდ 6 არის მთლიანი და შედარებით კარგად დაცული, დანარჩენი ნატეხებია და ზოგჯერ ისინიც დეფორმირებული არიან. ნიჟარა სამკუთხოვანია, უფრო გრძელია, ვიდრე ფართო, უდიდესი სისქე შუაში აქვს, ხოლო უდიდესი სიფართოე — შუბლის კიდის მახლობლად. ზურგის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე მუცლის. გვერდის კომისური სწორია, მაგრამ დაკბილული. შუბლის ნაწილი ცხადად ასიმეტრიულია: ნიჟარის ერთი გვერდის სიგრძე 25 მმ უდრის; მეორესი — 23 მმ-ს. მუცლის საგდული სინუსიანია; სინუსი კარგად არის გამოხატული, ზურგის საგდულის ქედი ვერ არის მკვეთრი. წიბოთა რიცხვი საგდულზე 20—25-ს უდრის. წიბოები მკვეთრნი არიან, ისინი თხემიდან დაწყებული შუბლის კიდემდე მიიმართებიან თანდათან გამსხვილებით და ერთი-მეორის დაცილებით. ნიჟარას თხემის მიდამოებში და ოდნავ უფრო ქვემოთაც ზრდის რგოლები ემჩნევა, უფრო ქვემოთ უჩინარნი არიან. თხემი მალაღია, სამკუთხოვანი და წვეტიანი; მუცლის საგდულზე იგი მეტ-ნაკლებად მოხრილია, შემდეგ იმდენად სწორდება, რომ ზურგის საგდულისკენ ის ოდნავაა გადმოხრილი; თხემი მუცლის საგდულზე წიბოიანია; თხემის კიდებზე წიბოები აღარ ჩანან. დელტიდიუმი და ფორამენი ცუდი დაცულობის გამო უჩინარი არიან.

მიმოხილვა.—ზემოთ აღწერილი ნიმუშები ეკუთვნიან *Rh. corallina* Leym.-ის ჯგუფს, რომლის წარმომადგენლებთან მსგავსება გამოიხატება: თხემის მოყვანილობასა და წიბოიანობაში, ნიჟარის ასიმეტრიულობაში, კომისურების მოხაზულობაში, მორთულობაში და საერთო იერში. ამავე ღროს ჩემი ნიმუშები განსხვავდებიან მათგან ნაკლები სიფართოით და ღრმა სინუსით. ამ ჯგუფის სახეებთან ცალ-ცალკე შედარება შემდეგ სურათს იძლევა. *Rhynchonella multififormis* Roem. var. *castellanensis* Jac. et Fall.-სავან (54. გვ. 54, ტაბ. VII, სურ. 1—19) ჩემი ნიმუშები განსხვავდებიან უფრო სამკუთხოვანი თხემით, ნიჟარის სამკუთხოვანი მოყვანილობით, წიბოთა ნაკლები რიცხვით (აღწერილი ნიმუშების წიბოთა რიცხვი თითოეულ საგდულზე 25-ს არ აღემატება, მაშინ როდესაც ამ სახესხვაობას 30 წიბო ახასიათებს), და უდიდესი სიფართოით შუბლის კიდესთან, დასახელებულ სახესხვაობას კი უდიდესი სიფართოე შუბლის კიდიდან საგდულის 1/3-ზე აქვს.

აღწერილი ნიმუშები *Rh. multififormis* Roem.-ს (54. გვ. 52, ტაბ. VIII, სურ. 5—7) ჰგავანან: ცხადად გამოხატული სამკუთხოვანი თხემით, ნიჟარის სამკუთხოვანი ფორმით, უდიდესი სიფართოით შუბლის კიდესთან და

წიბოთა რიცხვით. განსხვავდებიან მათგან ნიჟარის უაღრესად ნათლად გამო-
 სახული ასიმეტრიულობით.

ყველაზე მეტ მსგავსებას აღნიშნული ნიმუშები ამჟღავნებენ *Rh. corallina*
Leym. var. neocomiensis Jac. et Fall.-ის მიმართ, სახელდობრ მსგავსებას
 გამოხატევენ: ძლიერ სამკუთხოვანი თხემი, ნიჟარის სამკუთხოვანი ფორმა,
 წიბოთა თანაბარი რიცხვი, შუბლის კიდეებთან უდიდესი სიფართის არსე-
 ბობა და ასიმეტრიულობა. განსხვავდებიან მათგან უფრო წვეტიანი თხემით
 და შედარებით წვრილი წიბოებით.

სადაღრაობა. — აფხაზეთი. ვალანჯინური კირქვები [3].

გავრცელება. — საფრანგეთი, ვალანჯინურის ზოგუნური კირქვები
 (ქაკობი და ფალო).

კოლექცია. — ივ. კაპარავასი.

რიცხვი. — 12.

Rhynchonella Gibbsiana Sow. var. *Sayni* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella Gibbsiana* Sow. var. *Sayni* Jacob et Fallot. [54].
 გვ. 63, ტაბ. 9, სურ. 1-6.

ზო მ გ ბ ი

სიგრძე	15 მმ	14 მმ	11 მმ
სიგანე	17 "	15 "	11 "
სისქე	11 "	11 "	7 "

აღწერა. — ნიჟარა მორგვალეზულია, გამობურცული, უფრო ფართო,
 ვიდრე გრძელი. უდიდესი სიფართე და სისქე ნიჟარას შუა ნაწილში აქვს.
 თითოეულ საგდულზე წიბოთა რიცხვი 30—35 უდრის. წიბოები წვრილია და
 ხშირი. მუცლის საგდული სინუსიანია, ზურგის—ქედიანი. ცხადად გამოსახული
 სინუსი და ქედი მხოლოდ შუბლის მხრიდანაა, ვინაიდან სისქისა და სიმრგვა-
 ლის გამო სხვა მხრიდან ისინი შეუმჩნეველი არიან. გვერდის კომისური
 სწორია, შუბლის—კუთხოვანი და დაკბილული. თხემი საშუალო ზომისაა,
 მორგვალეზული და სუსტად გადმოღუნული ზურგის საგდულისაკენ.

მიმოხილვა. — ზემოთ აღწერილი ნიმუშები ყველა დამახასიათებელი
 ნიშან-თვისებით ესატყვისებიან *Rh. Gibbsiana* Sow. var. *Sayni* Jacob et
 Fallot-ს. როგორც თვით ქაკობი და ფალოც აღნიშნავენ. ეს სახე თხემით
 და პოყვანილობით *Rh. multififormis* Roem. var. *rotundicosta* Jac. et Fall.-ს
 ჰგავს, განსხვავდება მისგან წიბოთა სიმცირით და უხეშობით; ასეთივე
 მსგავსება-განსხვავება შესამჩნევია ჩემ ნიმუშებსა და ზემოთ აღნიშნულ
 სახესხვაობის შორისაც, რაც ზედმეტად ადასტურებს, რომ ჩემი ნიმუშები
 ნამდვილად *Rh. Gibbsiana* Sow. var. *Sayni* Jac. et Fall.-ს ეკუთვნიან.

აღწერილი ნიმუშები *Rh. Bertheloti* Kil.-საც ჰგავნან (54. გვ. 63,
 ტაბ. IX, სურ. 7-10), მაგრამ განსხვავდებიან მისგან ფორმით. ეს უკანას-
 კნელი უფრო ხუთკუთხოვანი არის და, გარდა ამისა, უდიდესი სიფართეც მას
 შუბლის კიდეებთან ახასიათებს.

რაც შეეხება *Rh. Gibbsiana* Sow.-ს, ის უფრო ნაკლებ გამოზურცული და ნაკლებ მორგვალეზული ფორმაა, შუბლის კომისური მას უფრო ასიმეტრიული აქვს, ვიდრე ჩემს ნიმუშებს და აგრეთვე უაკობი და ფალოს სახესხვაობას, რომელსაც ზემოთ აღწერილი ნიმუშები ეკუთვნიან.

სადაურობა.—ს. კვახპირის აბტური კირქვები. ქუთაისი. წყალწითელას მარჯვ. ნაპირი, მოყვითალო-ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვები (აბტურში გარდამავალი შრეები).

ქუთაისი. წყალწითელას მარცხ. ნაპირი, ნაცრ. მერგ. კირქვები (აბტურში გარდამავალი შრეები).

ს. გუმბრი. ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვები (აბტურში გარდამავალი შრეები).

წყალტუბო. გლავკონტიანი ქვიშაქვები.

გავრცელება.—საფრანგეთი. ბარემული მერგელები (უაკობი და ფალო).

კოლექცია.—მ. ფოფხაძის (ქუთაისიდან, გუმბრიდან); მ. ერისთავის (კვახპირიდან); მ. ფალავასი (წყალტუბოდან).

რიცხვი.—22.

Rhynchonella cf. *Gibbsiana* Sow.

1913. *Rhynchonella Gibbsiana*, Jacob. et Fall. [54.] გვ. 95, ტაბ. VIII, სურ. 22-24.

ზომები

სიგრძე	14 მმ	9 მმ
სიგანე	14 "	9 "
სიქე	10 "	6 "

სიმონოვიჩის და ბაცივიჩის კოლექციაში (კოლ. № 0,69—938) ამ სახის ნიმუშები განსაზღვრულია, როგორც *Rh. difformis* d'Orb.

აღწერა.—ნიჟარა მორგვალეზულია, სამკუთხედის ფორმისაა. ზურგის საგდული მეტი გამოზურცულობისაა, ვიდრე მუცლის. ნიჟარას მიუყვებიან მახვილი, მკვეთრი წიბოები, რომელნიც თხემზე წვრილნი არიან და ახლო-ახლოს, ხოლო ნიჟარის სიგრძის 1/3-ის შემდეგ საკმაოდ დაშორებულნი არიან ერთი-მეორისაგან, ისე, რომ წიბოთაშორისი სივრცეები კარგი გამოსარჩევია. თითოეულ საგდულზე წიბოთა რიცხვი 20-ს უდრის. შესამჩნევია ჩანამატი წიბოები, მაგრამ ეს თხემის მიდამოებიდანვე ხდება. გვერდის კომისური სწორია, შუბლის—ტალღებრივი და ასიმეტრიული, ორივე კომისური დაკბილულია. ორივე საგდულზე თხემის მახლობლად შესამჩნევია თითო ზრდის ხაზი, სხვაგან იგი არსადაა. თხემი სუსტადაა გადმოღუნული ზურგის საგდულისკენ. ფორამენი არა ჩანს. აღწერილი ნიმუშებიდან ერთი ზრდადამთავრებელია, მაგრამ ისეთივე მოყვანილობისაა, როგორც დიდი ნიმუში, მოკაზმულობაც ერთნაირი აქვთ ორივეს, მხოლოდ წიბოები არ არიან ისე მკვეთრად გამოსახულნი, როგორც დიდ ნიმუშზე. საერთოდ ნიჟარა და განსაკუთრებით კი შუბლის ნაწილი ასიმეტრიულია.

მიმოხილვა. — აღნიშნული ნიმუშების შედარებამ *Rhynchonella difformis* d'Orbigny-სთან (90. ტაბ. 498, სურ. 6—9) დამკვიკვა, რომ ძველი განსაზღვრა სწორი იყოს. *Rh. difformis* d'Orb. ძლიერ ასიმეტრიული რინქონელების ჯგუფიდან არის, მას აქვს: ძლიერ ასიმეტრიული პალეალური ნაწილი, საკმაოდ მსხვილი წიბოები და შესამჩნევად უფრო გამოზურცული ზურგის საგდული. სიმონოვიჩის და ბაცევიჩის ნიმუში კი არცერთ ამ ნიშანთვისებათა მატარებელი არ არის.

აღწერილი ნიმუში მოყვანილობით, სუსტად გადმოღუნული თხემით, წიბოების ხასიათით, მოყვანილობით და განლაგებით, შუბლის კიდის შედარებით სუსტი ასიმეტრიით და სხვა ნიშნებით ძლიერ ჰგავს *Rh. Gibbsiana* Sow.-ს. განსხვავება მხოლოდ სიფართოშია. ეს სახე უფრო განიერი, ვიდრე გრძელი ფორმების შემცველია; აღწერილ ნიმუშებს კი თანაბარი სიგრძე-სიგანე აქვთ. შესაძლებელია ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ ორივე ნიმუში ზრდადაღმთავრებულია. ამის დაბეჯითებით თქმა მასალის უკმარობის გამო შეუძლებელია და ამიტომ მათ აღვწერ, როგორც *Rh. cf. Gibbsiana* Sow.-ს.

სად აურობა. — მდ. წყალწითელას ნაპირი ქ. ქუთაისთან. ნეოკომური ნალექები [35].

გავრცელება. — სამხ. აღმ. საფრანგეთის ბარემული (ეაკობი და ფალო) ჩრდ. კავკასია. სოფ. დეტისის გლავკონტიანი, ქვიშიანი აპტური მერგელები (კარაკაში).

კოლექცია. — სიმონოვიჩისა და ბაცევიჩის; ი. ხეჩინაშვილის. რიცხვი. — 6.

Rhynchonella Gibbsiana Sow. var. *bedouliensis* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella Gibbsiana* Sow. var. *bedouliensis*, Jac. et Fall. [54.] გვ. 62, ტაბ. 8, სურ. 25—27.

1945. *Rhynchonella Gibbsiana* Sow. var. *bedouliensis*, ნუტუბიძე [10] გვ. 159.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	16 მმ
სიგანე	18 „
სისქე	11 „

ეს სახესხვაობა ვრცლად აქვს აღწერილი ქ. ნუტუბიძეს, რომელსაც ვეთანხმები ამ სახესხვაობის გაგებაში და ამიტომ მოკლედ ვიძლევი მის აღწერას და მიმოხილვას. აღსანიშნავია, რომ ჩემი ნიმუში სხვა ადგილიდანაა.

აღწერა. — ნივარა მორგვალეზულ — სამკუთხოვანი ფორმისაა; ზურგის საგდული უფრო გამოზურცულია, ვიდრე მუცლის. ასიმეტრიული ფორმაა, რაც კარგად ჩანს შუბლის კიდესთან. ასიმეტრიულობის შედეგად ერთი გვერდი აწეული და მეორე დაწეულია. ასევე ერთი გვერდი სქელია, მეორე თხელი. ნივარა მორთულია საშუალო ზომის მკვეთრი წიბოებით, რომელნიც თხემიდან შუბლის კიდემდე მიუყვებიან საგდულებს. გვერდის კომისური სწორია,

შუბლის—ასიმეტრიულობის გამო ტეხილი, აწეულ-დაწეული. თხემი სუსტად არის გადმოღუნული ზურგის საგდულზე. ნიშნის არადამაკმაყოფილებელი დაცულობის გამო ფორამენი არა ჩანს.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუში ჩემ ხელთ არსებული ლიტერატურის მიხედვით ყველაზე მეტად *Rhynch. Gibbsiana* Sow. var. *bedouliensis* Jac. et. Fall-ს ჰგავს, სახელდობრ: ნიქარის ასიმეტრიულობით, ნიქარის სიფართით, სუსტად გადმოღუნული თხემით, უფრო მეტი გამობურცულობის ზურგის საგდულით, კომისურების მოყვანილობით, ნიქარის ფორმით და სხვა. მე-8 ტაბულის 25-თე სურათზე წიბოები თითქოს უფრო წვრილია, მაგრამ სურ. 26 და 27-ზე წიბოები ისეთივე საშუალო ზომისაა, როგორც ჩემ მიერ აღწერილ ნიმუშს აქვს.

სადაურობა.—რაჟა. ს. ხონჭიორის ოსტრეებიანი ჰორიზონტის ზედა ნაწილი (ქვ. აბტური) [7]. ქუთაისი. მდ. წყალწითელას მარცხ. ნაპირი; აბტური კირქვები.

გავრცელება.—საფრანგეთი. ბედულის ქვ. აბტური (ეაკობი და ფალო). ქუთაისის და ლორესას ქვ. აბტური (ქ. ნუტუბიძე) [9].

კოლექცია.—მ. ერისთავის (ხონჭიორიდან); მ. ფოფხაძის ქუთაისიდან. რიცხვი.—7

Rhynchonella Gibbsiana Sow.

1913. *Rhynchonella Gibbsiana* Jacob et Fallot [54.] გვ. 59, ტაბ. VIII, სურ. 22-24.

კოლექციაში ამ სახის 6 ნიმუშია. ისინი სავსებით შესატყვისნი არიან ეაკობისა და ფალოს მიერ აღწერილი და დასურათებული ფორმების.

სადაურობა.—წყალტუბო. გოდოვანი ქვედა აბტური.

გავრცელება.—საფრანგეთი. ბარემული.

კოლექცია.—მ. ფალავასი (წყალტუბოდან), მ. ფოფხაძის (გოდოვანიდან).

რიცხვი.—6.

Rhynchonella cf. pecten d'Orb.

1847. *Rhynchonella pecten*, d'Orb. [58.] გვ. 23.

1913. *Rhynchonella pecten*, Jacob et Fallot [54.] გვ. 70, ტაბ. X, სურ. 18-25.

ზომები

სიგრძე	20 მმ	15 მმ	12 მმ
სიგანე	32 „	16 „	13 „
სისქე	8 „	8 „	6 „

აღწერა.—ნიქარა მორგვალბულია, გაბრტყელებული; ზურგის საგდული ოდნავ მეტად ამობურცულია, ვიდრე მუცლის. მორთულია წვრილი

რადიალური წიბოვებით; წიბოები თხემთან უფრო დაწვრილებულია; უდიდესი ნიმუშის თითოეულ საგდულზე წიბოთა რიცხვი 44-43-ს უდრის, პატარა ნიმუშებზე კი—18-20-ს. გვერდის კომისურის საესებით სწორია, შუბლის—ოდნავ ტალღბრივი, ზოგიერთი ნიმუში შუბლთან სინუსიანია. ერთ ნიმუშს კარგად ემჩნევა ზრდის რგოლები თითოეულ საგდულზე 3—3. თხემი სუსტადაა გადმოღუნული, ოდნავ კუთხოვანი კიდეებით. თხემსა და ზურგის საგდულს შორის, თხემის სუსტი გადმოღუნვის გამო ჩანს თავისუფალი სივრცე. ფორამენი არ არის ნათლად გამოსახული, რამდენადაც შეიძლება გარჩევა, იგი პატარაა და წრიული.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუშები ნივარის მორგვალეზულ-გაბრტყელებული იერთ, წიბოთა რიცხვით, გვერდის კომისურის სისწორით, თხემის სუსტი გადმოღუნვით, მისი სიდიდით და სხვა ნიშნებით ესატყვისებიან *Rhynchonella pecten* d.Orb.-ის. განსხვავდებიან მით, რომ ჩემი ნიმუშები უფრო გაბრტყელებული არიან, რაც, შესაძლოა, ნაწილობრივ დეფორმაციის შედეგი იყოს; გარდა ამისა, შუბლის კიდეცთან ჩემ ნიმუშებს არა აქვთ ისეთი მკვეთრი სინუსი, როგორც დ'ორბინის ფორმებს. აღსანიშნავია, რომ არც უაკობისა და ფალოს მიერ დასურათებულ ნიმუშებზე არის შესამჩნევი სინუსის სიკვეთრე. მაგრამ ისინი არ ხედავენ განსხვავებას თვისი და დ'ორბინის ფორმათა შორის. ზომებით ჩემი ნიმუშები არ განსხვავდებიან დ'ორბინის ნიმუშებისაგან (გამონაკლისია ერთი 20 მმ-იანი ნიმუში), ხოლო უაკობისა და ფალოს ნიმუშები ახალგაზრდები არიან.

სადღურობა. — ქუთაისი. მდ. წყალწითელას მარჯვ. ნაპ., ქვედა აპტური *Colchidites*-იანი ნაცრისფერი მერგელები და მერგელოვანი კირქვები; ს. გოდოგნის ქვ. აპტური ნაცრისფერი მერგელები და მერგელოვანი კირქვები; წყალტუბო; რაჭა. ს. შქმერის ალბური და გაგრის რაიონის ალბური [7; 8].

გავრცელება. — ცენტრ. საფრანგეთი. ალბური ნალექები (უაკობი და ფალო; დ'ორბინი).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის (ქუთაისიდან და გოდოგანიდან); მ. ფალასი—წყალტუბოდან; მ. ერისთავის (შქმერის და გაგრის რაიონის ალბური ნალექებიდან).

რიცხვი. — 11.

Rhynchonella aff. *Bertheloti* Kill.

ზომები

სიგრძე	16 მმ	14 მმ
სიგანე	17 ..	15 ..
სისქე	11,5 ..	9 ..

აღწერა. — ნივარა ხუთკუთხოვანია, ოდნავ უფრო ფართო, ვიდრე ვრცელი. ზურგის საგდული უფრო გამოზრტყულია, ვიდრე მუცლის. უდიდესი სისქე და სიფართო ნივარის შუა ნაწილში აქვს. მუცლის საგდული სინუსიანია, იგი მკვეთრია შუბლის კიდეცთან. სინუსში 6 წიბო დაითვლება. თითოეულ

საგდულზე წიბოთა რიცხვი 18-ს უდრის. წიბოები შუბლთან ძლიერ მკვეთრნი არიან; თხემის დასაწყისი გლუვია; შემდეგ კი მახე შესამჩნევია ძლიერ წვრილი, ერთმანეთის მახლობლად განლაგებული წიბოები, რომელნიც თანდათან სცილდებიან ერთმანეთს და ბოლოს შედარებით მსხვილი წიბოების იერსღებულობენ. თხემის სიგლუვე ზურგის საგდულიდან უფრო კარგად ჩანს. გვერდის კომისური სწორია, შემდეგ გაზნეკილი მუცლის საგდულისკენ. შუბლის კიდე ზურგის საგდულიდან მოკვეცილის შთაბეჭდილებას ტოვებს, მუცლის საგდულიდან შუბლის კომისურა ტალღებრივია, შესამჩნევია 2-3 ძლიერ სუსტი ზრდის რგოლი: ერთი თხემთან, ორი უფრო ქვემოთ. თხემი ძლიერ ვადმოღუნულია ზურგის საგდულზე, ფორამენი და დელტიდიუმი არა ჩანან.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუში ხუთკუთხოვანი ფორმით, მუცლის საგდულის სინუსით, ზურგის საგდულის, შუბლის კიდის მოკვეცილობით და ზომებით ძლიერ ჰგავს კილიანიის მიერ დასურათებულ *Rhynchonella Bertheloti*-ის. განსხვავდება მისგან წიბოთა რიცხვით: აღწერილ ნიმუშს საგდულზე 18-18 წიბო აქვს, ხოლო კილიანიის ნიმუშებს 10*c* და 10*d*-ს—30, მაგრამ ნიმუშებს 10*a* და 10*b*-ს მხოლოდ 20-20, ჩანს ეს განსხვავება სახის ცვლილებათა ფარგლებში თავსდება. ჩემ ნიმუშს სინუსში მხოლოდ 6 წიბო აქვს.

ჩემი ნიმუში ჩამოჰგავს აგრეთვე *Rhynchonella Grassiana* d'Orb.-ს (58. გვ. 38, ტაბ. 497, სურ. 7—10), რომელსაც კილიანი *Rhynchonella Bertheloti*-თან აიგივებენ, მაგრამ განსხვავდება მისგან ზომებით და წიბოთა რიცხვით, სახელდობრ პირველს მეტი წიბოები აქვს (46—56). რაც შეეხება დ'ორბინის *Rhynchonella Bertheloti*-ს, (აღწერის მიხედვით), — ნაკლები წიბოიანობით მას უფრო უახლოვდება ჩემი ნიმუში, დასურათებული კი — ეს სახე დ'ორბინის არა აქვს. ეს სახე ქ. ნუცუბიძეს აღწერილი აქვს მოლითიდან [9,10].

სადაურობა. — ქუთაისი. წყალწითელა, აბტური კირქვები.

გავრცელება. — საფრანგეთი. ზედა აბტური მერგალები (ეაკობი და ფალი). საქართველო. მოლითის ზედა აბტურა (ქ. ნუცუბიძე).

კოლექცია. — სობრიევსკის.

რიცხვი. — 2.

Rhynchonella cf. *Emerici* d'Orb.

1847. *Rhynchonella* cf. *Emerici*, d'Orbigny. [58.] გვ. 28, ტაბ. 495, სურ. 13-17.

1913. *Rhynchonella* cf. *Emerici*, Jacob et Fallot [54.] გვ. 71, ტაბ. X, სურ. 27—29.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე . . . 14 მმ

13 მმ

სიგანე . . . 12,5 (შუბლის კიდესთან 15 მმ) 11,5 (შუბლის კიდესთან 14 მმ)

სისქე . . . 8,5 მმ

8 მმ

აღწერა. — ნიჟარა პატარაა, სამკუთხოვანი, ოდნავ მორგვალეული. ზურგის საგდული ოდნავ უფრო გამოზურცულია, ვიდრე მუცლის. მუცლის საგდული სინუსიანია; სინუსი კარგადაა გამოსახული, მას 2—4-მდე შედარებით წვრილი წიბო ახასიათებს. ზურგის საგდული ქედიანია, ქედზე 3-3 წიბოა. სინუსის და ქედს გვერდებზე 3—3 ცხადად გამოსახული და მოკლე წიბო მიუყვება, მათში ერთი განსაკუთრებით მსხვილია, მათვე გვერდით მიუყვება თითო-ორთა ძლიერ წვრილი წიბო, ასე რომ საგდულზე სულ 13—14 წიბოა. თხემზე წიბოები ძლიერ წვრილია და სწორი, შემდეგ ისინი თანდათან მსხვილდებიან და სცილდებიან ერთმანეთს. — ნიჟარას უდიდესი სიფართო შუბლთან ახასიათებს. გვერდის კომისური სწორია, ოდნავ გაზნეკილი შუბლის კიდი-საკენ, შუბლის კომისური ტალღებრივია.

მიმოხილვა. — აღნიშნული ნიმუშები სამკუთხოვანი მოყვანილობით, წიბოთა რიცხვით, მათი განლაგებით, თხემის მოყვანილობით, კომისურებით, უფრო გამოზურცული ზურგის საგდულით და სხვ. ნიშნებით ძლიერ ჰგვანან *Rhynchonella Emerici* d'Orb.-ს, დასურათებულს და აღწერილს ჟაკობის და ფალოს მიერ, მაგრამ განსხვავდებიან დ'ორბინის ფორმებისაგან: დ'ორბინის ნიმუშებს სინუსი და ამაღლება სრულიად არ ემჩნევათ, თუმცა აღწერაში იგი იხსენიებს მუცლის საგდულის დებრესიას და ზურგის საგდულის ამაღლებას. მათი წიბოები ყველა თანაზომიერია, ზრდის ხაზები მკაფიონი არიან და კანონზომიერად არიან განლაგებულნი, მაშინ, როდესაც აღწერილ ნიმუშებს მხოლოდ თითო რეკლი ემჩნევა. აღსანიშნავია, რომ თხემის მოყვანილობა ორივეს ერთნაირი აქვთ და წიბოთა საერთო რიცხვშიც განსხვავება არ არის (განლაგება კი სხვანაირია).

სადართობა. — აუხაზეთი. ბზიფი, მდ. ბზიფის მოსახვევის ზემოთ. აბტური, შესაძლოა ალბურიც.

გავრცელება. — საფრანგეთი. ალბური ნალექები (ჟაკობი და ფალო); ალბური (დ'ორბინი).

კოლექცია. — იფ. კაპარავასი.

რიცხვი. — 3.


Rhynchonella lata d'Orb.

- 1847. *Rhynchonella lata*, d'Orbigny [58] გვ. 21, ტაბ. 491, სურ. 8 17.
- 1907. *Rhynchonella lata*, Каракаш. [22.] გვ. 211, ტაბ. XX, სურ. 17-18.
- 1945. *Rhynchonella lata*, ნუტუბიძე [10.] გვ. 160.

ზო მ ე ბ ი.

სიგრძე	20 მმ
სიგანე	23 "
სისქე	13 "

აღწერა. — უფრო განიერი ფორმაა, ვიდრე გრძელი. ზურგის საგდული უფრო გამოზურცულია, ვიდრე მუცლის. მუცლის საგდულიდან ნიჟარა



4602



ხუთკუთხედიანი ფორმისაა, ზურგის საგდულიდან კი—მორგვალეზულ სამკუთხოვანი. თითოეულ საგდულზე 42-43 საშუალო ზომის მკვეთრი და ხშირი წიბოა. თხემზე წიბოები ძლიერ წვრილია, შეუიარაღებელი თვალთ შეუმჩნეველი, შემდეგ ისინი თანდათან მსხვილდებიან და შუბლის კიდისკენ უდიდეს სისქეს აღწევენ. მუცლის საგდული სინუსიანია, მხოლოდ სინუსი აქ შუბლის კიდის მახლობლადაა და ამ საგდულს დებარესია მთლიანად არ მიუყვება; ზურგის საგდული კი სინუსის შესატყვის ადგილას ამოზნექილია. მუცლის საგდულის სინუსში 8-9 წიბოა, ასევე ზურგის საგდულის ამადლებზე. გვერდის კომისური ჯერ სწორია, დაკბილული და შემდეგ ბლაგვი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისკენ; შუბლის კომისური ლათინური *u*-სებურია და ასიმეტრიული. ზურგის საგდულზე მკრთალად ჩანს ერთი ზრდის ხაზი, ხოლო მუცლის საგდულზე ნათლად გამოსახულია ორი ზრდის ხაზი. თხემი სუსტადაა გადმოღუნული ზურგის საგდულისაკენ, ფორამენი პატარაა.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუშები ჰგვანან *Rhynchonella Gibbsiana* Sow.-ს მოყვანილობით და მრავალწიბოიანობით, მაგრამ განსხვავდებიან მისგან წიბოების მეტი რიცხვით საგდულებზე (42-43), ასევე მეტი წიბოებით სინუსში და ქედზე (8-9), აგრეთვე მაღალი წვეტიანი გადმოღუნული თხემით. უკანასკნელი ნიშან-თვისებებით ისინი ესატყვისებიან კარაკაშის მიერ დასურათებულ *Rhynchonella lata* d'Orb.-ის. ჩემ ნიმუშს საკმაოდ ასიმეტრიული შუბლის კიდე აქვს, რაც უჩვეულო არ უნდა იყოს ამ სახისათვის ეაკობი და ფალოს განმარტების მიხედვით (გვ. 60), თუმცა ამის შესახებ კარაკაში არას აღნიშნავს. ის ვარაუდობს, რომ ეაკობი და ფალო ამ სახეს მხოლოდ ურგონულ ფაციესს უკავშირებენ, ჩემი მასალის მიხედვით არ დასტურდება, მაგრამ ისინიც არ უარყოფენ ამა თუ იმ სახის სხვა ფაციესში მოხვედრას და ამის შედეგად სახის ზოგიერთი ნიშანთვისების შეცვლას, რაც ჩემს ერთ ნიმუშზე გამოხატულია მორგვალეზული თხემის კიდევებით და ნაკლებ მძლავრი ნისკარტით.

სად აურობა.—ს. შქმერის ბარემული მერველოვანი კირქვები [7].
გავრცელება.—ყირიში, ს. საბლის, ს. ჩოკურჩის და ხობას პორტივული და აბტური ქვიშიანი კირქვები (კარაკაში).
 საფრანგეთი. ურგონული კირქვები (ეაკობი და ფალო).
 საქართველო. ლორესის და ქუთაისის აბტური კირქვები (ქ. ნუტუბიძე).
 კოლექცია.—მ. ერისთავის (შქმერიდან), მ. ფაღავასი (წყალტუბოდან).
 რიცხვი.—4.

Rhynchonella lata d'Orb. var. minor Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella lata* d'Orb. var. minor, Jacob et Fallot. [54.] გვ. 57, ტაბ. VIII, სურ. 18-21.

ზ ი მ ე ბ ი

სიგრძე	13 მმ
სიგანე	14 "
სისქე	10 "



აღწერა. — ჩემს ხელთ ამ სახესხვაობის თორმეტი ნიმუშია. ნიჟარა პატარა ტანისაა, ზურგის საგდულიდან — სამკუთხოვანი მოყვანილობის და მორგალეზული; ზურგის საგდული უფრო გამოზურცულია, ვიდრე მუცლის. საგდულებს თხემიდან შუბლის კიდეზე მიუყვებიან საკმაოდ წვრილი წიბოები, მათი რიცხვი თითოეულ საგდულზე უდრის 37-ს. წიბოები თხემთან ძლიერ წვრილი არიან. თხემიდან 6 და 8 მმ მანძილზე მუცლის საგდულზე ჩანს ორი არანათლად გამოსახული ზრდის ხაზი; ზურგის საგდულზედაც 8 მმ მანძილზე თხემიდან შესამჩნევია უფრო ნათლად გამოსახული ზრდის კონცენტრული ხაზი. მუცლის საგდულის სინუსში დაახლოებით 8-9 წიბოა. გვერდის კომისური ზურგის საგდულიდან სწორია და წიბოთა შერწყმის ხაზზე დაკბილული, მუცლის საგდულიდან ჯერ სწორი და შემდეგ სწრაფად დაშვებული შუბლის კიდისაგან. შუბლის კომისური ლათინური ასო *z*-სებრია, მაგრამ ასიმეტრიული, თხემი სუსტად ვადმოლუნული, უფრო სწორად მდგომი, ვიდრე მოხრილი, თუმცა მუცლის საგდულიდან თხემის ვადმოლუნვა მაინც შესამჩნევია. ფორამენი სიგრძივ ოვალურია.

ნიმუხილვა. აღნიშნული ნიმუში თვისი საერთო მოყვანილობით, ტანის სიპატარავით, ნიჟარის სიგრძით, წიბოთა რიცხვით, მათი მოყვანილობით და განლაგებით, სუსტად ვადალუნული თხემით, გვერდის კომისურის სისწორით და შუბლის კიდის ასიმეტრიულობით ძლიერ ჰგავს *ჟაკობის* და *ფალოს* მიერ აღწერილ და დასურათებულ ფორმებს, განსაკუთრებით სურ. 20 და 21-ს; რაც შეეხება სურ. 18 და 19-ს, მათ უფრო წამახვეული და ამართული თხემი აქვთ, რაც კარგად ჩანს პროფილში სურ. 18 და 19-ზე. როგორც *ჟაკობი* და *ფალო* აღნიშნავენ, ამ სახესხვაობის ახალგაზრდა ნიმუშები ბრტყელნი არიან, ზრდადამთავრებულნი კი მეტ-ნაკლები გამოზურცულობის; ჩანს ჩემი ნიმუში ზრდადამთავრებულია, რადგან ის სავსებით ბრტყელი არ არის (სურათებზედაც არ არის სავსებით ბრტყელი ნიმუშები), თუმცა არც დიდ გამოზურცულობაზე შეიძლება ლაპარაკი. როგორც აღწერაში, ისე სურათებზედაც ჩანს შუბლის კიდის ასიმეტრიულობა და არც ამ მხრივ არის სხვაობა ჩემს და *ჟაკობის* და *ფალოს* მიერ დასურათებულ ნიმუშებს შორის (სურ. 20, 21).

სადღურობა. — ს. გუმბრი. წყალტუბო. ურგონული კირქვები. ქუთაისი. ხარაგოული.

გავრცელება. საფრანგეთი. ურგონული კირქვები.

კოლექცია. — მ. ფაღვასი (გუმბრიდან, წყალტუბოდან), სობრიევსკის (ქუთაისიდან), ნ. ყიფიანის (ხარაგოულიდან).

რიცხვი. — 12.

Rhynchonella cf. *nuciformis* Sow.

1851-55. *Rhynchonella nuciformis*, Davidson. [42.] გვ. 93, ტაბ. XI სურ. 23-27 ტაბ. XII, სურ. 27.

1913. *Rhynchonella nuciformis*, Jacob et Fallot [54.] გვ. 59, ტაბ. VIII სურ. 16-17.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	13 მმ	13 მმ
სიგანე	15 „	12 „
სისქე	9 „	10 „

ამ სახის ორი ნიმუში მაქვს ხელთ. ერთი მათგანი (ბზიფის ხეობიდან) განსხვავდება ეაკობისა და ფალოს მიერ დასურათებული ფორმებისაგან უფრო წვრილი წიბოებით; მეორე ნიმუში — წყალტუბოდან საცხებით შესატყვისია აღწერილი ფორმების. ჩემი ნიმუშები უფრო მეტად განსხვავდებიან დევიდსონის მიერ დასურათებული სახეებისაგან განსაკუთრებით სიდიდით და სისქით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დევიდსონს უფრო პატარა და ნაკლები სისქის ნიმუშებიც აქვს დასურათებული.

სადაურობა. — ბზიფის ხეობა. აბტური. წყალტუბო.

გავრცელება. — საფრანგეთი. აბტური. ინგლისი. აბტური.

კოლექცია. — ნებეირიძის (აფხაზეთიდან), მ. ფაღავასი (წყალტუბოდან). რიცხვი. — 2.

Rhynchonella depressa Sow.

1847. *Rhynchonella depressa*, d'Orbigny [50.] გვ. 18, ტაბ. 491, სურ. 1-7.

1851-55. [*Rhynchonella depressa*, Davidson [42.] გვ. 79, ტაბ. XI, სურ. 28—32, ტაბ. XII, სურ. 26.

1913. *Rhynchonella depressa*, Jacob et Fallot. [54.] გვ. 59, ტაბ. VIII, სურ. 30.

კოლექციაში ამ სახის მხოლოდ ორი ნიმუში მოიპოვება. ერთი მათგანი ზრდად აღმთავრებელი უნდა იყოს. დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით ისინი შესატყვისნი არიან აღწერილი და დასურათებული ფორმების.

სადაურობა. — წყალტუბო. ურგონული კირქვები. ბზიფის ხეობა.

გავრცელება. — საფრანგეთი. ნეოკომური. ინგლისი. აბტური და სემონანური (Upper Greensand).

კოლექცია. — მ. ფაღავასი (წყალტუბოდან).

Rhynchonella sulcata (Park.) David.

1851—55. *Rhynchonella sulcata*, Davidson [42.] გვ... ტაბ. X, სურ. 21-22.

1913. *Rhynchonella sulcata*, Jacob et Fallot [54.] გვ. 68, ტაბ. IX, სურ. 14—24, ტაბ. X, სურ. 1—9.

ჩემ ხელთ ამ სახის ოთხი ნიმუშია. ისინი არ განსხვავდებიან დევიდსონის, ეაკობისა და ფალოს მიერ აღწერილი და დასურათებული ფორმებისაგან.

სადაურობა. — ქუთაისი. წყალტუბო.

გავრცელება. — საფრანგეთი. ალბური. ინგლისი. სპიტონის თიხები.

კოლექცია. — სობრეევსკის (ქუთაისიდან).

რიცხვი. — 4.

Rhynchonella sulcata Dav. var. *rencurelensis* Jacob et Fallot

1913. *Rhynchonella sulcata* (Park.) Dav. var. *rencurelensis* Jac. et Fall [54.] გვ. 68, ტაბ. IX, სურ. 21-24.

ხელთ მაქვს ამ სახის მხოლოდ ერთი, ზრდადაუმთავრებელი ნიმუში, რომელიც ყველა მორფოლოგიური ხასიათის ნიშნით ესატყვისება ჟაკობისა და ფალოს მიერ აღწერილ და დასურათებულ ფორმებს.

სადაურობა. — აფხაზეთი. გავრა.

გავრცელება. — საფრანგეთი. ალბური.

კოლექცია. — ე. გაბუნისის

რიცხვი. — 1.

Rhynchonella sulcata (Park.) Dav. var. cf. *paucicostata* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella sulcata* (Park.) Dav. var. *paucicostata* Jacob et Fallot [54.] გვ. 68, ტაბ. X, სურ. 2-8.

კოლექციაში ორი ნიმუშია, რომელნიც ჟაკობის და ფალოს სახესხვაობისაგან განსხვავდებიან ნაკლები სიფართით, დანარჩენი ნიშან-თვისებები შესატყვისი აქვთ.

სადაურობა. — აფხაზეთი. ბზიფის ხეობა. აპტური.

გავრცელება. — საფრანგეთი. ალბური.

კოლექცია. — ივ. კაქარავასი.

რიცხვი. — 2.

გვუფი *Rhynchonella spoliata* Suess და *Rhynchonella lineolata* Phill.*Rhynchonella* cf. *decipiens* d'Orb.

1847. *Rhynchonella decipiens*, d'Orbigny [58.] ტაბ. 494. სურ. 13-16.

1913. *Rhynchonella decipiens*, Jacob et Fallot [54.] გვ. 14, ტაბ. I, სურ. 5-7.

ჩემ ხელთ ერთი პატარა ტანის ნიმუშია, რომელიც ძლიერ ჰგავს *Rh. decipiens* d'Orb.-ის თითქმის ყველა დამახასიათებელი ნიშან-თვისებით, განსხვავდება მისგან რადიალური ხაზების უქონლობით. ეს ხაზები განსაკუთრებით კარგად ჩანს ჟაკობისა და ფალოს ტაბულაზე, სურ. მე-6-ეს შუბლის ნაწილიდან. დ'ორბინის მიერ დასურათებულ ნიმუშებზედაც შესამჩნევია ეს რადიალური ხაზები.

სადაურობა. — ს. შქმერი (რაქა). ბარემული. ს. კეაცხთი. ბარემული.

გავრცელება. — საფრანგეთი. ბარემული.

კოლექცია. — მ. ერისთავის (შქმერიდან), მ. ფოფხაძის (ს.კეაცხუთიდან).

რიცხვი. — 2.

Rhynchonella sp. ex gr. *sexplicata* Kar.

ტაბ. 1, სურ. 4

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	15 მმ	13 მმ	12 მმ	11 მმ
სიგანე	15 „	15 „	12 „	10,5 „
სისქე	9,5 „	7 „	6 „	7 „

აღწერა. — ნივარა პატარაა, სამკუთხოვან-მორგვალებული, თითქმის თანაბარი სიგრძე-სიგანის; არის შემთხვევა, რომ სიგანე კარბობს სიგრძეს და პირიქითაც. ზურგის საგდული ძლიერ გაბრტყელებულია, თუმცა გამოზურცულ ზურგის საგდულიანი ნიმუშშიც მოიპოვება; პალეალურ მხარეზე ორივე საგდულს მიუყვება რ-ნ ფართო წიბო-სალტე, რომელნიც ზოგჯერ ნივარის შუა ნაწილამდე აღწევენ. ეს წიბო-სალტები მკვეთრი და დაცილებულნი არიან ერთმანეთისაგან თანაბარი სიფართის ღარებით. როგორც სალტეები, ისე ღარები მორთულია წვრილი და ხშირი ჰავლ-ხაზებით, რომელნიც დაწყებული თხემიდან სულ ბოლომდე მიდიან. ერთი საგდულის წიბო-სალტეს შეესაბამება მეორე საგდულის ღარი და პირიქით. გვერდის კომისური სწორია და მახვილი, პალეალურ მხარესთან მიახლოებისას ის ტალღებრივი ხდება. შუბლის კომისური ტალღებრივია, თხემი პატარაა, კიდებმორგვალებული და ზომიერად გადმოწეული ზურგის საგდულზე, ფორამენი არა ჩანს.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუშები თავისებური მორთულობით მკვეთრად განირჩევიან სხვა რინქონელებისაგან. დამახასიათებელი სამკუთხოვან-მორგვალებული ფორმით, პატარა ტანით, წიბო-სალტეთა რიცხვით და ჰავლ-ხაზებით ისინი წააგვანან *Rhynchonella sexplicata* Kar-ს; განსხვავდებიან მისგან წიბო-სალტეთა სიგრძით; სურათების მიხედვით კარაკააშის ნიმუშს მოკლე წიბოები აქვს, ჩემ ნიმუშებზე კი წიბო-სალტეები თითქმის საგდულის შუა ნაწილამდე მიდიან და უფრო მკვეთრიც არიან. გარდა ამისა, კარაკააშის მიერ დასურათებული ნიმუშის მუცლის საგდული ფართო სინუსიანია, ხოლო სინუსის აქეთ-იქით 3-3 წიბოა განლაგებული, ჩემ ნიმუშს კი სინუსი ოდნავ აქვს გამოსახული, ან ზოგი ნიმუში სრულიად უსინუსოა.

ჩემი ნიმუშები მორთულობის ხასიათით დევიდსონის მიერ აღწერილ და დასურათებულ *Rh. lineolata* Phill.-ს [42. გვ. 98, ტაბ. XII, სურ. 6-10] ჰგვანან, მაგრამ განსხვავდებიან მისგან: მოყვანილობით — ჩემი ნიმუშები მორგვალებულ-სამკუთხოვანი ფორმისაა, ის კი — მოგრძო-სამკუთხოვანი; განსხვავდებიან აგრეთვე თხემით; აღწერილ ნიმუშებს სუსტად გადმოლუნული თხემი ახასიათებთ, მას კი — ძლიერ გადმოლუნული თხემი; დევიდსონის ფორმები მკვეთრ სინუსიანი, სქელი ნიმუშებია და ძლიერ გამოზურცული ზურგის საგდული ახასიათებთ, ამ ნიმუშებს კი — ზურგის საგდულის ძლიერი გაბრტყელების გამო სინუსი ზოგჯერ არც კი აქვთ.

სადაურობა. — ს. გუმბრის ზედა აბტური მონაცრისფრო ოდნავ ქვიშიანი მერველები; ქუთაისის ქვ. აბტური ნაცრისფერი მერველოვანი კირქვები

(*Ancyloceras*-იანი პორიზონტი); გოდოგნის ქვ. აპტური ნაცრისფერი მერგელები; ნიკორწმინდა; წყალტუბო; ქუთაისი.

გავრცელება. — ჩრდ. კავკასია, გლაეკონიტიანი აპტური მერგელები. (კარაკაში).

ქოლექცია. — მ. ფოფხაძის (გოდოგნიდან, ქუთაისიდან, გუმბრიდან); ივ. რუხაძის (ქუთაისიდან); მ. ფალავასი (წყალტუბოდან); დ. წერეთლის (ნიკორწმინდიდან).

რიცხვი. — 12.

Rhynchonella ex gr. *lineolata* Phill.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	13 მმ
სიგანე	12 "
სისქე	7,5 "

აღწერა. ნიჟარა ოდნავ უფრო გრძელია, ვიდრე განიერი, სამკუთხოვანი ფორმის, მორგვალებული, საგდულები თითქმის თანაბარი ამობურცულობის არიან. მუცლის საგდულს აქვს არა ღრმა სინუსი, რომელშიც ორი წიბოა, ხოლო სინუსის აქეთ-იქით თითო-თითო წიბოა. ეს წიბოები საკმაოდ მსხვილნი არიან, მაგრამ თხემისკენ ვიწროვდებიან და თითქმის ქრებიან. ზურგის საგდულზე, რომელსაც ოდნავი ამადლება ემჩნევა, მოთავსებულია სამი მოკლე წიბო, მის გვერდებზე კი კიდევ უფრო მოკლე ორ-ორი წიბო-ნაოქია. გვერდის კომისური გერ სწორია, მუცლის და ზურგის საგდულის გვერდის წიბოთა შერტების ადგილას კი — ტეხილი, ტალღებრივი, ასეთივეა შუბლის კომისურიც. დანარჩენ მორთულობიდან არც წიბო და არც ქველ-ხაზები არ ჩანან. ზურგის საგდულის წინა ნაწილში შერჩენია ერთი დაკბილული ზრდის ხაზი. თხემი პატარაა, ძლიერ ზომიერად გადმოღუნული, ფორამენიც ძლიერ პატარაა და მრგვალი.

მიმოხილვა. — ზემოთ აღწერილი ნიმუშის შედარებამ სხვადასხვა ფორმებთან მიიყვანა დასკვნამდე, რომ ის უფრო ახლო დგას *Rhynchonella lineolata* Phill.-თან. ეს მსგავსება მას ნეტად აქვს კარაკაშის მიერ აღწერილ და დასურათებულ *Rhynchonella lineolata* Phill.-თან, [22, გვ. 208, სურ. 1), სახელდობრ მას შვავს: ნიჟარის მოყვანილობით, თხემის ფორმით, მუცლის და ზურგის საგდულის შუალა და განაპირა წიბოების რიცხვით, მათი მოყვანილობით, მიმართულებით და მუცლის საგდულის არა ღრმა სინუსით. განსხვავდება მისგან: გვერდის წიბოების და ქველ-ხაზების უქონლობით, რაც შეიძლება იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ ნიმუში ნაგორები და გადაცვეთილია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, როგორც კარაკაშიც ადასტურებს, ლორიოლის მიერ შესწავლილი *Rh. lineolata*-ს კავკასიური ფორმები გვიჩვენებენ გარდამავალ ფორმათა რიგებს წიბოების რიცხვის მიხედვით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნებას მძღვეს ეს ნიმუში მივაკუთვნო *Rhynch. lineolata* Phill.-ს.

დევიდსონის მიერ დასურათებულ ფორმებთან, მოყვანილობის და მორთულობის მიხედვით, ჩემ ნიმუშებს ნაკლები მსგავსება აქვთ, ვიდრე კარაკაშის ნიმუშებთან [42. გვ. 98. ტაბ. XII, სურ. 10).

ქ. ნუსტობის მიერ აღწერილი ფორმები უდავოდ ეკუთვნიან *Rhynch. lineolata*-ს [10. გვ. 147], ჩემი ნიმუში კი ამჟღავნებს მსგავსებას აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებთან.

სადაურობა. — რაქა. ს. კვაცხუთის ცარცული კირქვები, ნაყარი.

გავრცელება. — ინგლისი. სპიტონის თიხები, ყირიმი. ს. ჩოკურჩის ბარემული ქვიშიანი კირქვები და ს. ბიასალის ბარემული კირქვები (კარაკაშ), გოდოგნის, ხარაგოულის და მუხურის აბტური (ქ. ნუსტობიძე).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის (რაჭიდან), ი. რუხაძის (ქუთაისიდან).

რიცხვი. — 2.

ჯგუფი *Rhynchonella lacunosa* Quenst.

Rhynchonella cf. *Malbosi* Pict.

1907. *Rhynchonella* cf. *Malbosi*, Каракаш. [22.] გვ. 207, ტაბ. XXI სურ. 1.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	22 მმ	20 მმ	19 მმ	16 მმ
სიგანე	23 "	21 "	22 "	17 "
სისქე	13,5 "	9 "	13 "	12 "

აღწერა. — ნიჟარა ხუთკუთხოვანია, ფრთიანი, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი, უდიდესი სისქე და სიფართო ნიჟარას შუაში აქვს. ზურგის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე ზურგის. მუცლის საგდული სინუსიანია, ზურგის საგდული ქედიანი. სინუსში ორი წიბოა, ქედზე კი-სამი წიბო. სინუსს და ქედს აქეთ-იქით საკმაოდ ფართო ხარვეზის შემდეგ გვერდებზე მიუყვება სამ-სამი მოკლე წიბო. თხემთან წიბოები ან სუსტია, ან სრულიად არ ჩანან. წიბოები ზოგიერთ ნიმუშზე მორგვალბებულია, ზოგზე მახვილი, გვერდის კომისური დაკბილულია, ასევე შუბლის კომისურიც. შუბლის კიდე წაგრძელებულია და შევიწროებული.

თხემი პატარაა და მორგვალბებული, იგი არ არის ძლიერ გადმოდუნული ზურგის საგდულისკენ, თხემის კიდეები სუსტად არის თხემისაგან გამოყოფილი. ფორამენი არა ჩანს.

მიმოხილვა. — აღნიშნული ნიმუშები შუბლის ნაწილის შევიწროებით და ზურგის საგდულის გამობურცულობით ჰგვანან *Rhynchonella bziibensis* n. sp.-ს, მაგრამ განსხვავდებიან მისგან როგორც შუბლის ნაწილის, ისე გვერდების სიმეტრიულობით, აგრეთვე წიბოების უცვლელობით: ე. ი. ამ ნიმუშებს არ ახასიათებთ წიბოთა დაწვრილება, შეერთება ან შესუსტება რომელიმე წიბოსი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ; ზემოთ დასახელებული სახისათვის კი ეს თვისებები დამახასიათებელია.

ჩემი ნიმუშები ყველა ნიშან-თვისებით, რომელთა გამოვრება საკიროდ არ მიმაჩნია, ესატყვისებთან კარაკაშის *Rhynchonella* cf. *Malbosi* Pict.-ს. აღსანიშნავია, რომ კარაკაში თავის ნიმუშებს *Rh. Malbosi*-საგან ასხვავებს შევიწროებული შუბლის ნაწილით და ზურგის საგდულის მეტი გამოზურცულობით, რაც აგრეთვე ყველა ჩემს ნიმუშსაც ახასიათებს.

სადაურობა. — რაქა. ს. კვაცხეთის აპტური კირქვები.

გავრცელება. — ყირიმი. ს. ბიასალის ბარემული კირქვები და ს. ჩოქურჩის ქვიშიანი ბარემული კირქვები.

საფრანგეთი. ტიტონური და ვალანჯინური (გვ. 21. ქაკობი და ფალო).

კოლექცია. — მ. ფოუხადის.

რიცხვი. — 6.

Rhynchonella Malbosi Pict. var. cf. *multicostata* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella Malbosi* Pict. var. *multicostata* Jac. et Fallot [54.]

გვ. 27, ტაბ. II, სურ. 16.

ზო მ ე ბ ი:

სიგრძე . . .	22 მმ	21 მმ
სიგანე . . .	24,5 "	22,5 "
სისქე . . .	13 "	10 "

აღწერა. — ნივარა ხუთკუთხოვანი ნოყვანილობისაა, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი, სუსტად ფრთოსანი, გამოზურცულობა თითქმის არ ემჩნევა, ბრტყელი ფორმაა. სინუსის სამი წიბოა, ხოლო ზურგის საგდულის უნაგირზე — ოთხი. ამ შუალა წიბოთა შემდეგ მცირე ხარვეზია და კვლავ გვერდის წიბოები მიუყვებიან საგდულს; გვერდის წიბოები წვრილია, მათი რიცხვი 7-7-ს უდრის. როგორც გვერდის, ისე შუალა წიბოები თხემთან სუსტნი არიან. გვერდის კომისური ტეხილია, შუბლის — ასიმეტრიული. თხემი პატარაა და მცირედაა გადმოღუნული ზურგის საგდულისკენ. ერთ-ერთი ნიმუში უფრო გამოზურცულია, ვიდრე დანარჩენები და გვერდის წიბოთა რიცხვიც მასზედ 8-8-ს უდრის.

მიმოხილვა. — ეს ნიმუშები თვისი ზომებით, პატარა თხემით, მისი ნოყვანილობით (მცირე გადმოღუნვა), ნიჟარის ფორმით და წვრილი წიბოებით ძლიერ ჰგვანან *Rhynchonella Malbosi* Pict. var. *multicostata* Jac. et Fall.-ს. განსხვავდებიან მათგან გვერდის წიბოთა მეტი რიცხვით: ჩემს ნიმუშებს 7-7 გვერდის წიბო აქვს თითოეულ საგდულზე. ქაკობი და ფალო კი 3-4-ს აღნიშნავენ. საერთოდ კი, როგორც ეს სახელწოდებიდანაც ჩანს და აგრეთვე სხვა ავტორებიც მოწმობენ, აღნიშნულ სახესხვაობას წიბოთა სიმრავლე ახასიათებს, ასე რომ ეს განსხვავება არსებითი არ უნდა იყოს.

სადაურობა. — აფხაზეთი. ბზიფის მარჯვ. ნაპირი, აპტური კირქვები.

გავრცელება. — საფრანგეთი. ტიტონური (ქაკობი და ფალო). იგივე ავტორები ამ სახესხვაობას ვალანჯინურშიც აღნიშნავენ [54. გვ. 21].

კოლექცია. — ივ. კაპარავასი.

რიცხვი. — 2.



Rhynchonella ex gr. lacunosa Quenst.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	17 მმ
სიგანე	20 „
სისქე	14 „

აღწერა. — კოლექციაში მხოლოდ ერთი და ისიც დაზიანებული ნიმუშია. ნიმუში გაპირიტებულია. ნიჟარა საერთოდ საკმაოდ გამობურცულია, მაგრამ ზურგის საგდულის გამობურცულობა მეტია, ვიდრე მუცლის. მუცლის საგდულს მიუყვება შუაში ერთი ფართო წიბო-სალტე; ხოლო ფართო ხარვეზის შემდეგ გვერდებზე ასეთივე ხასიათის თითო-თითო წიბო-სალტე; ზურგის საგდულზე შუაში ორი წიბოა, რომელთაც გვერდებზე კვლავ თითო წიბო მიუყვება. გვერდის კომისური ჯერ სწორია და შემდეგ ტალღებრივი, ხოლო შუბლის — დაკბილული. გარდა ზემოთ აღნიშნული წიბო-სალტეებისა არავითარი მოკაზმულობა ნიჟარას არ ემჩნევა.

მიმოხილვა. — დაზიანების გამო შეუძლებელია ამ ნიმუშის ზუსტად განსაზღვრა, მაგრამ ნიჟარის საერთო მოყვანილობა, თითოეული საგდულის თავისებური მორთულობა და ფორმა მატიკრებინებს, რომ ის ეკუთვნის *Rhynchonella lacunosa* Quenst.-ის ჯგუფს. ნათესაობა ამ ჯგუფისადმი მტკიცდება წიბო-სალტეების არსებობით ზურგის და მუცლის საგდულებზე, მათი რიცხვით და განწყობით და აგრეთვე გვერდის და შუბლის კომისურთა მოყვანილობით. ასეთი ნაკლები ნიმუშის აღწერის ბიძგს იძლევა ერთის მხრივ მისი ძლიერ დამახასიათებელი მორთულობა და მეორე მხრივ ის გარემოება, რომ ნიმუში გაპირიტებულია, რაც ჩემს ხელთ არსებულ მასალაში პირველი შემთხვევა არის.

სადაურობა. — რაქა. ხიდის-კარი, ბარემული კირქვები [20].

გავრცელება. — ამ ჯგუფის ნაშარხები ცნობილია ვალანჯინურში [54. გვ. 21. თავობი და ფალა].

კოლექცია. — მ. ფოფხაძის.

რიცხვი. — 1.

Rhynchonella bzihiensis H. Sp.

ტაბ. 1, სურ. 1-3

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	30 მმ	29 მმ	28 მმ	27 მმ	26 მმ
სიგანე	30 „	30 „	29 „	29 „	30 „
სისქე	18 „	23 „	18 „	14 „	17 „

აღწერა. ნიჟარა ხუთკუთხედიანია, გამობურცული, ფრთიანი: მოიპოვება შედარებით ბრტყელი ფორმებით; ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლები გამობურცულობით და ფრთიანობით; ნიჟარა უფრო ფართოა, ვიდრე გრძელი, იშვიათ შემთხვევაში თანაბარი სიგრძე-სიგანის. მუცლის საგდული ცხადად სინუსიანია, წაგრძელებული შუბლის კილით. ზურგის საგდული უნაგირიანია, უნაგირზე შედარებით მსხვილი 2, 3, 4 წიბოა, ხოლო სინუსში ერთით მეტი (3, 4 და 5); არის შემთხვევა, რომ სინუსში და უნაგირზე წიბოთა რიცხვი თანაბარია: ეს შუალა წიბოები თხემისკენ უფრო სუსტნი არიან, სინუსში და უნაგირზე წიბოები ან თანაბარი სიმძლავრის და სიგრძისაა, ან ერთი მათგანი უფრო მოკლეა; არის შემთხვევა ერთ-ერთი წიბოს დაწვრილებისა. ასეთი სუსტი თითო წიბო გვხვდება როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ. ზოგჯერ უნაგირს თხემიდან 4 წიბო მიუყვება, აქედან ნაპირა წიბოები უფრო წერტილია და ისინი მხოლოდ ნიჟარის შუა ნაწილამდე მიდიან, შემდეგ ქრებიან, შუალა ორ წიბოში კი — შუბლის კიდეამდე შესამჩნევი. წიბოთა ასეთი ცვალების შედეგად ნიჟარა შუბლის ნაწილთან ზოგჯერ ასიმეტრიულია. მუცლის საგდულზე შუალა წიბოებს, საკმაოდ დიდი ხარვეზის შემდეგ, აქეთ-იქით მიუყვება 4—7 წიბო, რომელნიც ზურგის საგდულზე რკალურად უერთდებიან ამდენსავე, ან უფრო ნაკლებ რიცხვს წიბოებისა, წიბოთა რიცხვი მუცლის საგდულზე 10—15-მდეა, ზურგის საგდულზე 11—16-მდე. გვერდის წიბოთა რიცხვი თანაბარი როდია, მაგალითად, მარცხნივ 2 გვერდის წიბოა, მარჯვნივ 4 და ასე შემდეგ... ე. ი. ასიმეტრიულობა ზოგჯერ გვერდებსაც ახასიათებს, თუმცა ერთი შეხედვით ასიმეტრიულობა უჩინარია. წიბოები ზოგჯერ მორგვალეებულა, ზოგჯერ საკმაოდ მახვილი. გვერდისა და შუბლის კომისურები დაკბილულია. თხემი საშუალო ვადნაოლუნულობისაა. ფორამენი ჩანს.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუშები საერთო იერით, წიბოთა განლაგებით, თხემის მოყვანილობით, დაკბილული კომისურებით და მახვილი წიბოებით ჰგვანან *Rhynchonella Malbosi* Piet.-ს (54. გვ. 25, ტაბ. 11, სურ. 17—18), განსხვავდებიან მისგან შევიწროებული და წაგრძელებული შუბლის კილით, ამ უკანასკნელი ნიშნით წააგვანან *Rh. Malbosi* Piet. var. *chomeracensis* Jae. et Fall.-ს (86. გვ. 28, ტაბ. 11, სურ. 4—8) და მოისეცევის მიერ ამავე სახელით აღწერილ ფორმებს [31 გვ. 65, ტ. V სურ. 5—8], მაგრამ ისინი უფრო პატარა და სიმეტრიული ფორმები არიან.

უნდა აღინიშნოს მსგავსება ჩემს ნიმუშებსა და კარაკაშის მიერ *Rh. cf. Malbosi* Piet.-ს სახელწოდებით აღწერილ ფორმებს შორის [22. გვ. 207, ტაბ. XXI, სურ. 1—15]. კარაკაში თავის ნიმუშებს ასხვავებს *Rh. Malbosi* Piet.-საგან შუბლის ნაწილის შევიწროებით და ზურგის საგდულის მეტი გამობურცულობით, რაც დამახასიათებელია ჩემი ნიმუშებისათვის; სამაგიეროდ ჩემს ნიმუშებზე შემჩნეულ მორთულობისა და მოყვანილობის თავისებურებებზე (გვერდების ასიმეტრიულობა, წიბოთა დაწვრილება ან ერთმანეთთან შეერთება, წიბოთა შესუსტება ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ, ან სოული გაქოვანა და სხვა), არც მოისეცევი (გვ. 65, ტაბ. V, სურ. 5—8) და არც უკაობი და ფალკ არაფერს არ აღიზნავენ და სურათებზედაც ამის მსგავსი რამ არა ჩანს.

მეტ მსგავსებას ჩემი ნიმუშები ამჟღავნებენ ლიასური *Rhynchonella variabilis* Schloth.-ის ჯგუფის *Rhynchonella Alberti* Opp.-ის მიმართ [53. გვ. 43, ტაბ. V, სურ. 14—18]. ამ დასკვნამდე მიმიყვანა, როგორც აღწერასთან, ისე სურათებთან ზედმიწევნითა შედარებამ. თითქმის ყველა ნიშანთვისებით აღნიშნული ლიასური სახე და ჩემი ნიმუშები მსგავსნი არიან, მაგრამ მხოლოდ უფრო დამახასიათებელ ნიშნებზე შეგჩერდები, ასეთებია: თხემის მოყვანილობა და ვადმოლუნვის ხარისხი, წაგრძელებული შუბლის ნაწილი, ფრთისებრ გაწეული გვერდები, მკვეთრად გამოსახული სინუსი და უნაგირი, ზურგის საგდულის დიდი ამობურცულობა თხემთან, მახვილი და მალალი წიბოები, შუბლის ასიმეტრიულობა, მეტი სიფართის ადგილი ფრთების კუთხეებს შუა და სხვ. გეიერი მიუთითებს აგრეთვე ჩამოთვლილ ნიშან-თვისებათა მეტ-ნაკლებ გამომჟღავნებაზე სხვადასხვა ინდივიდუუმებში, რაც დასტურდება ჩემი მასალის მიხედვითაც. უნდა აღინიშნოს განსხვავებაც. გეიერის ფორმები გაცილებით უფრო დიდი არიან ზომით, სახელდობრ, მათი სიგრძე 100 მმ-ს აღწევს, მაშინ, როდესაც ჩემს ნიმუშებში უდიდესი სიგრძე 30 მმ-ს არ აღემატება. გეიერსაც აქვს აღნიშნული 23—25 მმ-ის სიგრძის ნიმუშები, მაგრამ შესაძლოა ისინი ასაკით ახალგაზრდები იყვნენ. გვერდების ასიმეტრიულობაც არა აქვს გეიერს შემჩნეული და არც სურათებზე ჩანს ასეთი რამ. სინუსში 5 წიბოიანი ნიმუში მე არ მომეპოვება, მაგრამ ეს შესაძლოა გამოწვეულია მასალის სიმციროთ.

ასეთი დიდი მსგავსების პირობებში ჩემი ნიმუშები *Rhynch. Alberti* Opp.-ს უნდა მიმეკუთვნებია, რომ მათ შორის დიდი სტრატეგრაფიული ზღვარი არ იყოს; ზემოთ აღნიშნული სახე ლიასურია [53], ჩემი ნიმუშები კი ბარემული და აპტური. ამას უნდა დავმატოს ის გარემოებაც, რომ ისინი სხვა განსხვავებითა გარდა განირჩევიან ერთმანეთისაგან გვერდების ასიმეტრიით, ხოლო ასიმეტრიისავე, შუბლის კედის ასიმეტრიის, საფუძველზე თეთი ლიასურშივე *Rhynchonella variabilis* Schloth.-დან გამოყოფილია *Rh. Alberti* Opp.

ამ მოსაზრებათა გამო აღნიშნულ ნიმუშებს აღწერა ახალ სახედ. ვიტყვებ უფლებას მასალის სიუხვის პირობებში საკითხის ხელახლა გადასინჯვისა იმ ფაქტსაზრისით, რომ რეკურენციის მოვლენასთან ხომ არ გვაქვს საქმე და ხომ არ ეკუთვნიან ეს ფორმები ზემოთ აღნიშნულ ლიასურ სახეს, რომელიც გაპქრალა და შემდეგ კვლავ გამოჩენილა ცარცში, მაგრამ უკვე ახალი ნიშან-თვისებების შემატებით.

სადა უ რ ო ბ ა. — აფხაზეთი. ბზიფის მარჯვენა ნაპირი. აპტური კირქვები. რაჭა. ხიდის-კარი. ბარემული კირქვები [20].

კ ო ლ ე ქ ც ი ა. — ივ. კაპარავასი (ბზიფიდან); მ. ერისთავის (ხიდისკარიდან) რიცხვი. — 18.

Rhynchonella cf. Guerini d'Orb.

1847. *Rhynchonella Guerini*, d'Orbigny [58.] გვ. 17, ტაბ. 500, სურ. 5-8.
 1907. *Rhynchonella Guerini*, Kapakam [22.] გვ. 206, ტაბ. XXI, სურ. 11.
 1913. *Rhynchonella Guerini*, Jacob et Fallot. [54.] გვ. 40, V, ტაბ. სურ. 1 2.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	22 მმ+x	21 მმ
სიგანე	31 "	25 "
სისქე	16 "	12 "
თხემის კუთხე		100°

აღწერა. — ნივთი თითქმის სამკუთხოვანია, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი, შედარებით ბრტყელი; მუცლის საგდული სინუსიანია, სინუსში ერთი ფარაო წიბოა, რომელსაც ერთ ნიმუშზე მხოლოდ ცალ მხარეზე მოსდევს შედარებით წვრილი და მოკლე წიბო, ხოლო მეორე ნიმუშს კი — ორივე მხარეზე, შემდეგ აქეთ-იქით ხარვეზებია და კვლავ 4-4 საშუალო ზომის წიბოები მოდიან; ისინი გვერდის კომისურს დაკბილულ იერს აძლევენ. გვერდის წიბოები თხემთან სუსტნი არიან. გვერდის კომისური სწრაფად ეშვება ქვევით მახვილი კუთხით. ზურგის საგდულს ქედზე ორი წიბო მიუყვება, — რომელნიც თხემიდან საგდულის შუა ნაწილამდე წვრილნი არიან, შემდეგ სწრაფად მსხვილდებიან. ამ ორი წიბოს და მუცლის საგდულის შუალა წიბოს მეშვეობით შუბლის კომისურს ლათინური ასო M-ის მოყვანილობა აქვს. თხემი ბატარაა და სუსტად გადმოლუნული ზურგის საგდულისკენ.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუში მოყვანილობით, წიბოთა განლაგებით, მუცლის საგდულის სინუსიანობით, ზურგის ქედით, სუსტად გადმოლუნული თხემით, დაკბილული გვერდის კომისურით, M-ისებრი შუბლის კომისურით და ზომებით სავსებით შესატყვისნი არიან ქაკობისა და ფალოს მიერ აღწერილი და დასურათებული *Rhynchonella Guerini d'Orb.* ხოლო თვით დ'ორბინის მიერ დასურათებულ და აღწერილ *Rh. Guerini*-საგან ჩემი ნიმუშები განსხვავდებიან შუბლის ნაწილის მეტი შევიწროვებით, ასევე განსხვავდებიან მათგან ქაკობისა და ფალოს ფორმებიც. კარაკაშის ნიმუშებთან შედარების შესაძლებლობა არ არის სურათების ბუნდოვანების გამო, ხოლო აღწერის მიხედვით სხვაობა არა ჩანს. აღსანიშნავია ის ფარგლოება, რომ ჩემი ნიმუშები განსხვავდებიან ჩამოთვლილ ავტორთა მიერ აღწერილი ნიმუშებისაგან, ზემოთ უკვე მოხსენებული, სინუსში ჩამატებული მოკლე წიბოთა არსებობით. მცირე განსხვავების გამო მე მათ ვაკუთუნებ *Rhynchonella cf. Guerini d'Orb.*-ს.

სადაურობა. — აფხაზეთი. ბზიფის მარჯვენაბირი, აბტური კირქვები.

გავრცელება. — საფრანგეთი. ტე. მარემული კირქვები (ქაკობი და ფალო). საფრანგეთი. ქვ. ნეოკომური (დ'ორბინი). ყერში. ს. ბიასალის მარემული კირქვები (კარაკაში).

კოლექცია. — ივ. კაპარავასი.

რიცხვი. — 2.

Rhynchonella cf. Contracta d'Hombre-Firmas

1842. *Terebratula contracta*, d'Hombre-Firmas. Mem. Soc. lin. de Norm, pl. 10, fig. 58-61.

1847. *Rhynchonella contracta*, d'Orbigny [58] გვ. 24, ტაბ. 494, სურ. 6-12.

1910. *Rhynchonella contracta*, Kilian [55.] გვ. 188, ტაბ. 2. სურ. 7a f.

1913. *Rhynchonella contracta*, Jacob et Fallot [54] გვ. 30, ტაბ. III,
 სურ. 10-18.

ზომები

სიგრძე	16 მმ+X
სიგანე	21 "
სისქე	9,5 "

აღწერა. — ნიჟარა განივ ოვალურია, სიგრძივ სამკუთხოვანი ფორმი-
 საა; ნიჟარა გაბრტყელებული და სიმეტრიულია. ნიჟარას ზურგის საგდულზე
 თხემიდან შუბლამდე მისდევს ერთი სალტისებრი წიბო, ხოლო მუცლის საგ-
 დულზე — 4. სინუსი ფართოა და არა ღრმა. გვერდის კომისური თხემიდან
 თითქმის ბოლომდე სწორია, ხოლო პალეალურ მხარესთან მიახლოებისას აჩენს
 ერთგვარ მუხლს. შუბლის კომისური ტალღებრივია. მუცლის საგდულზე კარ-
 ვად ჩანან წვრილი და ხშირი ზრდის ხაზები. თხემი ამ ნიმუშს მოტეხილი აქვს,
 მაგრამ, როგორც მუცლის საგდულის მოხაზულობიდან ჩანს, არ უნდა ყოფი-
 ლიყო ძლიერ გადმოღუნული.

მიმოხილვა. — ჩემი ნიმუში განივ ოვალური, ხოლო სიგრძივ სამკუთ-
 ხოვანი ფორმით, არა ფართო და არა ღრმა სინუსით, წიბოთა ხასიათით, შუბ-
 ლის კომისურის ტალღებრივობით და გვერდის კომისურის ნაწილობრივი სის-
 წორით, ძლიერ ჰგავს ღორბინის მიერ დასურათებულ და აღწერილ *Rh.*
contracta-ს. განსხვავდება მისგან შუალა წიბოების რიცხვით: ჩემს ნიმუშს ზურ-
 გის საგდულზე შუაში ორი წიბო მიუყვება, ღორბინის ნიმუშს კი 3.
 ეს განსხვავება არსებითი არ არის, ვინაიდან თვით დ, ორბინი აღნიშნავს, რომ
 ზოგჯერ შუა წიბო ქრება; გარდა ამისა, კილიანის მიერ დასურათებულ
Rhynch. contracta-საც 3 შუალა წიბო აქვს.

ჩემი ნიმუში ჩამოჰგავს ავრეთვე *Rh. Malhosi Pict. mut. contractoides sac.*
et Fall.-ს [54. გვ. 29, ტაბ. 111 სურ. 6-6]. მაგრამ ეს მსგავსება შორეულია,
 გამოწვეული მით, რომ ორივე ერთი ჯგუფის რინქონელები არიან.

ქაკობისა და ფალოს მიერ აღწერილ და დასურათებულ ფორმებსაც
 ძლიერ ჰგვანან ჩემი ნიმუშები, განსაკუთრებით კი III ტაბულის მე-14—15
 სურათს. ამ ფორმას ვაკუთვნებ *Rh. contracta d' Hombre-Firmas*-ს, ვინაიდან
 ხელთ მაქვს მხოლოდ ერთი და ისიც დაზიანებული ნიმუში.

სადარობა. — არაქა. ს. კვაცხუთი. ცარკული ნალექების ნაყარი.

გავრცელება. — საფრანგეთი. ბერიასული. ვალანკინური.

კოლექცია. — მ. ფოფხაძის.

რიცხვი. — 1.

Rhynchonella Moutoniana d'Orb.

1847. *Rhynchonella Moutoniana*, d'Orbigny [58] გვ. 15, ტაბ. 494,
 სურ. 16-19.

1906. *Rhynchonella Moutoni*, Каракаш [22] გვ. 204, ტაბ. XXI სურ. 7-10.

1913. *Rhynchonella Moutoniana*, Jacob et Fallot [54], გვ. 35, ტაბ. VI, სურ. 22-24.

1945. *Rhynchonella Moutoniana*, ქ. ნუტუბიძე [10.] გვ. 151.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	22 მმ	18 მმ	16 მმ	14 მმ
სიგანე	24 „	18 „	16,5 „	12 „
სისქე	12 „	13 „	10 „	9 „

აღწერა. — ნივარა ოვალურია, შუბლის მხარე სამკუთხოვანი, სიგრძე-სიგანე უმეტესად თანაბარია, თუმცა არას შემთხვევები, რომ ნივარა ან უფრო ფართოა (ერთი-ორი შემთხვევა), ან უფრო ვიწრო. საგდულები საშუალო ამობურცულობისაა. მუცლის საგდულს შუაში მიუყვება ღრმა და ფართო დებრესია, რომელიც პალეალურ მხარეზე მახვილკუთხოვანი სინუსით ბოლოვდება, ზურგის საგდული შესაბამისად ქედიანია. გვერდებზე ნივარას 2-3 ნაოჭი აქვს, ეს ნაოჭები თითქმის თხემიდანვე ჩანან, რაც შეტ-ნაკლები სიცხადით არის გამოხატული ნიმუშებზე. ნაოჭთა გამო გვერდის კომისური ნაწილობრივ დაკბილულია, არის აგრეთვე გვერდის ნაოჭებს მოკლებული ნიმუშებიც (2-3); შუბლის კომისური მახვილკუთხოვანია. ნივარას ემჩნევა ზრდის ხაზები, რომელნიც სინუსში სამკუთხოვანი არიან.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუშები ეკუთვნიან *Rhynchonella Moutoniana* d'Orb.-ს. ამას, გარდა საერთო იერისა, ამტკიცებს ამ სახისათვის დამახასიათებელი ყველა იმ ნიშან-თვისების არსებობა, რომლებზედაც მიუთითებენ დ. ორბინი, ქაკობი და ფალო და აგრეთვე კარაკაში. ეს თვისებებია: შუბლის კომისურის მახვილკუთხოვანობა, გვერდის კომისურის დაკბილვა, გვერდების ნაოჭიანობა, მუცლის საგდულის მკვეთრი დებრესია, სინუსიანობა, თხემის სუსტად გადმოღუნვა და სხვა. განსხვავდებიან მათგან შედარებით მცირე ტანით, რაც შესაძლოა ადგილობრივი პირობებით იყოს გამოწვეული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ნიმუშები ყოველთვის არ არიან უფრო განიერი, ვიდრე გრძელი, როგორც ამას თითქმის ყველა ავტორი აღნიშნავს, არამედ მათ შორის მოიპოება თანაბარი სიგრძე-სიგანის და აგრეთვე უფრო გრძელი ნიმუშებიც.

საერთო მოხაზულობით ჩემი ნიმუშები *Rh. cherennensis* var. *Moutoniformis* Jac. et Fall.-ს წააგვანან, მაგრამ განსხვავდებიან მისგან: უფრო მკვეთრი სინუსით, შუბლის კომისურით და გვერდის კომისურის ნაოჭიანობით [54. გვ. 38, ტაბ. IV, სურ. 13-21]. *Rh. Moutoniana* d'Orb. mut. *major* Kilian-ს 54. გვ. 234, 438, სურ. 5-9] ეს ნიმუშები ჩამოგვანან საერთო იერით და ძლიერ განსხვავდებიან მოკაზმულობით. ერთი ნიმუში, რომელიც საკმაოდ გადალესილია, ძლიერ წააგავს მას, მაგრამ მასალის ცუდი დაცულობის გამო თავს ვიკავებ მისი ცალკე აღწერისაგან.

ამ სახის წარმომადგენლები უკვე აღწერილია იმ ადგილებიდან (10), საიდანაც ჩემი ნიმუშებია, ამიტომ მათი აღწერა და მიმოხილვა მოკლედ მაქვს მოკემული.

სადაურობა. — რაქა. ს. კვაცხუთის აბტური მერგელოვანი კირქვები; რიცეულის ბარემული კირქვები.

გავრცელება. — საფრანგეთი. (ეაკობი და ფალო). ჰოტრიველი და ბარემული (გვ. 21). ყირიმი. ს. ბიასალის წითელი, ბარემული კირქვები და ს. ჩოკურჩის ქვეშინი ბარემული კირქვები (კარაკაში). რაქა. ს. კვაცხუთის ბარემული კირქვები (ქ. ნუსუბიძე).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის.

რიცხვი. — 20.

Rhynchonella aff. cherevensis Jacob et Fallot.

ზომები

სიგრძე . . . 18 მმ	16 მმ	14 მმ
სიგანე . . . 18 "	16 "	14 "
სისქე . . . 12 "	11 "	9 "

აღწერა. — ნიქარა მორგვალეულია, საგდულთა სიგრძე-სიგანე თანაბარია. ზურგის საგდული მეტი გამოზურცულობისაა, ვიდრე მუცლის. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ ნაწილობრივ ტალღებრივი, შუბლის კომისური ტალღებრივია. მუცლის საგდული სინუსიანია, სინუსში 2 ან 3 წიბოა, ეს წიბოები პალეალურ მხარისკენ უფრო მკვეთრი არიან; წიბოები ზოგჯერ მეტნაყლებად მრგვალია, ზოგჯერ კი მახვილი; თხემთან ისინი ან სრულიად არა ჩანან, ან ძლიერ სუსტნი არიან. გვერდებზე 3-4 წიბო დაითვლება. სინუსის წიბოები ბევრად უფრო მკვეთრი არიან, ვიდრე გვერდის. სინუსში წიბოებთან ღარები მორიგეობენ, რის შედეგადაც შუბლის კომისური ტალღებრივია. ნიქარას კარგად ემჩნევა ზრდის კონცენტრული ხაზები, ზოგი მათგანი ზრდის რგოლია. ნიმუშები ასიმეტრიულია, თხემი ძლიერ სუსტია და პატარა. მისი კიდევები მორგვალეულია. თხემის გადმოღუნვის გამო ფორამენი თითქმის არა ჩანს.

მიმოხილვა. *Rhynchonella cherevensis* 1913 წელს აღწერილ იქნა ეაკობისა და ფალოს მიერ საფრანგეთის ჰოტრიველი ნალექებიდან. აღნიშნულ სახეს ისინი *Rhynchonella lacunosa*-ს ჯგუფს აკუთვნებენ და აღნიშნავენ, რომ ეს სახე უნდა განხილულ იქნას, როგორც *Rhynchonella lacunosa* Quenst.-ის პორტიველი ფორმა. *Rh. lacunosa*-ს ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან შედარებამ დაამარწმუნა, რომ ზემოთ აღწერილი ნიმუშები მოყვანილობით, ზომებით, პატარა და სუსტი თხემით, გვერდითა და შუბლის კომისურის ტალღებრიობით, წიბოთა ხასიათით, მათი განლაგებით, პატარა გადმოღუნული თხემით და სხვა ნიშნებით უფრო ჰგავნან *Rh. cherevensis* Jac. et Fall.-ს. განსხვავებიან მისგან: ზოგიერთ შემთხვევაში წიბოთა რიცხვით სინუსში და ქედზე, სუსტი წიბოებით თხემზე და აგრეთვე შუბლის კიდის მეტი მორგვალეობით.

არსებულ განსხვავებათა გამო, მასალის უკმარობის პირობებში ამ ნიმუშებს აღვწერ, როგორც *Rh. aff. cherevensis* Jac. et Fall.

ქ. ნუსუბიძეს აღწერილი აქვს ამ სახის ნიმუშები ხიდისკარიდან. როგორც ჩემი, ისე მისი ნიმუშები ტიპური ფორმებისაგან თითქმის ერთიდაიგივე

ნიშნებით განსხვავდებიან, შე მიზანშეწონილად არ მივიჩნიე არსებულ განსხვავებათა გამო მათი ამ სახესთან გაიგივება.

სადაურობა. — რაჟა. ხიდის-კარის ჰოტრიეული და ბარემული კირქვები.

გავრცელება. — საფრანგეთი. გლავკონტიანი და ფოსფატებიანი ჰოტრიეული და ბარემული ნალექები (ჟაკობი და ფალო).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის (ხიდის-კარიდან).

რიცხვი. — 13.

Rhynchonella cherennensis var. *undulata* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella cherennensis* var. *undulata*, Jacob. et Fallot [54.] გვ. 37, ტაბ. IV, სურ. 7.

ზ რ მ ე ბ ი

სიგრძე	18 მმ
სიგანე	18 "
სისქე	13 "

აღწერა. — ნიჟარა მორგვალებულია, შუბლის კიდე მუცლის საგდულიდან სამკუთხოვანია, თანაბარი სიგრძე-სიგანისაა. მუცლის საგდული უფრო გამოხურულია და აგრეთვე ოდნავ უფრო გრძელი, დაგრძელებული სინუსის გამო; სინუსში შუბლის ნაწილის მახლობლად მოთავსებულია ერთი მსხვილი სალტისებური წიბო, ზურგის საგდულის ქედზე კი ორი ასეთი წიბოა, რის გამო მთლიანად შუბლის ნაწილი ორნაოქაა, გვერდები კი სამნაოქა. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ ნაოქთა გამო დაკბილული და შემდეგ ბლაგვი, შეზნექილი ზურგის საგდულისკენ და ბოლოს კვლავ სწორი ხაზით დამგებული პალეალურ მხარეზე. შუბლის კომისური დაკბილულია და ფორმით ლათინურ ასო M-სებურია. ნიჟარა გლუვია, ლუბის მეშვეობით ჩანან მორგვალებული ზრდის მკრთალი ხაზები. თხემი სუსტადაა გადმოლუნული, მას მორგვალებული კიდეები აქვს. ფორამენი არ ჩანს (დაზიანებულია). შუბლის კიდე შედარებით სიმეტრიულია, მხოლოდ ზურგის საგდულიდან შესამჩნევია მის ნაწილებში ასიმეტრიულობა.

მიმოხილვა. — ეს ნიმუში დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით: მორგვალებული ფორმით, წაგრძელებული შუბლის კიდით, ტალღებრივი კომისურებით, სუსტად გადმოლუნული თხემით და სხვა ნიშნებით ეკუთვნის *Rh. cherennensis*, ხოლო დამატებითი ნიშნების არსებობა: ნიჟარის სიგლუვე, მხოლოდ შუბლის კიდესთან წიბო-სალტებისა და ლარების გაჩენა და ამის გამო შუბლთან ორნაოქიანობა, ამასთანავე ნაოქები ლატერალურ მხარეზე ადასტურებენ, რომ იგი *Rh. echerennensis* var. *undulata* Jac. et Fall. ის შესატყვისია, სახელდობრ მე-IV ტაბულის მე-7 სურათისა. აღსანიშნავია, რომ ჩემ ნიმუშსაც შუბლის ნაწილი მხოლოდ ოდნავ აქვს ასიმეტრიული ისე, როგორც ეს 3. საქ სახელმწ. მეხუთხს მოამბე, ტ. XIV—A.



მე-7 სურათზეა, და პროფილში ორივეს ზურგის საგდულის მეტი ამობურცულობა ახასიათებთ.

ქ. ნუტუბიძე თავის ნიმუშებს აიგივებს ჟაკობისა და ფალოს მიერ დასურათებულ ყველა ფორმასთან, ჩემი ნიმუშები კი მხოლოდ სურ. 7-ის შესატყვისნი არიან.

სადაურობა. — რაქა. ხიდის-კარის ჰოტრივეული და ბარემული კირქვები [21].

გავრცელება. — საფრანგეთი. ჰოტრივეული და ბარემული (ჟაკობი და ფალო).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის.

რიცხვი. — 2.

Rhynchonella cf. *Eichwaldi* Kar.

1865. *Rhynchonella Rouillieri*, Eichw. *Lethaea Rossica* II. p. 323.

1907. *Rhynchonella Eichwaldi*, Каракаш [23], გვ. 204, ტაბ. XXI. სურ. 2,4,6.

ზომები

სიგრძე . . .	26 მმ	22 მმ	16 მმ
სივანე . . .	23 "	18,5 "	17 "
სისქე . . .	13 "	13 "	11 "

აღწერა. — ნიჟარა სამკუთხოვანია, თითქოს გაქყლებული, ზურგის საგდული ოდნავ მეტად ამობურცულია, ვიდრე მუცლის; მუცლის საგდული სინუსიანია; ამ საგდულს თხემთან ახლოსვე ეწყება ეს ღრმა და ფართო დებრესია; სინუსში მოთავსებულია ერთი მსხვილი წიბო-თხემიდან შუბლის ნაწილამდე. ამ წიბოს აქეთ-იქით მიუყვება 6-6 წიბო, რომელნიც ბოლომდე არ მიდიან; მუცლის საგდულის დებრესია ბოლოვდება გრძელი და მახვილკუთხიანი სინუსით. ზურგის საგდულზე დებრესიას შეესატყვისება ქედი, ქედს მიუყვება ღარი, რომლის აქეთ-იქითაც კვლავ წიბოებია, მხოლოდ უფრო მკრთალი, ბოლომდე არც ეს წიბოები მოუყვებიან საგდულს. ზურგის და მუცლის საგდულთა გვერდის 3-3 წიბო ერთდებთან და ჰქმნიან გვერდის ნაოკს, ამიტომ გვერდის კომისური ნაწილობრივ დაკბილულია, ხოლო შუბლის კომისური W-სებრი. თხემი საშუალო მოღუნულობისაა, საკმაოდ წვეტიანი. ნიჟარას რამოდენიმე ადგილას ემჩნევა ზრდის ხაზები. ნიჟარა მორთულია აგრეთვე ჭავლ-ხაზებით, რომელნიც შეუაარადებელი თვალით უჩინარი არიან. ისინი ბოლომდე მიუყვებიან ნიჟარას.

მომოხილვა. — ჩემი ნიმუშების ეიხვალდის ფორმებთან შედარების საშუალება არა მქონდა. ფორმით ისინი ერთი შეხედვით წააგავან: *Rh. Moutoniana* d'Orb.-ს, *Rh. Guerini* d'Orb.-ს და *Rh. Eichwaldi* Kar.-ს. პირველს ჰგავს მახვილკუთხიანი სინუსით, გვერდის ნაოკიანობით, საგდულთა მცირე ამოზნექილობით და ნაწილობრივი გაქყლებილობით. განსხვავდება მის-

ვან: მკვეთრად გამოსახული წვეტიანი თხემით, W-სებრი შუბლის კომისურით და წიბოებისა და ქველხაზების არსებობით.

Rh. Guerini d'Orb.-ს ჰგავს მოკაზმულობით. განსხვავდება: თხემით, წაგრძელებული სინუსით და ზომებით.

უფრო მეტად ჰგავს *Rh. Eichwaldi Kar.*-ს, სახელდობრ: საერთო მოყვანილობის გარდა, გვერდის კომისურის ნაწილობრივი დაკბილვით, W-სებრი შუბლის კომისურით, შევიწროებული შუბლის ნაწილით და გრძელი სინუსით. კარაკაშის სურათებზე მოკაზმულობა არა ჩანს, მაგრამ აღწერილობიდან ჩანს, რომ მათ წიბო-ნაოჭები თხემიდანვე არა აქვთ როგორც ეს ჩემს ნიმუშზეა. კარაკაშის ფორმებს მხოლოდ გვერდებზე აქვთ 3-3 მოკლე ნაოჭი. მაღალი წიბო მუცლის საგდულის დებრესიაში და დარი ზურგის საგდულზე ორივეგან ერთნაირია.

სადაურობა.—რაქა. ს. კვაცხუთის აპტური მერგელოვანი თეთრი კირქვები და ბარემული კირქვები.

გავრცელება.—ყირიმი. ს. ბიასალის ბარემული წითელი კირქვები და ს. ჩოკურჩის ბარემული ქვიშიანი კირქვები (კარაკაშში).

კოლექცია.—მ. ფოუხადის და მ. ერისთავის.

რიცხვი.—3

Rhynchonella cf. Tschernischewi Kar.

1907. *Rhynchonella Tschernischewi*, Каракаш [23], გვ. 208, ტაბ. XXI, სურ. 3.

ზომები

სიგრძე 13 მმ +x

სიგანე 15 „

სისქე 10 მმ

აღწერა.—მხოლოდ ერთი ნიმუშია და ისიც ოდნავ დაზიანებული თხემთან და ნაწილობრივ ზურგის საგდულის წინა ნაწილში. ნიქარა გამოზრტულია და სამკუთხოვანი იერი აქვს. მუცლის საგდულს ახასიათებს საკმაოდ კარგად გამოსახული სინუსი, რომელსაც თხემიდან აქეთ-იქეთ მიუყვება თითო წიბო, უფრო სწორად ნაოჭი. ზურგის საგდულს შუაში მიუყვება მაღალი წიბო—ქედვით, მას გვერდებზე მისდევს თითო წიბო-ნაოჭი, რომელიც მუცლის საგდულის წიბოსთან შეერთებით ჰქმნის დაკბილულ გვერდის კომისურს. თხემი სუსტად გადმოდუნულია, ფორამენი არ ჩანს.

მიმოხილვა.—ყველა ნიშან-თვისებით: თხემის მოყვანილობით, ნიქარის ფორმით, მუცლის საგდულის სინუსით, ზურგის შუალა წიბოთი და გვერდის კომისურის დაკბილული ფორმით ეს ნიმუში ჰგავს კარაკაშის მიერ აღწერილ და დასურათებულ ფორმებს; განსხვავდება მისგან მით, რომ მუცლის საგდულის სინუსს და ზურგის შუალა წიბოს ნაცვლად ორ-ორი წიბოსი თითო წიბო მიუყვება, და მეორესი ან ჩანასახია, ან ნაშთი. შეიძლება ოდა ამ

განსხვავების საფუძველზე მისი სახესხვაობად გამოყოფა, რომ მასალის უმარობა არ მიწოდებს ხელს.

აღწერილი ნიმუში *Rh. Eichwaldi* Kar.-საგან განსხვავდება დიდი საგდულის სინუსში წიბოს უქონლობით და ზურგის საგდულზე შუათანა წიბოს არსებობით.

სადა უ რ ბ ა. — გაგრა. ბარემული კირქვები.

გ ა ვ რ ც ე ლ ბ ა. — ყირიმი. ს. ბიასალის ბარემული კირქვები (ქარაკაში).

რ ი ც ხ ვ ი. — 1

კოლექცია. — ე. გაბუნიასი.

ჯგ. *Rhynchonella plicatilis* Sow.

Rhynchonella rionensis Anthula.

ტაბ. 3, სურ. 1

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	22 მმ	17 მმ
სიგანე	23,5 "	20 "
სისქე	15 "	10 "

აღწერა. — ნივარა მორგვალბულ-სამკუთხოვანია, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი. უდიდესი გამოზურცულობა ნივარას შუა ნაწილში აქვს. მუცლის საგდულს ნივარის შუა ნაწილიდან შებლამდე მიუყვება ფართო სინუსი, რომელშიც 3-6 წიბო არის, ზოგჯერ 6-7 წიბოცაა შემჩნეული; თითოეულ საგდულს 16-დან 20-მდე წიბო ახასიათებს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში წიბოთა რიცხვი 24-ს უდრის. წიბოები ცხადად გამოსახულნი არიან და არა მახვილი. წიბოები სინუსში მით უფრო მკვეთრია, რაც უფრო ნაკლებია მათი რიცხვი. ზრდის კონცენტრული ხაზები მკვეთრნი არიან, წიბოებთან გადაკვეთის შემთხვევაში ისინი ნივარას დაუჯრულ იერს აძლევენ. გვერდის კომისური სწორია, მორგვალბული, ზოგ შემთხვევაში დაკბილული, შებლის კომისური ლათინური ა-სებური, მუცლის საგდული სინუსიანია. ნივარას წიბოთშორისი ვიწრო ღარები ახასიათებს. თხემი ძლიერ მოკლეა და გადმოლუნული, ფორამენი პატარაა და მრგვალი; დელტიდიუმი არა ჩანს.

მიმოხილვა. — *Rhynchonella rionensis* აღწერილი იქნა ანთულას მიერ 1898 წელს ორბელში (ლეჩხუმი) და ეკში (სამეგრელო) დაგროვილი მასალებიდან. ამ ახალ სახეს ანთულა *Rh. plicatilis* Sow.-ის ჯგუფს აკუთვნებს. შემოთ აღწერილი ნიმუშები, რომელთა რიცხვი 100-მდეა, ძლიერ მკვანან ანთულას ფორმებს. ასეთი ძლიერი მსგავსება ამ ნიმუშებს არცერთ სხვა სახეთა მიმართ არა აქვთ. *Rhynch. plicatilis* Sow.-ის მსგავსი თხემის მოყვანილობა და მორთულობა ადასტურებენ მოსაზრებას, რომ ეს სახე მართლაც ამ ჯგუფს ეკუთვნის. ხოლო აღწერილი ნიმუშების *Rhynch. rionensis* Anthula-საღმი მსგავსებას გამოხატავენ: საერთო იერი, თხემის მოყვანილობა, მრგვალი და პატარა ფორამენი, ხშირი და მკვეთრი ზრდის ხაზები, წიბოთა რიცხვი,

კომისურთა მოხაზულობა, წიბოთშორისი ვიწრო ღარაკების არსებობა, ნიჟარის დაუჯრული შესახედიაობა და სხვა ნიშნებიც. უდიდეს მსგავსებასთან ერთად მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ზემოთ აღწერილი მასალა და ანთოლას ნიმუშები ერთი და იმავე ადგილებიდან არიან შეგროვილი. მასალამ შესაძლებლობა მომცა გამოამეყო:

1. ტიპიური ფორმები, რომელნიც სავსებით შესატყვისნი არიან ანთოლას მიერ აღწერილი და დასურათებული ფორმებისა, სახელდობრ წიბოთა რიცხვი (თითოეულ საგდულზე) ორივეგან 16-20-მდეა, ხოლო სინუსში არსებულ წიბოთა რიცხვი 4-5-ს უდრის. საგდულთა გამობურცულობაც ანთოლას ნიმუშების შესატყვისია;

2. გამობურცული ფორმები, რომელთა სისქე გამოწვეულია ზურგის საგდულის ძლიერი გამობურცულობით და რომელთაც სინუსში მხოლოდ 3 ძლიერ მკაფიო წიბო ახასიათებთ;

3. ბრტყელი ფორმები, რომელთაც შუბლის ნაწილის გაფართოების გამო შედარებით სუსტი სინუსი ახასიათებთ, სინუსში 6-8 წიბოა.

სამივე ჯგუფის ნიმუშებისათვის დამახასიათებელია — წიბოთა რიცხვსა და სიძლიერეში გარდამავალი საფეხურების არსებობა: სინუსში არსებული წიბოები ყველა ერთნაირი სიმძლავრის არ არიან, ამასთანავე უსუსტეს წიბოს გაქრობის მიდრეკილება აქვს და ბოლომდე არ მიდის.

იმ ფორმებს, რომელნიც ანთოლას ფორმების შესატყვისნი არიან, ვაკუთვნივ *Rhynchonella rionensis* Anthula-ს.

გამობურცულ, სინუსში 3 წიბოიან ფორმებს, — *Rhynchonella rionensis* Anth. var. *globulosa* n. var.-ს (ტაბ. 3, სურ. 3), ხოლო ბრტყელ ფორმებს (სინუსში 6-8 წიბოიანებს), — *Rhynchonella rionensis* Anthula var. *lata* n. var.-ს (ტაბ. 3, სურ. 2).

საქ. მუზეუმის გეოლოგიურ განყ-ში დატულ, სიმონოვიჩის, ბაცევიჩის და სოროკინის კოლექციაში (კოლ. № 0,71, ნიმ. № 1295) შენახულია ნიმუში წარწერით; კრისტალური-მარცვლოვანი კირქვა *Terebratula carnea*, *Rhynchonella* და სხვ. (სენონი, თეკლათის მიდები). აღნიშნული რიქონელა ჩემ მიერ განსაზღვრულია *Rhynchonella rionensis* Anth.-ად.

სადაურთობა. — სამეგრელო. სახარბედიო დანიური სართულის თეთრი კირქვები; სამეგრელო. თეკლათის მიდამოების დანიური თეთრი კირქვები [34], აფხაზეთი. ბზიფის ხეობა.

გავრცელება. — სამეგრელო. ეკი. სენონური კრისტალური თეთრი კირქვები.

კოლექცია. — ი. კაპარავასი და ნ. ყიფიანის; ბუკიასი (სახარბედიოლდან და სენაკიდან) სიმონოვიჩის, ბაცევიჩის და სოროკინის (თეკლათიდან) რიცხვი. — 100.

Rhynchonella plicatilis Sow.

1816. *Terebratula plicatilis*, Sow. Min. conch., 2p. 37, pl. 118, f. 1.
1847. *Rhynchonella octoplicata*, d'Orbigny [58.] გვ. 47, ტაბ. 499, სურ. 8-10.

1937. *Rhynchonella plicatilis*, Lechner [57.] ტაბ. XVIII, სურ. 4-14.
 1930. " " Daquè [46.] გვ. 95, ტაბ. VI, სურ. 16, 16a, b.

ზომები

სიგრძე . . . 19 მმ +x	18 მმ	17,5 მმ	15 მმ	13 მმ
სიგანე . . . 21,5 "	20 "	18 "	16,5 "	13 "
სისქე . . . 11 "	12 "	9 "	10 "	6 "

აღწერა. — ნიჟარა განივ-ოვალური, ზურგის საგდულის მხრიდან ნიჟარა თითქოს შუბლმოკვეთილია. ნიჟარა უფრო ფართოა, ვიდრე გრძელი; ორი პატარა ნიმუში თანაბარი სიგრძე-სიგანისაა (ზრდადაუმთავრებელი). უდიდესი სისქე და სიფართე ნიჟარას შუა ნაწილში აქვს. ნიჟარა მორთულია წვრილი და ხშირი რადიალური წიბოებით, რომელნიც პალეალურ მხარეზე უფრო მსხვილი არიან, ნიჟარის შუა ნაწილზე უფრო წვრილი, ხოლო კარდინალურ მხარეზე კიდევ უფრო წვრილი. თხემი—სავსებით გლუვია. წიბოთა რიცხვი მოზრდილ ნიმუშზე 30-32 ს უდრის, მხოლოდ ერთ-ორ ნიმუშს შერჩენია თხემისმიერი წიბოთა კვალი. რადიალური წიბოები გადაკვეთილი არიან ზრდის კონცენტრული ხაზებით, რომელნიც ზოგჯერ მკვეთრ რგოლებს წარმოადგენენ. ეს კონცენტრული ხაზები ნიჟარაზე მეტ-ნაკლები ხარვეზების შემდეგ შეჯგუფებული არიან (5-, ან ნაკლები) და ამიტომ ხაზთა გადაკვეთის ადგილზე ნიჟარას უჯრული აღნაგობა აქვს, რაც ძლიერ დამახასიათებელ და განსხვავებულ იერს აძლევს ნიჟარას. მანძილი ცალკეულ ზრდის ხაზთა შორის თანაბარია, ხოლო ზრდის ხაზთა შეჯგუფებათა შორის ხარვეზები— არათანაბარი. მუცლის საგდულს მკვეთრად გამოსახული სინუსი აქვს, რომელშიც 7-8 წიბოა, ამდენივე წიბოა ზურგის საგდულის ამაღლებაზე. გვერდის კომისური კარდინალური მხრიდან ჯერ თითქმის სწორია, შემდეგ გახრილია მუცლის საგდულისკენ, რის გამო გვერდები აწეულია, და ბოლოს თითქმის სწორი კუთხით ეშვება შუბლის კიდისაკენ. ყოველივე ეს მეტად გამოხურტულ ნიმუშებზე; უფრო ბრტყელი ნიმუშების გვერდის კომისური სწორი და ოდნავ გახრილია მუცლის საგდულისკენ. ახალგაზრდა ნიმუშებზე კი—სავსებით სწორი. შუბლის კომისური ზოგჯერ ლათინურ ასო U-სებრი არის; ზოგჯერ კი ძლიერ ასიმეტრიული (დეფორმაცია). თხემი მოკლეა, საკმაოდ გადმოღუნული, მორგვალეული კიდევებით. ფორამენი პატარაა და სიგრძე-ოვალური. ერთ ახალგაზრდა ნიმუშზე თხემი ამართულია.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუშები საერთო მოყვანილობით, დამახასიათებელი მოკაზმულობით, ზრდის ხაზების და რგოლების განლაგებით, თხემისა და ფორამენის მოყვანილობით, მოკვეთილი შუბლით, სინუსში მოთავსებული 8 წიბოთი, აწეული გვერდებით, ზრდის ხაზების თავისებური განლაგების გამო, ლატერალური მხარის თითქოსდა ნაოჭიანობით და სხვა ნიშან-თვისებებით, — შესატყვისნი არიან დ'ობინის *Rhynchonella oetoplicata* Sow.-ის. = *Rhynchonella plicatilis* Sow. განსხვავდებიან მათგან შემდეგით: აღწერილ ნიმუშებში სიმეტრიულ ფორამენტთან ერთად ასიმეტრიული შუბლის კიდის

მქონე ფორმები მოიპოვებიან. დ'ორბინის სურათებზე კი ასეთი ასიმეტრიულობა უმნიშვნელოა. შუბლის ასიმეტრიულობით ისინი ჰგვანან ამ სახის მონათესავე *Rh. Lamarekiana* d'Orb.-ს, მაგრამ მსგავსება ამითვე ანოიწურება, ხოლო განსხვავება კი ძლიერ საგრძნობია. დ'ორბინი [58, გვ. 47] *Rh. octoplicata* Sow.-სათვის 36 წიბოს ასახელებს, აღწერილ ნიმუშებს კი 30-32 წიბო ახასიათებთ, მაგრამ ეს განსხვავება არსებითი არ უნდა იყოს, რადგან ლენერის და დაკეს მიერ დასურათებულ ფორმებს ზოგ შემთხვევაში წიბოთა ნაკლები რიცხვიც ახასიათებთ და, მაშასადამე, ეს განსხვავება სახის ფარგლებშივე არსებულ ცვალებად ნიშან-თვისებათა რიგს ეკუთვნის.

სადაურობა. — აფხაზეთი.

გავრცელება. — საფრანგეთი. მედონის, პარიზის მიდ-ბის, ბელგიის და რუსეთის სენონური (დ'ორბინი), გერმანიის ტურონული (კაიზერი)-კოლექცია. — ე. გაბუნიასი და ნებიერიძის.

რიცხვი. — 9.

Rhynchonella limbata Schloth.

1813. *Terebratulites limbatus*, Schloth. Leonhard's Tash., vol. vii, p. 113.

1847. *Rhynchonella subplicata*, d'Orbigny [58], გვ. 48, ტაბ. 499, სურ. 13, 17.

1851—1855. *Rhynchonella limbata*. Davidson [42], გვ. 79, ტაბ. XII, სურ 1-5.

ზომები

სიგრძე	21 მმ	21 მმ	—
სიგანე	25 „ ნიმუში	23 „	19,5 მმ
სისქე	9 „ დეფორმირებულია	12,5 „	12 „

აღწერა. — ნიჟარა განივ-ოვალურია, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი. უდიდესი სიფართო ნიჟარის შუა ნაწილშია. კარდინალური მხარე კუთხოვანია, პალეალური მორგვალბული. ზურგის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე მუცლის. მუცლის საგდულს შუბლის კიდიდან 7 მმ მანძილზე, ხოლო ზურგის საგდულს იქედანვე 8 მმ-ის მანძილზე გარშემო არშის მსგავსად მიუყვებიან მოკლე და მორგვალბული სიგრძივი წიბოები, რომელნიც ერთიმეორისაგან 3-3 მმ-ით არიან დაცილებული შუა ნაწილში, გვერდებისკენ კი უფრო დაახლოვებულნი არიან. წიბოებს თან ახლავან ღარები ისე, რომ ეს წიბო-ღარები ნაოკიანი არშისაგან ავლიან ნიჟარას და ძლიერ დამახასიათებელ იერს აძლევენ მას. შუბლის კიდიდან 7 მმ-ის ზემოთ ნიჟარა სავსებით გლუვია შეუიარაღებელი თვალისათვის, მხოლოდ ლუბით, ისიც ძლიერ მცირე მანძილზე ჩანს წიბოთა კვალი, შემდეგ კი იგი სავსებით გლუვია, თხემიც ასევე გლუვია. მუცლის საგდული სინუსიანია, ზურგის — ქედიანი, სინუსის აქეთ-იქით ვეერდები აწეულია. ზრდის კონცენტრული ხაზები საკმაოდ რელიეფურნი არიან, ზოგ ადგილას ისინი ზრდის რგოლებსაც წარმოადგენენ; ნიჟარის პირველ ორ მესამედში ზრდის ხაზები თანაბარი მანძილით არიან ერთი მე-

ორეს დაცილებული, ხოლო ერთ-ერთი ზრდის რგოლის შემდეგ (შუბლს კიდედან 7 მმ-ზე) უკვე არათანაბარი ხარვეზებია მათ შორის; შუბლის კიდესთან კი—სამი ზრდის ხაზი თვითონაც არშეის სახით ევლება ნაოქთა არშეის. წიბოთა დათვლის საშუალება არ არის ნიმუშთა არადამაკმაყოფილებელი დეტულობის გამო. სინუსში 4-5 წიბოა. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ მუცლის საგდულისკენ გახრილი და ბოლოს ბლაგვი კუთხით შუბლისკენ დაშვებული; თხემი პატარაა, თითქმის სწორი, ფორამენი პატარაა, სიგრძე ივალუერი ორნაწილიანი დელტიდიუმით.

მიმოხილვა. —სამწუხაროდ შლოტჰეიმის შრომა ხელთ არ მქონია. ეს ნიმუშები თვისი განსხვავებული მოკაზმულობით ნათლად გამოირჩევიან და მათი არევა რომელიმე სახესთან, ვფიქრობ, ძნელია. ყველა ნიშან-თვისებით, განსაკუთრებით კი—თხემით, დელტიდიუმით, ფორამენით, აწეული ფრთიანი გვერდებით, დამახასიათებელი არშეისებრი წიბო-ნაოქებით და თავისებური, განსხვავებული ზრდის ხაზებით—სავსებით შესატყვისი არიან *Rhynchonella subplicata*-სი დ'ორბინის მიხედვით და *Rhynchonella limbata* Schloth.-ის დევიდსონის მიხედვით. დ'ორბინის სურათებისაგან ასხვავებს ის, რომ წიბოთა კვალი ერთ ჩემს ნიმუშს შუა ნაწილშიც ემჩნევა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მეორე ნიმუში ამ ნაწილშიც სავსებით გლუვია. დევიდსონს *Rh. subplicata* შეყვანილი აქვს *Rh. limbata*-ს სინონიმიკაში. დევიდსონის სურათებს, სახელდობრ 1-ს და მე-3-ს ძლიერ ჰგვანან ეს ნიმუშები, მხოლოდ მე-2 სურათზე გამოხატული ნიმუში უფრო გრძელია, ვიდრე ფართო, რაც ჩემს ნიმუშებს არ ახასიათებთ. მიუხედავად მასალის სიმცირისა ამ ნიმუშების, მათი სპეციფიურობის გამო მიკუთვნება *Rh. limbata* Schloth. თვის მართებულად მიმაჩნია. აღსანიშნავია, რომ *Rh. limbata* Schloth. და *Rh. octoplicata* Sow. ერთი და იგივე შრიდან არიან და დევიდსონიც სწორედ მის ასეთ ასოციაციას მიუთითებს.

სადატურობა. —აფხაზეთი.

გავრცელება. —ინგლისი. ზედა ცარცის ზედა ნაწილი (დევიდსონი).

კოლექცია. —ე. გაბუნიასი.

რიცხვი. —3.

Rhynchonella lebardensis n. sp.

ტაბ. 3, სურ. 4

ჰოლოტიპი № 190-7 ინახება საქ. მუზ.-ის გეოლოგიის განყ.-ში.

ზომები

ფართო ფორმები

სიგრძე	25 მმ	24 მმ	23 მმ	20 მმ
სიგანე	27 „	27 „	25 „	21 „
სისქე	19,5 „	20 „	19 „	14,5 „

გრძელი ფორმები

სიგრძე	27 მმ + x	26 მმ	25 მმ	23 მმ
სიგანე	27, 5 "	23 "	23 "	21 "
სისქე	21, 5 "	22 "	18 "	19 "

აღწერა. — ნიჟარა ან სიგრძივ, ან განივ ოვალურია და ძლიერ გამო-
ბურცული, ხუთკუთხედიანი. ზოგი ნიმუში უფრო ფართოა, ვიდრე გრძელი,
ზოგი კი — პირიქით უფრო გრძელია. მუცლის საგდული სუსტადაა გამობურ-
ცული, თითქმის ბრტყელია, ზურგის კი ძლიერ გამობურცულია და სწორედ
ამ საგდულის გამობურცულობის გამო ნიჟარას დიდი სისქე ახასიათებს. ამი-
ტომ არის, რომ ნიჟარა მუცლის საგდულიდან ბრტყელია, მაშინ როდესაც
ზურგის საგდულიდან — სფერიული. უდიდესი სისქე და სიფართო ნიჟარას შუა
ნაწილში აქვს. მუცლის საგდული სინუსიანია. სინუსი საერთოდ არ არის
ღრმა და მკაფიოდ გამოსახული, მაგრამ ფართო ფორმებში ის მინც უფრო
მკვეთრია, ვიდრე გრძელ ფორმებში. ზურგის საგდულის ქედი კი — პირიქით
მკაფიოდაა გამოსახული და გრძელ ფორმებში უფრო მკვეთრია, ვიდრე ვა-
ნიერ ფორმებში. ფართო ფორმებში სინუსში და ქედზე 4-5 წიბოა, თუმცა
ფართო ნიმუშთა ცუდი დაცულობის გამო, ძნელია წიბოთა ზუსტი დათვლა,
ხოლო გრძელ ფორმებში 3-4 წიბოა სინუსში, ქედზე კი — ერთი თეტი. ზო-
გიერთ ნიმუშზე შერჩენილია საკმაოდ კარგად გამოსახული ზრდის ხაზები
(განიერი ფორმები), ზოგზე კი ზრდის ხაზი სულ არა ჩანს, ან თუ ჩანს ძლიერ
მკრთალია. საგდულებს სინუსის და ქედის აქეთ-იქით გვერდებზე მცირე ხარ-
ვეზის შემდეგ, ან უხარვეზოდ მიუყვება 4-4 წიბო, რომელნიც მეტ ნაკლე-
ბად ცხადად გამოსახული არიან ნიჟარა თხემიდან შუა ნაწილამდე გლუვია,
შუა ნაწილიდან შუბლის კიდემდე კი ზემოთ აღნიშნული წიბოები მიუყვებიან.
გვერდის კომისური სწორია, ოდნავ გახრილი მუცლის საგდულისკენ და სწრა-
ვად დაშვებული პალეალურ მხარისაკენ. შუბლის კომისური ტალღებრივია,
მაგრამ ზოგჯერ კუთხოვანი და ზოგჯერ მორგვალეხული, ასევე გვერდის წი-
ბოთა კბილულებიც ზოგჯერ კუთხოვანია და ზოგჯერ მორგვალეხული. თხემი
საშუალო ზომისაა, ძლიერ მოღუნული, მაგრამ მოღუნვა ერთი შეხედვით
მკვეთრი არ არის, ვინაიდან გაღმოდუნვა ერთბაშად კი არ ხდება, არამედ
თანდათანობით მუცლის საგდულის შუა ნაწილიდან დაწყებული და ბოლოს
ნისკარტი საესებით დადებულია ზურგის საგდულზე და არა თუ დელტიდი-
უმი, არამედ უმეტეს შემთხვევაში ფორამენიკ კი არა ჩანს. ერთ-ორ ნიმუშზე
იგი ძლიერ პატარაა და ორი ნიმუშის მიხედვით მის ფორმაზე ლაპარაკი
ძნელია.

მიმოხილვა. — ეს ნიმუშები დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით
არცერთ ჩემთვის ცნობილ ცარცის რინქონელას არა ჰგვანან. ერთი შეხედვით
წააგავს ზედა ცარცულ: *Rhynch. plicatilis* Sow.-ის, *Rhynch. limbata* Schloth.
და *Rhynch. rionensis* Anth.-ს, სახელდობრ წიბოთა და ზრდის ხაზთა ხასიათით,
მაგრამ დანარჩენი ნიშან-თვისებები, როგორცაა: დამახასიათებელი წრიული
ზურგის საგდული, გრძელი და ფართო ფორმების შემცველობა, ზოგჯერ კუთ-

ხოვანი და ზოგჯერ კი მორგვალეზული სინუსი, ზურგზე დამზობილი თხემი და წიბოების ბოლო ნაწილში განვითარება, ძლიერ განასხვავებს მათგან. ამ ნიმუშებს, თავისებურ ნიშან-თვისებათა გამო, აღვწერ ახალ სახედ. ის გარემოება, რომ ამ სახეში ვაერთიანებ როგორც გრძელ, ისე ფართო ფორმებს, აიხსნება მით, რომ მცირე მასალის ფარგლებშიც კი კარგად ხერხდება გრძელ და განიერ ფორმათა ერთი მეორეში გადასვლის საფეხურების გარჩევა.

სადაურობა. — სამეგრელო. კურზუ, ლეპარდეს გზა, სენონური კირ-ქვები [19].

კოლექცია. — ივ. კაპარავასი და ნ. ყიფიანის; პ. გამყრელიძის რიცხვი. — 15.

Rhynchonella ciensis N. Sp.

ტაბ. 2, სურ. 5

პოლოტიპი № 190-8 ინახება საქ. მუზ. გეოლოგიის განყ-ში.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე . . .	18,5 მმ	17 მმ	15,5 მმ	13 მმ
სიგანე . . .	18 "	18 "	16 "	13,5 "
სისქე . . .	12,5 "	11,5 "	10,5 "	9 "

აღწერა. — აღწერილ ნიმუშებიდან მხოლოდ ორივე საგდულითაა წარმოდგენილი, სხვებს მხოლოდ მუცლის საგდული აქვთ შერჩენილი. ნიჟარა სამკუთხოვანია, უმეტეს შემთხვევაში უფრო განიერი, ვიდრე გრძელი, ზოგჯერ კი — თანაბარი სიგრძე-სიგანის. ზურგის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე მუცლის. პატარა ნიმუშზე საგდულები თითქმის თანაბრად არიან გამობურცული. თითოეულ საგდულზე 10-18 საშუალო ზომის წიბოა. წიბოთა რიცხვი საგდულებზე თანაბარია. თხემთან წიბოები წვრილნი არიან, ზოგჯერ ისინი ულუბოდ უჩინარია, შემდეგ თანდათან მსხვილდებიან და ბოლოს შებლის კიდესთან უკვე საკმაოდ მსხვილნი არიან. შემჩნეულია წიბოთა დატოტვა. ზრდის ხაზების ულუბოდ გარჩევა ძნელია; ოთხ ნიმუშს შედარებით კარგად ეტყობა დაკბილული ზრდის ხაზები. წიბოების გადაკვეთის ადგილას ეს ზრდის ხაზები ნიჟარას სუსტად დაუჯრულ იერს აძლევენ. თხემი წვეტიანია და საშუალო მოღუნულობის. ფორამენი იშვიათად ჩანს, იგი პატარაა და მრგვალი. გვერდის კომისური სწორია, ოდნავ გაღუნული მუცლის საგდულისკენ, შებლის — ტალღებრივი და ასიმეტრიული. ერთ პატარა ნიმუშს ემჩნევა მუცლის საგდულზე სინუსი და სინუსში სამი წიბო, ეს ნიმუში სხვებთან შედარებით ნაკლებ ასიმეტრიულია. ერთ ნიმუშზე კარგადაა წარმოდგენილი ხელის აპარატი.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუშები მორთულობით და თხემის მოყვანილობით ზედა ცარცულ *Rhynchonella plicatilis* Sow.-ის ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, ამ ჯგუფიდან *Rh. rionensis* Anth.-ს ჩამოჰგავს საერთო იერთ და მოკაშმულობით, განსხვავდება მისგან: სინუსის უქონლობით, უქედობით, ასიმეტრ-

რიული, ტალღებრივი შუბლის კომისურით (*Rhynch. rionensis* Anth. ის კი მუცლის მხრიდან ლათინური *U*-სებრი კომისური ახასიათებს), ნიჟარის წაგრძელებულ სამკუთხოვანი ფორმით. *Rhynch. rionensis* Anth. მორგავლებულ სამკუთხოვან და ფართო ფორმებს შეიცავს, ეს ნიმუშები კი წაგრძელებულნი არიან შუბლის კიდის და თხემის შევიწროების გამო, განსხვავდებიან აგრეთვე წიბოთა დატოტვით, ზრდის მკრთალი ხაზებით და თხემის წვეტიანობით.

ამ ნიმუშთა ზუსტი სტრატეგრაფიული მდებარეობა უცნობია, ან დანიური ან პალეოცენური ფორმებია.

სად აურობა. — ცხაკაია, ს. მენჯი (ბაქნის პირდაპირ) მთავარის თავზედ.

კოლექცია. — ივ. კაპარავასი.

რიცხვი. — 14.

Rhynchonella tschkchariensis Sp. n.

ტაბ. 6, სურ. 2

პოლოტიპი № 190-3 ინახება საქ. სახ. მუზ. გეოლ. განყ.ში.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე . . . 16 მმ	15,5 მმ	11 მმ	9 მმ	8 მმ
სიგანე . . . 17 "	17 "	12 "	11 "	10 "
სისქე . . . 11 "	9 "	8 "	7 "	5 "

აღწერა. — ნიჟარა სამკუთხოვანია, უფრო განიერი, ვიდრე გრძელი, პატარა ნიმუშებს ზოგჯერ თანაბარი სიგრძე-სიგანე აქვთ. ნიჟარა ძლიერ ასიმეტრიულია. ზურგის საგდული საკმაოდ გამოზურცულია, განსაკუთრებით თხემის ქვეშ და ნიჟარის შუა ნაწილში. მუცლის საგდული კი — თითქმის ბრტყელია. მუცლის საგდულს პალეალურ მხარეზე აქვს მეტ-ნაკლებად ღრმა სინუსი, რომელიც მოზრდილ ფორმებში დაწეული და წაგრძელებულია ცალ მხარეზე, ხოლო მეორე მხარე შუბლის კიდისა აწეულია. ამიტომ შუბლის კომისურს ტეხილი ხაზის იერი აქვს. მუცლის საგდულის სინუსის შესაბამისად ზურგის საგდულს ქედი ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ პატარა ნიმუშებზე სინუსი არ არის ისე მკაფიოდ გადაადგილებული რომელიმე მხარისაკენ, როგორც ეს დიდ ნიმუშებზეა, სინუსი აქ დაახლოებით შუაშია, მაგრამ მინც ასიმეტრიული; გვერდის კომისური ცალ მხარეზე სწორია, მეორეზე — ჯერ სწორი, შემდეგ გაზნეწილი მუცლის საგდულისაკენ და ბოლოს დაშვებული შუბლის კიდისაკენ თაღურად.

ზოგიერთ ნიმუშს აქა-იქ ემჩნევა საეკვო ქავლ-ხაზები, განსაკუთრებით კარგად ჩანან ეს ქავლ-ხაზები ერთ ნიმუშზე შუბლის კიდესთან. ერთ ნიმუშზე შესაძლებელი გახდა ზრდის ხაზთა გაკვლევა თხემიდან შუბლის კიდემდე და აღმოჩნდა, რომ ზრდის ხაზები ასიმეტრიულნი არიან. ზრდის ხაზები იშვიათია, მაგრამ მკაფიო.

თხემი ამართულია და არა მკაფიოდ გამოყოფილი კიდევები ახასიათებს. ფორამენი ძლიერ პატარაა და მრგვალი. დელტიდიუმში არა ჩანს.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუშები ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურის მიხედვით არცერთ მესამეულ და ზედაცარცულ რინქონელას არა ჰგავნან. ეს ფორმა ჩამოჰკავს ქვედა ცარცულ *Rh. cherenensis* var. *undulata* Jacob et Fallot-ს. 54, ტაბ. IV, სურ. 11 *a-b-c*, 12 *a-b-c*, არა 7-10), ორტალღოვანი შუბლის კიდეთ და აწეული თხემით, მაგრამ განსხვავდება საგრძნობლად, სახელდობრ ზემოთ დასახელებული სახესხვაობა შუბლის კიდესთან 2-3 წიბოიანია, მორგვალეული ფორმა აქვს და შედარებით უფრო სიმეტრიულიც არის, მაშინ როდესაც ჩემს ნიმუშებს აშკარად გამოსახული ასიმეტრიულობა ახასიათებთ და სამკუთხოვანი ფორმა აქვთ. ყოველივე ამას თან ერთვის მათ შორის არსებული სტრატეგრაფიული ზღვარი.

სადაურობა. — ჩხარ-აჯამეთი, მდ. ჩარჩხულას ხეობა. ოვერზული კონგლომერატებიდან [13; 29].

კოლექცია. — ს. ჩიხელიძის.

რიცხვი. — 23.

Rhynchonella muchuriensis n. sp.

ტაბ. 3, სურ. 5

პოლოტიბი № 190-25 ინახება საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყ.ში.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე . . .	23 მმ
სიგანე . . .	23 „
სისქე . . .	16 „

აღწერა. — ნივარა სამკუთხოვანი ფორმისაა, მისი სიგრძე-სიგანე თანაბარია, ზურგის საგდული უფრო გამოზურცულია. უდიდესი გამოზურცულობა ზურგის საგდულს თხემს ქვეშ ემჩნევა. მუცლის საგდული სინუსიანია, ხოლო ზურგის საგდული ამოზნექილი და ამალღების ცალ მხარეზე სალტისებური ხაზი მიუყვება. მუცლის საგდულს სიგრძის თითქმის $\frac{1}{3}$ -ზე ემჩნევა მკრთალი ქველხაზები, რომელნიც შემდეგ წვრილ წიბოთა ხასიათს იღებენ და ერთ-ერთ ზრდის ხაზს არშისავეით უვლიან გარშემო; ზურგის საგდულზე წვრილი ხაზები ცხადად გამოსახულია. ისინი საგდულის მეორე ნახევარში უფრო ცხადნი არიან, მაგრამ წიბოებს მაინც არ წარმოადგენენ; შემჩნეულია, რომ თითო ხაზი ორად იტოტება და თითოეულ ახალ ტოტს წყვილ-წყვილად მოუყვებიან ხაზები. ორივე საგდულზე ზრდის ხაზები ნათელია, თხემთან ისინი უფრო მკრთალნი არიან, ასევე შემდეგ საგდულის ნახევრამდე, და ბოლოს კი ისინი ცილდებიან ერთმანეთს და გამოსახულიც უფრო ნათლად არიან. გვერდის კომისური ჯგერ სწორია, შემდეგ რკალურად გაზნეილი მუცლის საგდულისკენ; შუბლის კომისური — ლათინური U-სებრია, მორგვალეული. თხემი ძლიერ გადმოსრილია ზურგის საგდულზე, წვეტით არის დამბობილი მასზედ. თხემის გადმოღუნვა უეცარია, ისე, რომ მუცლის საგდულს არ ემჩნევა თხემისმიერი გადაღუნვა. თხემის კიდეები მორგვალეულია. ფორამენი არა ჩანს.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუში *Rh. plicatilis* Sow.-ის ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, ამას ადასტურებენ: ნიჟარის საერთო იერი, წიბოებისა და ზრდის ხაზთა ურთიერთ გადაკვეთის გამო მიღებული სახე მორთულობისა, გადმოღუნული თხემი და კომისურების ხასიათი. ამ ჯგუფიდან ყველაზე მეტად ჰგავს *Rhynch. rionensis* Anth.-ს, შედარება ამქალაქებს აგრეთვე განსხვავებებს: ეს ნიმუში უფრო ვიწროა საერთოდ და უფრო შევიწროებული პალეალურ მხარისაკენ; თხემის ნაწილიც მას სამკუთხოვანი აქვს; თხემი საერთოდ უფრო დიდი და მალაღია და წვეტიც უფრო გადმოღუნულია, ვიდრე ეს *Rhynchonella rionensis*-ს ახასიათებს. თხემის კიდეები ამ უკანასკნელს ბასრი აქვს, ჩემს ნიმუშს კი მორგვალეული. გარდა ამისა *Rh. rionensis* Anth. ცნობილია ცხადად გამოსახელი წიბოებით და ასეთივე ცხადი ზრდის ხაზებით და რკალეებით.

სადაურობა. — ს. მუხურთი. უფრო ზუსტი აღვლმდებარეობა მითითებული არ არის.

კოლექცია. — ნ. ყიფიანის.

რიცხვი. — 4.

Rhynchonella chethensis n. sp.

ტაბ. 3, სურ. 6

ჰოლოტიპი № 190-9ა ინახება საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყ-ში.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე . . . 21 მმ

სიგანე . . . 23 „

სისქე . . . 14 „

ჩემ ხელთ ერთი კარგად დაცული ნიმუშია.

აღწერა. — ნიჟარა ზურგის საგდულიდან მორგვალეულ სამკუთხოვანია, მუცლის საგდულიდან — ხუთკუთხოვანი. ზურგის საგდული უფრო ამობურცულია, ვიდრე მუცლის. ნიჟარა გლუვია. შესამჩნევია მხოლოდ ზრდის კონცენტრული მკრთალი ხაზები. მუცლის საგდულია სინუსიანია, სინუსი მორგვალეულია. იგი არ არის ღრმა, გარდა ამისა სინუსური ჩაღრმავება მხოლოდ შუბლის კიდესთან ეტყობა და საგდულის შუა ნაწილი და უფრო ქვემოთაც საკმაოდ ამობურცულია. ზურგის საგდული ამოზნექილია დაწყებული კარდინალური მხარიდან პალეალურ მხარემდე. გვერდის კომისური ჯერ სწორია, პალეალურ მხარისკენ მიახლოვებისას რკალური, შუბლის კომისური მორგვალეული, ლათინური *U*-სებრი. თხემი პატარაა, არ არის ამოზნექილი, თითქმის ამართულია, მისი გადაღუნვა ზურგის საგდულისკენ მცირეა, ფორამენი იმდენად პატარაა, რომ არც კი ჩანს. დელტიდიუმი უჩინარია.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუში მოყვანილობით, მრგვალი სინუსით, უნაოქო გვერდებით, პატარა და არა ამოზნექილი თხემით ჰგავს *Rh. decipiens* d'Orb.-ს (რომელიც უკაოზ და ფალოს *Rh. spoliata* Suess-ის სინონიმიკაში შეჰყავთ), განსხვავდება მისგან: უფრო მეტად გამობურცული საგდულებით,

განსაკუთრებით კი ზურგის საგდულის გამობურცვით. კარაკაში ხაზს უსვამს *Rh. decipiens* d'Orb.-ის საგდულთა მცირე გამოზნეკილობას [23, გვ. 205, ტაბ. XXI, სურ. 8 abc-9 abc]. კარაკაშის იგივე ნიმუშებს უფრო მაღალი და შევიწროებული თხემი ახასიათებთ, ჩემი ნიმუშები კი კარდინალურ მხარეზე საკმაოდ ფართო არიან. დ'ორბინის მიერ დასურათებულ ნიმუშებს [58, ტაბ. 494, სურ. 13-16], განსხვავებით ჩემს მიერ აღწერილი ნიმუშებისაგან ახასიათებთ საკმაოდ ღრმა სინუსი, რომელიც თითქმის თხემის არედან იწყება (აქ აღწერილ ნიმუშზე მხოლოდ შუბლის კიდებთან), და ძლიერ მკაფიო ზრდის რგოლები, მაშინ როდესაც ჩემს ნიმუშს მხოლოდ ზრდის ხაზები აქვთ. ზრდის ხაზები დ'ორბინის ნიმუშებზე გადაკვეთილი არიან ჰვავლ-ხაზებით, მაშინ როდესაც ეს ნიმუში სავესებით გლუვია. დ'ორბინის ნიმუშებსვე (სურ. № 13) კარგად გამოსახული მრგვალი ფორამენი და ორნაწილიანი დელტიდიუმი აქვთ, ჩემს ნიმუშზე კი, მიუხედავად კარგი დაცულობისა, ორივე უჩინარია. ჟაკობისა და ფალოს *Rh. decipiens* d'Orb.-საგან [54, ტაბ. 1, სურ. 5 abc 8 abc] განსხვავებით, ჩემს ნიმუშს ახასიათებს მეტი სიმეტრიულობა მთლიანად და ნაწილობრივ შუბლის კომისურის. ვარდა ამისა ჟაკობისა და ფალოს ნიმუშს (სურ. 6) ემჩნევა კარგად გამოსახული წიბოები, ჩემი ნიმუში კი სავესებით გლუვია. მსგავსება ჩემს ნიმუშს აქვს აგრეთვე *Rh. spoliata* Suess-თან (ტიტონური ფორმა) [54, გვ. 14, ტაბ. 1, სურ. 2-4 და 5-8], მაგრამ მისგანაც განსხვავდება ნათლად გამოსახული სიმეტრიულობით, უწიბრობით, უფრო სუსტი სინუსით და უფრო ცხადად გამოვლენილი თხემით. აღსანიშნავია, რომ ჟაკობი და ფალო *Rhynch. decipiens* d'Orb.-ს თვლიან *Rh. spoliata* Suess-ის ბარემულ ფორმად. აღსანიშნავია, რომ ეს ნიმუში ჰგავს აგრეთვე *Rh. agviensis* Popph.-ს ფორმით, მუცლის საგდულის სინუსიანობით, შუბლის კომისურის მორგველებით და პატარა ზომის თხემით. განსხვავდება მისგან სუსტად გამოსახული მოკლე და ვიწრო სინუსით, ზრდის ხაზთა არსებობით, უფრო გამობურცული საგდულებით, ზურგის საგდულის შუბლის კიდის მორგველებით და მორგველებული თხემით.

მიუხედავად მსგავსებისა, ზემოთ აღნიშნულ განსხვავებათა საფუძველზე არ შემიძლია ჩემი ნიმუში *Rhynch. decipiens* d'Orb.-ს მივაკუთვნო. მეტი მასალის დაგროვების შემდეგ შესაძლოა გამოინახოს *Rh. spoliata* Suess, *Rh. decipiens* d'Orb., აღწერილი ფორმის და შუა ეოცენური *Rhynchonella agviensis* Popph.-ის გადაშენებული საფეხურები, ამ პირობებში კი შესაძლებლად მიმაჩნია ეს ნიმუში პირობითად აღვწერო როგორც *Rhynchonella chethensis* n. sp. სადაურობა. — სამეგრელო. ხეთის ეოცენური კირქვები.

კოლექცია. — ივ. კაჭარავასი.

რიცხვი. — 2.

Rhynchonella agviensis Popph.

ტაბ. 5, სურ. 4.

პოლოტიპი № 197-154 ინახება საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყოფილებაში. 1943. *Rhynchonella agviensis*, ფოფხაძე [12], გვ. 134, ტაბ. 1, სურ. 6.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე . . . 19,5 მმ	19 მმ	15 მმ	13 მმ	12 მმ
სიგანე . . . 24 „	22 „	15 „	13 „	12 „
სისქე . . . 12 „	13 „	8 „	8 „	7 „

დი ა გ ნ ო ზ ი. — ნივარა სამკუთხოვან-ოვალური ფორმისაა, მუცლის საგდული სინუსიანია, ზურგის—სუსტქედინანი; შუბლის კიდის კომისური მორგვალელებულია; ზრდის ხაზები უჩინარია; თხემი საშუალო მოლუნულობისაა და წვეტიანი.

მიმოხილვა. — ეს სახე ჩემ მიერ აღწერილია [12]. დამატებით საჭიროდ მიმაჩნია მისი შედარება *Rh. decipiens* d'Orb. და *Rhynchonella chethensis* n. sp.-თან. ეს სახე მათ ჰგავს ნივარის მოყვანილობით, მუცლის საგდულის სინუსით, შუბლის კიდის მრგვალი კომისურით და შედარებით მცირე ზომების თხემით. *Rhynchonella decipiens* d'Orb.-საგან ეს სახე განსხვავდება: უფრო დაბალი თხემით და თხემის კიდეების სიბასრით, ძლიერ პატარა ფორამენით, უჩინარი დელტიდიუმით, ზურგის საგდულის სამკუთხოვანი ფორმით, მოკვეთილი შუბლის კიდით, გვერდის სწორი კომისურით, გლუვი ნივარით და ზრდის ხაზების უჩინარობით; *Rh. decipiens* d'Orb.-ს კი ზურგის საგდული მორგვალელებული აქვს, მასვე ჯერ სწორი, შემდეგ ზურგის საგდულისკენ განუქილი და ბოლოს შუბლის კიდისკენ ბლაგვი კუთხით დაშვებული კომისური ახასიათებს, *Rh. decipiens* d'Orb.-ს, დ'ორბინის დასურათების მიხედვით [58, ტაბ. 494, სურ. 13-16]. კავლ-ხაზები აქვს, ხოლო ეაკობისა და ფალოს მიხედვით [54, ტაბ. IX, სურ. 6] შუბლის კიდესთან წიბოვებითაა მორთული.

Rhynchonella chethensis n. sp.-საგან განსხვავდება: ცხადად გამოსახული ღრმა სინუსით, რომელიც თითქმის თხემის მიდამოებიდან იწყება, ზრდის ხაზთა უქონლობით, საგდულთა ნაკლები გამომხრეულობით (შედარებით ბრტყელი ფორმით), ზურგის საგდულის შუბლის კიდის მოკვეთილობით, შედარებით ფართო სინუსით და წვეტიანი თხემით.

სადა უ რ ო ბ ა. — ლენხუმისა და რაჰის შუა ეოცენის ნუმულიტებიანი და დისკოციკლინებიანი კირქვები (სარწყელა, ს. ალვი და ს. ჭყვიში).

ქართლი. ს. ურბნისი, მდ. მტკვრის ნაპირას გაშოშვლებულ ქვიშაქვებიდან, რომელნიც თანხმობით მოსდევნენ შუა ეოცენის კირქვებს [5].

კ ო ლ ე ქ ც ი ა. — მ. ფოფხაძის (რაჭა-ლენხუმიდან). ივ. კაჭარავასი (ს. ურბნისიდან).

ოჯახი Terebratulidae Grey

გვარი Terebratula (Lihwyd) Klein

Terebratula buplicata (Brocchi) Sow.

1814. *Anomia buplicata*, Brocchi. Conch. Fos. გვ. 469, ტაბ. 10, სურ. 8.

1815—1825. *Terebratula buplicata* Sow. Miner. Conch. ტ. I, გვ. 201. ტაბ. 90; ტ. V, გვ. 53, ტაბ. 437, სურ. 2.3.

1847. *Terebratula Dutempleana*, d'Orbigny [58] გვ. 93, ტაბ. 511, სურ. 5,6,7.
- 1851—55. *Terebratula biplicata*, Davidson. [42] გვ. 55-57, ტაბ. VI, სურ. 33-42; ტაბ. IX, სურ. 37.
1874. *Terebratula biplicata*, Davidson. [43], გვ. 33, ტაბ. V, სურ. 1-2.
1872. *Terebratula biplicata*, Stolizka. [67], გვ. 19, ტაბ. IV, სურ. 2-17.
1937. *Terebratula biplicata*, Lechner [57], გვ. 196, ტაბ. 18, სურ. 24-27.
1939. *Terebratula biplicata*, Daque [46], გვ. 37, ტაბ. IV, სურ. 7-13.
1945. *Terebratula biplicata*, ნუცუბიძე [10], გვ. 166.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე . . .	44 მმ	36 მმ	30 მმ	22 მმ	16 მმ
სიგანე . . .	30 "	23,5 "	22 "	16 "	13 "
სისქე . . .	27 "	24 "	18 "	13 "	10 "

აღწერა. — ნიქარა მოგრძო ოვალურია, თითქმის ხუთკუთხოვანი, მუცლის საგდული უფრო გამოზურცულია. იშვიათადაა საგდულები თანაზომიერი. სხედასხვა ნიმუშებში საგდულთა გამოზურცვის ხარისხი ხშირად ცვალებადია, ასევე ცვალებადია ნიქარის მოხაზულობაც. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ ტალღებრივი, შუბლის—ორნაოქიანი. კარგად დაცულ ნიქარებს მეტნაკლები სიციხადით ემჩნევა ზრდის კონცენტრული ხაზები, რომელნიც განსაკუთრებით ხშირნი არიან გვერდებთან და შუბლის კიდესთან. ნიქარა გლწეფია, მაგრამ ზოგიერთ ნიმუშს მუცლის ან ზურგის საგდულზე—ზოგჯერ კიდევებთან, ზოგჯერ კი შუა ნაწილში ემჩნევა გრძივი ქველ-ხაზები. ზურგის საგდული სინუსიანია, სინუსის სიღრმე სხედასხვა ნიმუშებზე ცვალებადია; სინუსს აქეთიქით ქედები მოსდევენ, რომელნიც განსაზღვრავენ ნიქარის ორნაოქიანობას და მის ხარისხს. ნიქარა შუბლის კიდისაკენ თხელდება. ზოგიერთი ნიმუშის მუცლის საგდულზე ჩანს სამი ბუნდოვანი სებტა, ზოგიერთ ნიმუშზე სებტები—ნათელია. თხემი საშუალო ზომისაა, მორგვალბული, სუსტად გადმოღუნული ზურგის საგდულზე. ფორამენი მრგვალია, საშუალო ზომის, დელტიდიუმი არა ჩანს.

მიმოხილვა. — სოვერბის შრომა ხელთ არ მქონია, მაგრამ ეს ფორმები სხვა ავტორებსაც ძლიერ კარგად აქვს აღწერილი და დასურათებული. აღწერილი ნიმუშები თვისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით: მორგვალბული, შედარებით მოკლე თხემით, მრგვალი, ზომიერი სიდიდის ფორამენით, მოგრძო-ოვალური, რამდენადმე ხუთკუთხოვანი ფორმით, შუბლის ორნაოქიანობით, ზრდის ხაზებით და სიგრძივი ქველ-ხაზებით ეკუთვნიან *Ter. biplicata*-ს დევიდსონის დასურათებისა და აღწერის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ჩემს მასალაში შესამჩნევია სხედასხვა ნიშან-თვისებათა რყევა, მავალითად: სინუსის სიღრმის, ნაოქთა ურთიერთ დაცილების, ორნაოქიანობის მეტნაკლები სიციხადის, გამოზურცულობის ხარისხის, ზომების და სხვათა მხრივ. მა-

გრამ თვით დევიდსონი [42, გვ. 56] აღნიშნავს, რომ არცერთი სახე არ ცვლებადობს ისე, როგორც *Terebratula buplicata*, მაგრამ არ არის საძნელო გაკვლევა იმ რგოლებისა, რომელნიც შეუმჩნეველი გრადაციით გადაბამენ უკიდურეს ვარიაციებს. აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ადგილობრივი პირობების გავლენით ზურგის საგდული მეტნაკლები სიცხადით განიცდის ბიპლიკაციას და ნაოქებშორისი სინუსი სხვადასხვა სიგანის და სიღრმის არისო. ასევე დიდი ცვლებადობა არის ნიჟარის საერთო მოხაზულობაში და სხვ. დევიდსონის ეს მოსაზრება აღსატურებს, რომ ჩემს მასალაში ამ მხრივ საეჭვო რამ არა ყოფილა, ხოლო სხვადასხვა ნიმუშებში ნიშან-თვისებათა ცვლებადობა აქაც ადგილობრივი პირობების გავლენით უნდა აიხსნას. ამასვე მიდასტურებს ის გარემოებაც, რომ ჩემს მასალაშიც შესაძლებელია გაკვლევა იმ რგოლებისა, რომელნიც ერთმანეთთან გადაბამენ განსხვავებულ ნიშან-თვისებებთან ფორმებს. უფრო დაწვრილებით: საგდულთა გამომზრცულობის მხრივ ჩემს მასალაში მრავალფეროვნებაა, ასევე სიგრძის მხრივ; ზოგიერთი ნიმუშის ზომა ესატყვისება დევიდსონის ფორმათა ზომებს, მაგალითად ნიმუშები კვაცხუთიდან; ხოლო ნიმუშები ქუთაისიდან უფრო პატარა ტანის არიან. აღნიშნული განსხვავება ფაციალური განსხვავებით უნდა აიხსნას: ნიმუშები კვაცხუთის ღრმა ზღვის ნალექებიდან შედარებით დიდი ტანის არიან, ხოლო ნიმუშებს ქუთაისის ნაკლები სიღრმის ზოლიდან პატარა ტანი ახასიათებთ.

ასაკობრივი განსხვავების ნიშნები კარგად ეტყობათ გუმბრში ნაპოვნი ნიმუშებს, რომელნიც ტანით პატარანი არიან, შუბლის კიდეებთან ბიპლიკაციის ნიშნები თითქმის არა აქვთ, გვერდის კონისური ნაკლებ ტალღებრივია, ოვალური არიან და საგდულებიც თანაზომიერი ამომზრცულობის აქვთ: ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს დევიდსონი *Terebratula buplicata*-ს ახალგაზრდა ფორმების დამახასიათებლად თვლის.

ჩემ მიერ დამუშავებულ მასალაში შეიძლება გამოიყოს:

1. ამ სახის ტიპური, იტალიურ ფორმებთან დაახლოებული ნიმუშები,
2. ინგლისური ფორმების მსგავსი ნიმუშები და აგრეთვე,
3. უფრო ფართო და შებრტყელებული, ნაოქებდაცილებული ფორმები,

რომელნიც დევიდსონმა 1852 წელს გამოჰყო, როგორც *Terebratula buplicata* var. *Dutempleana* d'Orb.

ეს სახე პირველად (1814 წ.) აღწერა ბროკსმა *Anomia buplicata*-ს სახელით. ამ სახეში ის აერთიანებდა იტალიის (ტოსკანა) ზედა ცარცის მოგრძო-ოვალურ თითქმის ხუთკუთხოვან და შუბლთან ორნაოკო ტერებრატულებს. 1815 და 1825 წ. სოვერბიმ *Terebratula buplicata*-ს სახელით აღწერა გოლტის და სენომანის ორნაოკო ტერებრატულები. მის შემდეგ მრავალი ავტორი აღწერს ამ ტერებრატულებს *Ter. buplicata*-ს სახელით ზოგი ბროკსის გაგებით, ზოგი კი—სოვერბის და ზოგი (მათ შორის დევიდსონი) აერთიანებს ბროკსის და სოვერბის ფორმებს.

ამ სახეს მე ეიხილავ დევიდსონის ვაგებით, ე. ი. მასში ვერთიანებ როგორც ტიპურ, ისე ინგლისური ფორმების მსგავს ნიმუშებს, სახესხვაობებს კი—ცალკე გამოვყოფ.

4. საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—A.

ქ. ნუკუბიძეს აღნიშნული სახე ვრცლად და კარგად აქვს აღწერილი (ლორეშა, ხარაგოული და ნიკორწმინდიდან), მას გამოყენებული აქვს ვარიაციული სტატისტიკის მეთოდი იმის დასადასტურებლად, რომ ცვალებადი ნიშნების მქონე ფორმები ამავე სახის ფარგლებში თავსდებიან. ჩემ მიერ აღწერილი ფორმები საქართველოს სხვა ადგილებიდან არიან.

სადაურობა. — რაჭა. ს. კვაცხუთი, მოთეთრო ნაცრისფერი კაეიანი და მარკაზიტისანი ძლიერ წვრილმარცვლოვანი აბტური მერგელოვანი კირქვები; აფხაზეთი, ს. კალდახვარა, ციხის ნანგრევების აღმოსავლეთით, შოსედან 1,5 კმ-ზე; აფხაზეთი. გუმისტუ [36; 37], ქუთაისი, მდ. წყალწითელას მარჯვენა ნაპირი, *Ancyloceras*-იანი, ნაცრისფერი მერგელოვანი ქვედა აბტური კირქვები; ს. გუმბრი, შოსესთან, წყალტუბოდან 4 კმ-ის მანძილზე, ზედა აბტური მონაცირისფრო ოდნავ ქვიშიანი მერგელები; ნიკორწმინდა, აბტური კირქვები.

გავრცელება. — ინგლისი. ზედა აბტური, გოლტი, სენომანური, სენონური. ევროპაში—გოლტი, სენომანური და ზედა ცარცულის ზედა ნაწილი (დევიდსონი). გერმანია. სენომანური ჰრელი ქვიშაქვები და თეთრი ცარცი (დაკე).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის (ს. კვაცხუთიდან, ქუთაისიდან და ს. გუმბრიდან); ივ. კაპარავასი (ბზიფიდან); ვლ. კუროჩინის (გუმისტადან); ივ. რუხაძის და მ. ერისთავის (ნიკორწმინდიდან).

რიცხვი. — 60.

Terebratula bicipitata Sow. var. *Dutempleana* d'Orb.

1847. *Terebratula Dutempleana*, d'Orb. [58], გვ. 93, ტაბ. 511, სურ. 1, 2, 3.

1851—55. *Terebratula bicipitata* Sow. var. *Dutempleana*, Davidson [42], გვ. 57, ტაბ. VI, სურ. 1, 6, 7, 8, 9.

ზომები

სიგრძე	28 მმ	26,5 მმ	23,5 მმ
სიგანე	25,5 "	23,5 "	19 "
სისქე	16,5 "	15 "	12 "

აღწერა. — ნივარა ხუთკუთხოვანია, უფრო გრძელი, ვიდრე განიერი. საგდულები თითქმის თანაზომიერად არიან გამობურცულნი. მუცლის საგდულის გამობურცულობა ოდნავ მეტია, ვიდრე ზურგის. უდიდესი სიგანე საგდულის შუა ნაწილშია, მკვამ შეზღის კიდესთანაც ნივარა საკმაოდ ფართოა (განსხვავება მცირეა, 2 მმ-ს ფარგლებში). გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ ტალღებრივი, შეზღის — ორნაოკიანი. ზურგის საგდული სინუსიანია, სინუსი ზომიერი სიღრმისაა, საკმაოდ ფართო და შემდეგ მას აქეთ-იქით ქედები მიჟვება. ნაოკები საკმაოდ დაცილებულია ერთი-მეორეს. ნიმუშზე ჩანან ზრდის ხაზები და რგოლები. ნივარა გლუვია, მხოლოდ ერთ ნიმუშს (გუმბრიდან) გადაცეითლ ადგილზე ემჩნევა მკრთალი სიგრძივი ხაზები და წინწყლები. თხემი არ არის გრძელი. მისი კიდეები მორგვალელებულია, გვერდიდან იგი ჩამოკვეთილს ჰგავს. ფორამენი საშუალო ზომისაა, მრგვალი; დელტიდიუმი არა ჩანს.

მიმოხილვა. — დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: ზომიერი მრგვალი თხემი, მრგვალივე ფორამენი, უჩინარი დელტიდიუმი, ორნაოქიანობა შუბლთან, ზურგის საგდულის სინუსიანობა და სხვა ნიშნები ადასტურებენ, რომ ეს ფორმები *Terebratula bicipitata* Sow.-ს ეკუთვნიან, მაგრამ განსხვავდებიან მისგან საგდულთა მეტი სიფართით, განსაკუთრებით შუბლის კიდედსთან, საგდულთა შედარებით გაბრტყელებით და ნაოქთა დაცილებით, რითაც აღნიშნული ნიმუშები ესატყვისებიან დევიდსონის მიერ აღწერილ *Ter. bicipitata* Sow. var. *Dutempleana* d'Orb.-ს, ეს ნიმუშები ასევე ძლიერ ჰგვანან დ'ორბინის *Terebratula Dutempleana* ს, რომელიც დევიდსონს ზემოთ აღნიშნულ სახესხვაობაში შეჰყავს. ვიზირებ აგრეთვე დევიდსონის მოსაზრებას [42, გვ. 57], რომ იმავე ტაბულაზე სურ. 5, 6, 7 *Terebratula bicipitata*-ს ტიპურ ფორმებს უფრო წააგვანან და მათთან უნდა იქნან განხილული. *Terebratula bicipitata* var. *obtusa* Sow.-საგან [42, გვ. 57, ტაბ. VI, სურ. 3, 10, 11] ეს ფორმები და აგრეთვე დევიდსონის ნიმუშები განსხვავდებიან: ნაკლები სიფართით და კარგად გამოსახული ორნაოქიანობით, მაშინ, როდესაც ზემოთ დასახელებულ სახესხვაობას ორნაოქიანობა ან არ ემჩნევა სრულიად, ან მისი მხოლოდ ჩანასახი აქვს.

სადაურობა. — ქუთაისი, წყალწითელას მარჯვ. ნაპირი. ნაცრისფერი მერგელოვანი ქვ. აბტური კირქვები; გუმბრი, აბტური კირქვები; წყალტუბო; რაჭა, ს. კვაცხეთი, აბტური კირქვები; ნიკორწმინდა.

გაფრცელება. — ინგლისის ზედა აბტური, გოლტი, სენომანური (დევიდსონი).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის (ქუთაისიდან და ს. გუმბრიდან); ფალავასი (წყალტუბოდან); ივ. რუხაძის (ნიკორწმინდიდან); მ. ერისთავის (ს. კვაცხეთიდან).

რიცხვი. — 6.

Terebratula sella Sow.

1847. *Terebratula sella*, d'Orhigny [58], გვ. 91, ტაბ. 510, სურ. 6—12.
 1851—55. *Terebratula sella*, Davidson [42], გვ. 59, ტაბ. VIII, სურ. 4, 69.
 1858. *Terebratula sella*, Pictet et Renevier [61], გვ. 144, ტაბ. XX, სურ. 3 ან.
 1907. *Terebratula sella*, Kapakau. [23], გვ. 212, ტაბ. XX სურ. 3, 12.
 1910. *Terebratula sella*, Kilian [55], გვ. 360, ტაბ. 12, სურ. 10 ab.
 1945. *Terebratula sella*, ნუტუბიძე [11], გვ. 170.

ზომები

სიგრძე . . .	27 მმ	24 მმ	22 მმ	20 მმ
სიგანე . . .	23 „	22,5 „	21 „	19,5 „
სისქე . . .	13 „	14 „	10 „	10 „

აღწერა. — ნივარა რამდენადმე ხუთკუთხედიანია, უფრო გრძელი, ვიდრე ფართო. საგდულები თითქმის თანაბარი გამოზურცულობის არიან. ზურგის საგდული სინუსიანია, მუცლის—ქედიანი. შუბლის კიდე ორნაოქიანია, გვერ-

დის კომისური ტალღებრივი; შუბლის კიდე ვათხელებულია და აწეული. ზოგჯერ ნიმუშს აქა-იქ ემჩნევა რადიალური ხაზები, ერთ-ერთი ნიმუშის ორივე საგდული დასერილია ხშირი და წვრილი რადიალური ხაზებით. ზრდის კონცენტრული ხაზები მხოლოდ ზოგჯერ ნიმუშზეა შესამჩნევი. თხემი სუსტადაა გადმოღუნული ზურგის საგდულზე, ფორამენი საშუალო ზომისაა (3—3,5 მმ დიამეტრში) და მრგვალი, ერთ ნიმუშს ფორამენის ქვეშ ემჩნევა ჩაჭრილობა შუაში, მაგრამ მკვეთრად გამოსახული დელტიდიუმი არა ჩანს.

მიმოხილვა — აღწერილი ნიმუშები შუბლის კიდის მკვეთრი და აწეული ნაოქებით, ღრმა შუალა სინუსით, ორნაოქიანობით, სუსტად გადმოღუნული თხემით, რადიალური წვრილი წიბოებით, ნიქარის მოყვანილობით შესატყვისნი არიან დევიდსონის *Terebratula sella* Sow.-ის, მაგრამ დელტიდიუმი, რომელიც ძლიერ დამახასიათებელია ამ სახისათვის, ჩემს ნიმუშებზე არა ჩანს, რაც, ალბათ, ნიმუშების არადამაკმაყოფილებელი დაცულობის შედეგია.

ცნობილია, რომ *Terebratula sella* Sow.-ს წარმომადგენლები ზოგჯერ ძლიერ ჰგვანან *Ter. bispicata*-ს, მაგრამ უკანასკნელისაგან განმასხვავებელი ნიშან-თვისებები: ღრმა სინუსი, ნაოქთა აწევა შუბლის კიდესთან და მათი სიმკვეთრე, მოკლე, სუსტად მოღუნული თხემი და სხვა ნიშნები, როგორც ზემოთაც ითქვა, მკაფიოდ არიან გამოსახული ჩემს ნიმუშებზე და განარჩევენ მას ამ მონათესავე სახისაგან. დ'ორბინის მიერ დასურათებულ ნიმუშებს დიდი ფორამენი უჩანთ, რაც ასხვავებს მათ ჩემი ნიმუშებისაგან, მაგრამ ამ ავტორის მიერ დასურათებული ნიმუშები, ალბათ, გადიდებული არიან, ვინაიდან კილიანს *Terebratula sella* Sow. ბუნებრივი ზომით აქვს დასურათებული და მისი ნიმუშები, როგორც საერთო იერით და ზომებით, ისე სხვა ნიშან-თვისებებით საესნებით შესატყვისნი არიან ჩემი ნიმუშებისა და ფორამენიც მათ იმავე ზომის აქვთ, როგორც სხვა ავტორთა და ჩემს ნიმუშებს. კარაკაშის *Ter. sella* Sow.-ს აღწერილი ნიმუშები წააგვანან შუბლის სიფართით და მუცლის საგდულის ქედით.

კოლექციაში არის თექვსმეტამდე ისეთი ნიმუში, რომელნიც ძლიერ ჰგვანან *Ter. sella* Sow.-ს შუბლის ნაწილის გაფართოებით, ნაოქთა სიახლოვით და სხვა, მაგრამ ამავე დროს *Ter. bispicata* Brocchi (Sow.)-საც ჩამოჰგვანან საგდულთა მეტი ამოხნეილობით, ნაოქთა ნაკლები სიმკვეთრით და სხვა ნიშნებით. ერთი სიტყვით, ორივე სახისადმი იჩინენ მსგავსებას, მაგრამ დარწმუნებით არცერთი მათგანისადმი მიკუთვნება არ შეიძლება. შესაძლებელია ეს ნიმუშები გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ ამ ორ სახეთა შორის და შესაძლოა მართალი არიან ბრონი და ბუხი [42, გვ. 60], რომელნიც *Ter. sella*-ს იხილვენ, როგორც მხოლოდ სახესხვაობას ან სინონიმს *Ter. bispicata*-სი. მასალის შეზღუდულობის გამო შესაძლებლობა არა მაქვს ეს საკითხი უფრო დაწვრილებით და ფართოდ დავამუშავო.

საქართველოდან (მუხური და ბზიფის ხეობა) ამ სახის წარმომადგენლები აღწერილია ქ. ნუსუბიძის მიერ. ჩემი ნიმუშები საქართველოს სხვა ადგილებიდანაა.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. — ქუთაისი. აბტური კირქვები; გოდოვანი. ქვ. აბტური ნაცრისფერი *Douvilleiceras*-იანი მერგელები და *Aneyloceras*-იანი კირქვები; წყალტუბო. ქვ. აბტური ქვიშაქვიანი კირქვები.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. — ინგლისი. აბტური, გოლტი; სენომანური (დევიდსონი); შვეიცარიის პოტრივეული; საფრანგეთი. აბტური (დ'ორბიანი); ყირიმი. ს. საბლის და ს. ბიასლის ვალანჟინური, პოტრივეული, ბარემული და აბტური კირქვები (კარაკაში); ჩრდ. კავკასია. ასის რაიონის პოტრივეული (რენგარტენი).

კ ო ლ ე ქ ც ი ა. — შ. ფოფხაძის (ქუთაისიდან, გოდოვიანიდან); შ. ფალავასი (წყალტუბოდან); ე. ვახანიასი (გაგრიდან).

რიცხვი. — 34.

Terebratula cf. praelonga Sow.

1816. *Terebratula praelonga*, Sow. Trans. of the Geol. Soc. ტ. IV, ტაბ. XIV, სურ. 14.

1847. *Terebratula praelonga*, d'Orbigny [58], გვ. 75 ტაბ. 506, სურ. 1-7.

1850. *Terebratula praelonga* d'Orbigny [59], გვ. 85.

1851—55 *Terebratula praelonga*, Davidson [42], გვ. 58, ტაბ. VII, სურ. 1-2.

1945. *Terebratula praelonga*, ნუცუბიძე [10, 11], გვ. 170.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	43 მმ	34 მმ	32 მმ	14 მმ
სიგანე	33 "	28 "	14 "	6 "
სისქე	18 "	16,5 "	14 "	6 "

ა ღ წ ე რ ა. — ნიჭარა მოვრძო-ოვალურია. მუცლის საგდული ოდნავ მეტად არის ამობურცული, ვიდრე ზურგის. თხემის მიდამოები საერთოდ მეტი ამობურცულობისაა. საგდულს თითქმის თხემიდან შუბლის კიდემდე მიუყვება ქედი, რომელსაც აქეთ-იქით თითო ღარი მისდევს. ზურგის საგდული შუბლის კიდის მახლობლად სინუსიანია. სინუსს აქეთ-იქით მისდევს ამაღლება და შემდეგ კვლავ ჩაღრმავება, რის გამოც ზურგის საგდულის შუბლის კიდე ორნაოქიანია და ორსინუსიანი. შუბლის კომისური *M*-სებრია. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ გახრილი პალეალურ მხარისაკენ. ნიჭარას ზედა შრე გადაცლილი აქვს ზოგ ადგილას და აქ სავსეკო რადიალური ხაზები არიან შესამჩნევნი. ზრდის კონცენტრული ხაზები ზოგ ნიმუშზე კარგადაა გამოსახული, ზოგზე კი ბუნდოვანად. თხემი ბლაგვია, სუსტადაა გადმოღუნული ზურგის საგდულზე. ფორამენი დიდია (დიამეტრში 4-5 მმ) და მრგვალი. დელტიდიფი არა ჩანს. კოლექციისაში ერთი პატარა ნიმუშია, რომლის შუბლის კომისური უნაოქოა და ნიჭარა სამკუთხოვანი ფორმისაა.

შ ი მ ო ხ ი ლ ე ა. — აღწერილი ნიმუშები მოყვანილობით, ორნაოქიანობით და სხვა ნიშან-თვისებებით *Terebratula sella* Sow.-ს და *Terebratula bicipata* (Bro-

ecli) Sow.-ს ჰგვანან. განსხვავდებიან მათგან შემდეგით: *Terebratula bispicata* უფრო გამოზურცული ფორმაა, თითქმის ხუთკუთხოვანი, მას მორგველებული და გადმოღუნული თხემი აქვს, ეს ნიმუში კი—მოგრძო-ოვალურია და ბლაგვი, სუსტად გამოღუნული თხემი ახასიათებს. *Terebr. sella* Sow. უფრო მოკლე და განიერი ფორმაა, ოდნავ გაბრტყელებული, შუბლის კიდე ათაღებულ და აწეული აქვს.

ეს ნიმუშები უფრო მეტად ჰგვანან დევიდსონის და დ'ორბინის მიერ დასურათებულ *Terebratula praelonga* Sow.-ს: თხემის მოყვანილობით, კარდინალური მხარის დაგრძელებით, ნიჟარის მოგრძო ოვალური ფორმით, დიდი ფორამენით და სხვა ნიშნებით.

განსხვავდება მისგან უფრო დაცილებული ნაოქებით, რის გამო, ზოგ შემთხვევაში მეტი სიფართოე ახასიათებს. შესაძლოა ჩემი ნიმუშები სწორედ იმ დამაკავშირებელ ფორმებს წარმოადგენენ, რომელთა არსებობის შესაძლებლობას აღნიშნავს დევიდსონი [42, გვ. 58]. დაბეჯითებით ამის მტკიცების უფლება არა მაქვს მასალის სიმცირის გამო.

სადაურობა.—ს. აბანო (სამხრ. ოსეთი). აბტური ნაღებები. რაჭა. ს. ჩორჯოს აბტური კირქვები.

გავრცელება.—ინგლისი. აბტური ნაღებები (დევიდსონი), (სოვერბი). საფრანგეთი. ქვ. ნეოკომური (დ'ორბინი). ს. ლორეშას, ს. ლაშეს, ს. მოლითის აბტური (ქ. ნუცუბიძე).

კოლექცია.—უცნობის (ს. აბანოდან). მ. ერისთავის (ს. ჩორჯოდან). რიცხვი.—5.

Terebratula A. Sp. nova?

ტაბ. 1, სურ. 5

ჰოლოტიპი № 190-2 ინახება საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიის განკ-ში.

ზომები

სიგრძე	20 მმ	19 მმ	16 მმ	1 მმ
სიგანე	15,5 "	14,5 "	12 "	11 "
სისქე	8 "	8 "	7,5 "	7 "

აღწერა.—ნიჟარა წაგრძელებულ-ოვალურია. ძლიერ შევიწროვებული კარდინალურ ნაწილში და გაფართოებული პალეალურ მხარისაკენ, სადაც სიფართოე ზოგჯერ 18 მმ-ს აღწევს; როგორც ზომებიდანაც ჩანს, ნიჟარა შუა ნაწილშიც საკმაოდ ფართოა. საერთოდ კი სიგრძე კარბობს სიგანეს. ნიჟარა ბრტყელია, თუმცა თხემთან მუცლის საგდული საკმაოდ გამოზურცულია. ნიჟარის სინუსი არა აქვს. გვერდის და შუბლის კომისურები სწორია. ნიჟარა გლუვია, აქვს მხოლოდ მცირერიცხოვანი ზრდის კონცენტრული ზაზები, რომელნიც ზოგჯერ საკმაოდ ნათლად არიან გამოსახულნი. მუცლის საგდულს თხემთან ემჩნევა 2-3 სუბტა. თხემი ვიწროა, საკმაოდ გადმოღუნული ზურგის საგდულისაკენ. ფორამენი მრგვალია, ზომით 2-3 მმ დიამეტრში.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუშები ერთი შეხედვით მოგვაგონებენ კარაკაისის მიერ აღწერილ და დასურათებულ *Terebratula extensa Meyer*-ს [23, გვ. 212, ტაბ. XXI, სურ. 28], მაგრამ განსხვავდებიან მისგან უფრო მცირე ზომებით, საგდულთა ნაკლები ამოხეჩილობით, ფორამენის სიპატარავით, გვერდის სწორი კომისურით, ძლიერ ვათხელებული შუბლის კილით და სხვა ნიშნებით. ასევე მეკეთრად განსხვავდებიან ეს ნიმუშები დევიდსონის *Ter. extensa Meyer*-საგან [42, ტაბ. V, სურ. 22—24]. აღწერილი ნიმუშები ერთი მეორისაგან განსხვავდებიან ზომებით. შესაძლოა განსხვავება ასაკობრივი იყოს, ვინაიდან ეს ნიმუშები ცხადად განსხვავდებიან ცნობილი ფორმებისაგან. ამიტომ მათ კითხვის ნიშნით გამოვყოფ ახალ სახედ.

სადაურობა.—რაქა. ს. კვაცხუთის და ლემანეულის აპტური კირქვები; ქუთაისის ქვ. აპტური კირქვები; ს. ცედანის ქვ. ნეოკომური კირქვები [6].
 კოლექცია.—მ. ფოფხაძის (კვაცხუთიდან); ივ. რუხაძის და გ. ჰელიძის (ლემანეულიდან); ნ. კანდელაკის (ს. ცედანიდან [6]); სობორიევსკის (ქუთაისიდან).

რიცხვი.—4.

Terebratula Moutoniana d'Orb.

1848. *Terebratula Moutoniana*. d'Orbigny [58], vol. IV, გვ. 42, ტაბ. IV, სურ. 11—13.
 1874. *Terebratula Moutoniana* Davidson [43], გვ. 42, ტაბ. IV, სურ. 11—13.
 1907. *Terebratula Moutoni*, Каракаш. [23], გვ. 213, ტაბ. XX, სურ. 4, 22 და 31, ტაბ. XXI, სურ. 24, 26, 27.
 1945. *Terebratula Moutoniana* ნუტუბიძე [11], 172.

ზომები

სიგრძე . . .	40 მმ	23 მმ	20 მმ	15 მმ
სიგანე . . .	30 "	18 "	14 "	13 "
სისქე . . .	19 "	12 "	7 "	8 "

აღწერა.—ნიეარა მოგრძო ოვალურია. კარდინალური მხარე შესამჩნევად შევიწროებულია, მუცლის საგდული მეტი ამობურცულობისაა, ვიდრე ზურგის. ნიეარა უსინუსოა. იგი ვათხელებულია შუბლის კილისაკენ. ნიმუშთა უმეტესობას ახასიათებს წვრილი რადიალური ხაზები, ზოგი ნიმუში კი სავსებით გლუვია. ზრდის ხაზები მეტ-ნაკლებად ნათელნი არიან. ორივე საგდულზე შუბლის კომისური სწორია, ან მორგვალეული. გვერდის კომისური რამდენადმე გაღუნულია შუბლის კილისაკენ. თხემი საკმაოდ გადმოღუნულია ზურგის საგდულისაკენ და შესამჩნევად ამობურცულია; ფორამენი საშუალო ზომისაა, დელტიდიფი არ ჩანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი დიდი ნიმუში (სიგრძით 40 მმ) გოლოგნიდან, რომელიც ზემოთ აღწერილი ნიმუშებისაგან განსხვავ-

დება ჯერ ერთი დიდი ზომით და შემდეგ ნაოქების ჩანასახით მუცლის საგდულზე. მათ შუბლის კიდემდე ვერ მიუღწევიათ და ამიტომ შუბლის კომისური აქაც სწორი, მორგვალეულია. თხემი ამ ნიმუშსაც ძლიერ გადმოღუნული აქვს ზურგის საგდულისაკენ და სხვა ნიშნებიც მათი მსგავსი აქვს.

მიმოხილვა.—აღწერილი, შედარებით პატარა ტანის ნიმუშები შესატყვისნი არიან დ'ორბინის ფორმების. განსხვავება მხოლოდ ზომებშია. დედისონსაც ინგლისის აპტურიდან უფრო მცირე ტანის ფორმები აქვს აღწერილი. დ'ორბინი აღნიშნავს, რომ ამ სახის ზრდადამთავრებულ ინდივიდთა სიგრძე მერყეობს 20—40 მმ შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩემი ნიმუშები უმეტეს შემთხვევაში ზრდადამთავრებულნი არიან. ჩემს მასალაში, როგორც ზეითაც მოვიხსენიე, ერთი ნიმუშია 40 მმ-ის სიგრძის, რომელიც საესებით შესატყვისია, კარაკაშის მიერ დასურათებული და აღწერილი ნიმუშებისა, რომელთაც კარაკაშის თელის ტიპიურ ფორმად და დ'ორბინის ფორმების მსგავსად.

აღწერილი ნიმუშები რომ მართლაც *Ter. Moutoniana* d'Orb.-ის ეკუთვნიან, ამას ადასტურებენ: ნიმუშთა მოგრძო-ოვალური ფორმა, საკმაოდ მოღუნული თხემი, ამოხნილი მუცლის საგდული, სწორი, მორგვალეული შუბლის კომისური, ჯერ სწორი, შემდეგ გაღუნული გვერდის კომისური, შედარებით სქელი კარდინალური მხარე, ბრტყელი პალეალური მხარე და სხვა ნიშნები. როგორც დედისონის და კარაკაშის, ისე ჩემი ნიმუშებიც განსხვავდებიან დ'ორბინის მიერ აღწერილი ფორმებისაგან გაღუნული გვერდის კომისურით.

ქ. ნუცუბიძის მიერ აღწერილი ამ სახის ნიმუშები სხვა ადგილიდან არიან. სადაურობა.—ჩიჭა. ს. კეაცხუთის და ს. შქმერის ბარემული და აპტური კირქვები; იმერეთი. ს. გოდოგანის ალბური კირქვები.

გავრცელება.—ინგლისი. აპტური ნალექები (დევიდსონი). საფრანგეთი. ნეოკომური (დ'ორბინი). ყირიზი. ს. ბიასალის ბარემული კირქვები, სიმფეროპოლის კონგლომერატისებრი ბარემული კირქვები, ს. საბლის და ს. ჩოკურჩის ბარემული ქვიშიანი კირქვები (ანთულა).

კოლექცია.—მ. ფოფხაძის (კეაცხუთიდან); ი. ხეჩინაშვილის (გოდოგანიდან); მ. ერისთავის (ს. შქმერიდან) [9, 8].

რიცხვი.—60.

Terebratula cf. *Moutoniana* d'Orb.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე . . .	44 მმ	38 მმ	35 მმ	29 მმ + x
სიგანე . . .	32 „	31 „	24 „	27 „
სისქე . . .	22 „	20 „	17 „	15 „

რამოდენიმე ათეული ნიმუშიდან, მხოლოდ რამდენიმეა კარგი დაცულობის.

აღწერა.—ნიჭარა მოგრძო-ოვალურია; მუცლის საგდული უფრო გამოზურკულია და ამასთანავე მოღუნულიც, რის გამო თხემი ძლიერ გადმოღუნულის შთაბეჭდილებას ახდენს, სინამდვილეში კი საშუალო გადმოღუნულობისაა.

ზურგის საგდული თითქმის ბრტყელია, ან სუსტადაა გამოზურცული. გვერდის კომისური ზოგ ნიმუშზე სწორია, შუბლის კიდესთან მიახლოებისას მორგვალე-ბული, ზოგ ნიმუშზე ჯერ სწორი, შემდეგ გაზნეკილი მუცლის საგდულისაკენ და ბოლოს რკალურად კვლავ ზურგის საგდულისაკენ შემობრუნებული. შუბლის კომისური ზოგ ნიმუშზე მორგვალეებელია, ზოგზე ტალღებრიობის ჩანასახი ემჩნევა. ზოგიერთ ნიმუშს განსაკუთრებით კარგად ეტყობა ზრდის კონცენტრული ხაზები, რომელნიც დასაწყისში მრგვალი არიან და შემდეგ ოვალური. თითქმის ყველა ნიმუშს მიუყვებიან სხივური ქველ-ხაზები. თხემი საშუალო გადმოდუნელობისაა. ფორამენი ფართოა და მრგვალი.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუშები ამჟღავნებენ მსგავსებას როგორც *Ter. praelonga* Sow.-ის, ისე *Ter. Moutoniana* d'Orb.-სადმი.

პირველისაგან განსხვავდებიან მუცლის საგდულის მეტი მოღუნვით და ამის გამო ამ საგდულის მეტი გამოზურცულობით, უსინუსობით და უნაოჭობით, მაშინ როდესაც *Ter. praelonga* Sow. ორ სინუსოვანი და ორნაოჭია. *Ter. Moutoniana* d'Orb.-ის ჩემი ნიმუშები ჰგვანან გვერდის და შუბლის კომისურებს სისწორით და მორგვალეობით. ზოგიერთი ნიმუში ამჟღავნებს ოდნავ ტალღებრიობას შუბლის კიდესთან, რაც უჩვეულო არ არის ამ სახისათვის, მაგალითად დევიდსონის მიერ დასურათებული ნიმუშიც ასეთია (სურ. 116), დ'ორბინის და კარაკაშის მიერ დასურათებული ნიმუშები უფრო ფართო ფორმებია, ვიდრე ჩემი, ამიტომ მათ აღწერე როგორც *Terebratula* cf. *Moutoniana* d'Orb.-ს.

სადამურობა.—აფხაზეთი. ბზიფის ბარემული და აბტური ნალექები. [25; 26].

გავრცელება.—იგივე, რაც წინა სახისათვის.

კოლექცია.—ვლ. კუროჩინის, ივ. კაქარავასი, გ. ჩხობუასი. რიცხვი—50.

Terebratula cf. *depressa* Lam.

1819. *Terebratula depressa*, Lam. Hist. des. An. Vert., ტ. VI, გვ. 249.

1859. *Terebratula depressa*, d'Orbigny [59], გვ. 72.

1851—55. *Terebratula depressa*, Davidson [42], გვ. 70—71, ტაბ. IX. სურ. 9—24.

1875. *Terebratula depressa*, Davidson. [43], გვ. 40, ტაბ. IV, სურ. 1—4.

1941. *Terebratula depressa*, ნუცუბიძე [10], გვ. 60.

ზომები

სიგრძე . . .	42 მმ	37 მმ	36 მმ	30 მმ
სიგანე . . .	36 „	32+ x „	36 „	30 „
სისქე . . .	16 „	29 „	16 „	(მხოლოდ ერთი საგდული)

აღწერა.—ნიჟარა საქმიოდ დიდი ზომისაა, ოდნავ ხუთკუთხოვანი, მორგვალეული კიდეებით. ნიჟარა განივ გაბრტყელებულია, ისე რომ მისი სიგრა-

ძე-სიგანე ან თანაბარია, ან თითქმის თანაბარი. ერთ ნიმუშს მუცლის საგდულზე, შუა ნაწილიდან ემჩნევა სიგრძივი დეპრესია, დანარჩენ ნიმუშებზე იგი არ ჩანს (დეფორმაცია). საგდულები თითქმის თანაბარი გამოზურკულობისაა. გვერდის კომისური სწორია, შუბლის — მორგვალეული, ერთ ნიმუშზე — ტალღებრივი. ზრდის კონცენტრული ხაზები ნათელია. ზოგ ნიმუშზე თხემი საკმაოდ მოლუნულია, ზოგზე — შედარებით სუსტად. ფორამენი საშუალო ზომისაა. დელიტიფი არ ჩანს.

მიმოხილვა. — აღწერილი ფორმები თავისი მოყვანილობით და ზომებით ყველაზე მეტად *Terebratula depressa*, Lam.-ს უახლოვდებიან, სახელოდობ: საკმაოდ გაღმორუნული თხემით, სწორი და თან მორგვალეული კიდევებით, გაბრტყელებული საგდულებით, ნიქარის ხუთკუთხედიანი მოყვანილობით. შესამჩნევია განსხვავებაც, მაგალითად: დევიდსონის მიერ აღწერილ და დასურათებულ ფორმებს ახასიათებთ: დიდი ფორამენი და შედარებით მეტი სიგრძე, ჩემს ნიმუშებს კი — ფორამენი პატარა აქვთ და სიგრძე-სიგანეც უმეტეს შემთხვევაში თანაბარია; მაგრამ დევიდსონისავე ზოგიერთ ნიმუშს (ტაბ. IX, სურ. 11) თანაბარი სიგრძე-სიგანე აქვს და იმავე ტაბულაზე მე-16-ე და მე-19-ე ნიმუშების ფორამენი არც თუ ძალიან დიდია. ე. ი. აღნიშნული განსხვავება სახის ფარგლებშივე თავსდება. გარდა ამისა დევიდსონი აღნიშნავს, რომ *Terebratula depressa* Lam.-ის ფორმა და ზომები საგრძნობლად ცვალებადნი არიანო. როგორც აღწერაშიც მოვიხსენიე, ერთ ნიმუშს ახასიათებს შუალა დეპრესია და ამის გამო შუბლის კიდის ტალღებრივი კომისური. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ნიმუში დეფორმირებული არ არის, ეს ნიშნები განსხვავებაზე მიანიჭ არ მიუთითებენ, ვინაიდან დევიდსონი აღნიშნავს, რომ საგდულები ხანში შესვლისას ან შუალა ნაოკის გარეშე რჩებიან, ან ზომიერად ამოწეული ნაოკი უჩნდებათ, რაც შესამჩნევია მე-IX ტაბულის მე-14-ე სურათზე. მათსადაამე, ეს ნიმუში, თვისი თითქოსდა განსხვავებული ნიშნებით, ზედმეტად ადასტურებს, რომ აღწერილი ნიმუშები, მართლაც, ზემოთ დასახელებულ სახეს ეკუთვნიან, მაგრამ ვინაიდან ისინი ვერ არიან საკმაოდ კარგი დაცულობის, ამიტომ მათ *Terebratula cf. depressa* Lam.-ის სახელით აღვწერ.

სადღურობა. — აფხაზეთი. ბზიფის ხეობა; იმერეთი. მუხურის აბტური. გავრცელება. — ინგლისი. სენოზანური (დევიდსონი). კოლექცია — ვლ. კუროჩინის (ბზიფიდან); მ. ერისთავის (მუხურიდან). რიცხვი. — 8.

Terebratula depressa Lam.

- 1851—1855. *Terebratula depressa*, Davidson [42], გვ. 70, ტაბ. IX, სურ. 9—24.
1858. *Terebratula depressa*, Pictet et Renevier [61], გვ. 144, ტაბ. XX, სურ. 4.
1874. *Terebratula depressa*, Davidson [43], გვ. 40, ტაბ. IV, სურ. 1—4
1941. *Terebratula depressa*, ნუტუბიძე [10], გვ. 60.

ზ ო მ ე ბ ი:

სიგრძე . . . 41 მმ	39 მმ	37 მმ	32 მმ
სიგანე . . . 35 "	35 "	33 "	27 "
სისქე . . . 20 "	17 "	17 "	15 "

აღწერა.—დიდი ტანის ნიმუშებია, ფორმით—მორგვალბული, ოვალური და ხუთკუთხოვანი. სიგრძე-სიგანესთან შედარებით სისქე არა აქვთ დიდი, პირიქით ნიმუშები გაბრტყელებული ჩანან, განსაკუთრებით ბრტყელია ზურგის საგდული. მუცლის საგდული მეტ-ნაკლებად ამოზნექილია. გვერდის კომისური მორგვალბულია, ზოგჯერ სწორი და შემდეგ გაზნექილი ზურგის საგდულისაკენ. ასეთ შემთხვევაში შუბლის კომისური ოდნავ ტალღებრივია, ზოგჯერ კი იგი მორგვალბულია. ნიმუშს ზრდის კონცენტრული ხაზები მკრთალად ემჩნევა და ისიც აქა-იქ. ერთ ნიმუშზე შესამჩნევია წერტილი რადიალური ქავლ-ხაზები. თხემი არ არის ძლიერ გადმოღუნული. გვერდიდან თხემი უფრო მოღუნული ჩანს და მას მოკვეთილის იერი აქვს. ფორამენი დიდი და განივ-ოვალური (5—4 მმ დიამეტრში). ნიმუშები თითქმის ყველა სიმეტრიულია.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუშები ყველა დამახასიათებელი ნიშანთვისებით: მოყვანილობით, ასიმეტრიულობით, თხემის გადმოღუნვის ხარისხით, დიდი და განივ-ოვალური ფორამენით, მორგვალბული და ოდნავ ტალღებრივი კომისურებით ძლიერ ჰგვანან დევიდსონის *Terebratula depressa* Lam. მსგავსებას აძლიერებს რადიალური ქავლ-ხაზების არსებობა დაუქვევებლად შეიძლება ჩემი ნიმუშების ამ სახისადმი მიკუთვნება.

სადაურობა.—ჩათახი. ფორთ-ფორთი. სენომანური [19], ქუთაისი. აპტური.

გავრცელება.—ინგლისი. აპტური. სენომანური.

კოლექცია.—ლ. გელოვანის და ივ. რუხაძის.

რიცხვი.—5.

Terebratula sp. indet.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე . . . 19 მმ
სიგანე . . . 18 "
სისქე . . . (დაზიანებულია)

ჩემს ხელთ მხოლოდ ერთი, და ისიც დაზიანებული ნიმუშია. ნიმუში მხოლოდ მუცლის საგდულითაა. საგდულის აღწერა მომყავს ქვემოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ნიმუში ალბური ნალექებიდანაა, რაც იშვიათია როგორც ჩემს, ისე ქ. ნუცუბიძის მასალებში.

აღწერა.—მუცლის საგდული ოვალურია, ასიმეტრიული, ემჩნევა მკრთალი ზრდის ხაზები. ზრდის ხაზი თხემის მახლობლად კონცენტრულია, ასევე

საგდულის შუა ნაწილში, მხოლოდ პალეალურ მხარისაკენ მიახლოებისას ცალ მხარეზე მორგვალებულია, მეორეზე წავრძელებული (წაფერდებული). მუცლის საგდული თხემთან ახლოს უფრო გამოზურცულია, ვიდრე შუა ნაწილში. თხემი საშუალოდაა გადმოღუნული, მაგრამ ზემოთ მოხსენებული ამოხნეილობის გამო ძლიერ გადმოღუნულის შთაბეჭდილებას ახდენს. თხემის კიდევები მორგვალებულია, ფორამენი საშუალო ზომისაა, ოვალური. გვერდის კომისური სწორია, შუბლის—დაზიანებული. ზურგის საგდული არ აქვს.

მიმოხილვა.—ასეთი დეფექტური ნიმუშის განსაზღვრა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება მის გვერდით სხვა ნიმუშთა არსებობის პირობებში, მაგრამ ვინაიდან მხოლოდ ერთი ნიმუშია, ისიც დაზიანებული და არავითარი თავისებურების გამომსახველი ნიშან-თვისება არა აქვს, ამიტომ მისი განსაზღვრა შეუძლებელი აღმოჩნდა.

სადა უ რ ო ბ ა.—რიცეულის ალბური ნალექები.

კ ო ლ ე ქ ც ი ა.—მ. ერისთავის. რიცხვი—1.

Terebratula gagriensis n. sp.

ტაბ. 2, სურ. 4

ჰოლოტიპი № 117—70 ინახება საქ. მუზ.-ის გეოლოგიის განყ.-ში.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე . . .	33 მმ	31 მმ	30 მმ	29,5 მმ	28 + X
სიგანე . . .	27 მმ	26 მმ	24 მმ	24,5 მმ	28 მმ
სისქე . . .	18 „	17 „	18 „	16 „	17 „

აღწერა.—ნივარა წავრძელებულ-ბუთკუთხოვანია. საგდულები თითქმის თანაბარი გამოზურცულობის არიან. ზურგის საგდულის უდიდესი სისქე შუა ნაწილამდეა, შემდეგ იგი თანდათან წვრილდება. შუბლის კიდე გათხელებულია და ძლიერ აწეული (ამაღლებულია). გვერდის კომისური თითქმის სწორია, შუბლის კიდესთან მიახლოებისას ტალღებრივია, ხოლო შუბლის კომისური ოდნავ უ-სებრია. ზოგიერთ ნიმუშს ორივე გვერდისაკენ ემჩნევა ჩაღრმავება, სახელდობრ ნივარის სიგრძის $\frac{2}{3}$ -იდან. ერთ ნიმუშზე, რომელსაც მუცლის საგდულზე ნივარის ზედა ფენა გადაცლილი აქვს, კარგად ემჩნევა ხშირი და წვრილი რადიალური ხაზები. რადიალური ხაზები შემჩნეულია სხვა ნიმუშებზედაც. ზრდის კონცენტრული ხაზები შედარებით კარგადაა გამოსახული; ეს ხაზები შუბლის კიდესთან უფრო ხშირია, ვიდრე ნივარის შუა ნაწილში და თხემის მახლობლად. თხემი არ არის ძლიერ გადმოღუნული, ფორამენი შედარებით პატარაა და მორგვალებული.

მიმოხილვა.—ეს ნიმუშები ფორმით, ზომებით, თხემით და სხვა ნიშან-თვისებებით არ წააგვანან არცერთ ცარცულ ფორმას, რომლებთან შედარების საშუალება მქონდა.

ერთგვარი მსგავსება აღწერილობისა და სურათების მიხედვით ემჩნევა იურულ ფორმებთან, სახელდობრ—*Terebratula cf capitanea* Roll. [31, გვ. 113,

ტაბ. XVI, სურ. 4—6] და *Terebratula Kobyi*. Roll. [31, გვ. 115, ტაბ. XII, სურ. 7—8]; მაგრამ განსხვავებაც შესაძლებელია, მაგალითად: *Ter. cf. capitanea* Roll. უფრო დიდი ტანის და სქელი ფორმა და უფრო მორგვალეული მოყვანილობისაა, ვიდრე ჩემი ნიმუშები. მოსიყვანის ნიმუშები, დაწინწკლულია, რაც ჩემს ნიმუშებზე არ არის შემჩნეული. სამაგიეროდ მათ არა აქვთ რადიალური ჰველ-ხაზები, რომელნიც ახასიათებენ ჩემს ნიმუშებს. *Terebratula cf. capitanea* Rol.-ს ჩემი ნიმუშები ჰგვანან მოყვანილობით, ზურგის საგდულის სუსტი ნაოჭით და წვრილი რადიალური ჰველ-ხაზებით. განსხვავდებიან მისგან ნეკლები სისქით და წაგრძელებულ-ხუთკუთხოვანი ფორმით.

ს ა და უ რ ო ბ ა.—გაგრა.

კ ო ლ ე ქ ც ი ა.—ე. გაბუნისი.

რ ი ც ხ ე ი.—15.

Terebratula obesa Sow.

1825. *Terebratula obesa*, Sowerby. Min. conch., ტ. V, გვ. 54, ტაბ. 438, სურ. 1.

1847. *Terebratula obesa*, d'Orbigny [58], გვ. 101, ტაბ. 513, სურ. 1—4.

1851—1855. *Terebratula obesa*, Davidson [42], ტაბ. V, სურ. 13—16.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე . . . 46 მმ

სიგანე . . . 33 "

სისქე . . . 32 "

ა ლ წ ე რ ა.—ნივარა მოგრძო-ოვალურია, ძლიერ გამობურცული საგდულებით. მუცლის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე ზურგის და უფრო მოზრილიც. ზურგის საგდულს შუბლთან ემჩნევა სიგრძივი დებრესია, რომელსაც აქეთ-იქით მიუყვება ორი გვერდითი ზღაგვი, კარგად გამოსახული ქედი. ქედები არათანაზომიერნი არიან და არათანაბრად არიან დაცილებული დებრესიისაგან, რის გამოა შუბლის კომისური ცხადად ასიმეტრიულია, გვერდის კომისური ტალღებრივი. ნივარა გლუვია; ზრდის კონცენტრული ხაზები საკმაოდ კარგადაა გამოსახული (პირველად მრგვალი არიან, შემდეგ თანდათან გასწორების მიდრეკილება ახასიათებთ და ბოლოს ისინი შუბლთან ასიმეტრიულნი არიან). საგდულის ერთ-ერთ გვერდზე შესაძლებელია სიგრძივი ხაზები. თხემი ძლიერ გადმოწეულია ზურგის საგდულისაკენ. ფორამენი დილია, მრგვალი ფორმის და კიდენამოკვეთილი. დელტიდიუმი არა ჩანს.

მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა.—აღნიშნული ნიმუში ნივარის მოყვანილობით, საერთო იერით და საგდულთა გამობურცულობით ძლიერ ჰგავს, როგორც *Terebratula obesa* Sow.-ს, ისე *Terebratula semiglobosa* Sow.-ს და ნაწილობრივ *Terebratula Dutempleana* d'Orb.-საც (რაც ადასტურებს მათ ნათესაობას და დედისონის მოსაზრებას, რომ შესაძლოა მონახულ იქნას *Ter. obesa*-სა და

Ter. Dutempleana-ს გადამბმელი საფეხურები). მაგრამ ერთი ფრიად დამახასიათებელი ნიშან-თვისება—სახელდობრ დიდი და კიდე ჩამოკვეთილი ფორამენი ცხადსა ჰყოფს, რომ ეს ნიმუში *Terebratula obesa* Sow.-ს ეკუთვნის; ამასვე ადასტურებენ *Ter. obesa*-სათვის დამახასიათებელი, სიგრძივი ხაზები, დიდი, წრიული ფორამენი, ყველა ნაწილში თითქმის თანაბარი გამობურცულობის მუცლის საგდული და ნიჟარის დიდი ზომები.

სადაურობა. — აფხაზეთი. გაგრის რაიონი.

გავრცელება. — ინგლისი. სენოზანური და ზ. ცარცის ზედა ნაწილი (დევიდსონი; სოვერბი). საფრანგეთი. ზედა ტურონული (დ'ორბინი).

კოლექცია. — ე. ვახანიასი.

რიცხვი. — 1.

Terebratula semiglobosa Sow.

1813. *Terebratula subundata* Sowerby. Min. conch. 1, გვ. 47, ტაბ. 15, სურ. 7.

1847. *Terebratula semiglobosa*, d'Orbigny [58], გვ. 514, ტაბ. 514, სურ. 1-4.

1851—1855. *Terebratula semiglobosa* Davidson [42], გვ. 64, ტაბ. VIII, სურ. 6—18.

ზომები

სიგრძე	39 მმ	33 მმ	30 მმ
სიგანე	29 „	25 „	20 „
სისქე	26 „	22 „	20 „

აღწერა. — ნიჟარა მოგრძო-ოვალურია, ძლიერ გამობურცული საგდულებით; მუცლის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე ზურგის და უფრო მეტად მოხრილი. ზურგის საგდულს შუბლისკენ აქვს სუსტი სიგრძივი დებრესია, რომელიც შუბლთან ორ, გვერდის ბლაგვ ქედსა ჰქმნის. გვერდის კომისური S-ის მავარია, შუბლის კი — ტალღებრივი, იგი შუა ნაწილში თითქმის სწორია. ერთი-ორი ნიმუში შუბლთან ოდნავ ასიმეტრიულია. ზრდის კონცენტრული ხაზები კარგად არიან გამოსახულნი.

თხემი ძლიერ მოღუნულია და იმდენად გადმოხრილია ზურგის საგდულისკენ, რომ დელტიდიუმის არსებობაზე ლაპარაკი შეუძლებელია; ფორამენი თითქმის ყველა ნიმუშს დაზიანებული აქვს, მხოლოდ ერთ ნიმუშზე ჩანს, რომ იგი საშუალო ზომისაა და მრგვალი ფორმის. კოლექციაში აღწერილ ნიმუშებთან მოიპოვება ერთი, ტანითაც და, ალბათ, ასაკითაც პატარა ნიმუში, რომელიც თითქმის მრგვალია, უდებრესიო და უქედო, გვერდის კომისური სწორი აქვს, ხოლო შუბლის კომისურის ტალღებრიობის მხოლოდ ჩანასახი ჩანს, რაც დამახასიათებელია ამ ჯგუფის ასაკის პატარა ფორმებისათვის.

მიმოხილვა. — ზემოთ აღწერილი ნიმუშები საერთო იერით და ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებით, როგორცაა: ძლიერ მოხრილი თხემი,

S-სებრი გვერდის კომისური, ორ ქედოვანი შუბლის კომისური, გამობურცული ფორმა და სხვა, ჰევენან როგორც *Terebratula obesa* Sow.-ს, ისე *Terebratula semiglobosa* Sow.-ს. მაგრამ ფორამენით და ზომებით ის *Ter. obesa* Sow.-ისაგან ცხადად განსხვავდება; უკანასკნელს ახასიათებს კიდრამოკვეთილი ფორამენი და შედარებით დიდი ზომები, ე. ი. ამ მხრივაც *Ter. semiglobosa* Sow.-ის მსგავსია. აღსანიშნავია, რომ ეს ნიმუშები მაინც განსხვავდებიან *Terebratula semiglobosa* Sow.-ისაგან, სახელდობრ მით, რომ უფრო მოგრძო-ოვალურნი არიან. *Ter. semiglobosa* კი თითქმის მრგვალი ფორმაა. [42, ტ. I, ნაწ. II, გვ. 64, ტაბ. VIII, სურ. 6—18] და [43, ტ. IV, გვ. 106, ტაბ. 514, სურ. 1—4].

სადა ურობა. — გავრა. დარკვეთი.

გავრცელება. — ინგლისი, გოლტი და ზედა ცარცი, საფრანგეთი, სენონური (დ'ორ ბინი). გერმანია, შუა ტურონული (დაკე).

კოლექცია. — ე. გაბუნიასი (გაგრიდან); უცნობი პირის (დარკვეთიდან).

რიცხვი. — 19.

Terebratula carnea Sow.

1819. *Terebratula subrotunda*, Sow. Min. conch. 1, გვ. 47, ტაბ. 15, სურ. 1—2.

1819. *Terebratula carnea*, Sow. Min. conch. 1, გვ. 47, ტაბ. 15, სურ. 6.

1847. *Terebratula carnea*, d'Orbigny [58], გვ. 103, ტაბ. 523, სურ. 5—8.

1851. *Terebratula carnea*, Davidson [42], გვ. 67, ტაბ. VIII, სურ. 2, 4, 5.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე 44 მმ

სიგანე 40 "

სისქე 20 "

აღწერა. — ნიჟარა მორგვალეზულ-ოვალურია, თითქოსდა გაბრტყელებული (დეფორმაცია). მუცლის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე ზურგის. ზრდის ხაზები კონცენტრული, იშვიათი და ბუნდოვანია. მუცლის საგდულზე საკმაოდ მკაფიოდ ჩანს საშუალო ზომის სიგრძივი ხაზები, ეს ხაზები შესამჩნევია მხოლოდ ერთ ადგილას. გვერდის კომისური სწორია, მორგვალეზული, ასეთივეა შუბლის კომისურიც. ორივე საგდული უნაოკო, უსინუსო და უქედოა. თხემი ძლიერ გადმოღუნულია ზურგის საგდულისკენ, თხემის კიდემი მორგვალეზულია. ერთ ნიმუშს დაზიანებული ფორამენი აქვს, დანარჩენ ნიმუშებზე იგი ძლიერ პატარა არის, დელიტიდიფი უჩინარია.

ნიმუხილივა. — აღწერილი ნიმუში მოყვანილობით, საერთო ივრით და თვისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით: უნაოკობით, სწორი კომისურებით, მოღუნული თხემით, ნაკლებ გამობურცული ზურგის საგდულით და ძლიერ პატარა ფორამენით ჰგავს *Terebratula carnea* Sow.-ს აღწერილს და

დასურათებულს დევიდსონის მიერ. იმავე ტაბულის 1-ლ და მე-3-ე სურათებზე წარმოდგენილი ნიმუშები განსხვავდებიან ჩემი ნიმუშებისაგან ფორმით, სახელდობრ ისინი უფრო გრძელი ფორმებია და ვიწრო. რაც შეეხება დ'ორბინის მიერ აღწერილ და დასურათებულ ნიმუშებს, ჩემ მიერ აღწერილი ფორმები მათი მსგავსნი არიან ძირითადი დამახასიათებელი ნიშანთვისებებით, მაგრამ განსხვავებაც შესაძენევა, მაგალითად—ზრდადამთავრებული ფორმა უფრო წაგრძელებულია კარდინალურ მხარეზე, რის გამო ის ნაკლებ მრგვალია.

სადაურობა. — 1. ქუთაისის მიდამოების ზედა ცარცული.

2. სამეგრელო. ზედაცარცული, სენონური თეთრი კირქვები.

გავრცელება. — ინგლისი. ზედა ცარცულის ზედა ჰორიზონტები (დევიდსონი). საფრანგეთი პარიზის მიდამოების და სხვა ადგილთა სენონური (დ'ორბინი). დ'ორბინი აღნიშნავს მას აგრეთვე—სიმბრისკში, სამეგრელოში და სხვ. ბულგარეთი. სენონური ქვიშაქვები. [35a ცანკოვი]. ჩრდ. კავკ. ასის რაიონი სენონური კირქვები და მერგელები [32].

კოლექცია. — სობრიევსკის (ქუთ. მიდამ-დან); — ბუქაისი (სამეგრელოდან). რიცხვი. — 5.

Terebratula Hilarionis Menegh.

1925. *Terebratula Hilarionis*, Schlosser [66], გვ. 30—31.

1927. *Terebratula Hilarionis* Бончевъ Г. [15], გვ. IV, სურ. 1—4.

1933. *Terebratula Hilarionis* Гочевъ П. [18], გვ. 28—29.

1943. *Terebratula Hilarionis* ფოფხაძე. [12], გვ. 128, ტაბ. 1, სურ. 1—4.

ზ რ მ ე ბ ი

სიგრძე . . .	48 მმ	40 მმ	26 მმ	21 მმ	17,5 მმ
სიგანე . . .	42 "	36 "	24 "	18 "	17 "
სისქე . . .	28 "	27 "	14 "	11 "	11 "

დიაგნოზი. — ნივარა ხუთკუთხოვანია, წაგრძელებული, იშვიათად სინუსიანი, გლუვი, სწორი კომისურებით, მკაფიო და ხშირი ზრდის ხაზებით შუბლის კიდესთან და გვერდებთან, მოღუნული თხემით და პატარა მრგვალი ფორამენით.

ზემოთ აღნიშნული სახე ჩემ მიერ აღწერილია 1943 წ. (12, გვ. 128—129).

მიმოხილვა. — მ. აბიხი ლეჩხუმის ნუმულიტებიანი წყებისათვის ასახელებს ზ. ცარცულ ფორმებს [38, გვ. 146—506] *Terebratula semiglobosa*, *Ter. carnea* და იურულ *Ter. aff numismalis*-ს ლეჩხუმის შუა ეოცენში დაგროვილი ტერებრატულების უხვი მასალის შინაგანი აღნაგობისა და გარეგანი ნიშან-თვისებათა საფუძვლიანმა შესწავლამ [12, გვ. 128—129] გამოარკვია

რომ ჰ. აბიხის მიერ ნახსენები *Ter aff. numismalis*, ევროპის შუა ეოცენში ცნობილ *Terebratula Hilarionis Menegh.*-ს ეკუთვნის. ამ დასკვნას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ უკანასკნელ სახეს მართლაც ამგავსებენ გარეგნულად *Zoelleria numismalis*-ს.

ხელის აპარატის მიხედვით, დასახელებული ფორმები ლენხუმის შუა ეოცენიდან გვ. *Terebratula*-ს ეკუთვნიან. *Ter. Hilarionis Menegh.*-ის გვერდით მოიპოვებინ მისგან ძლიერ მცირედ განსხვავებული ფორმები, რომელთა დაკავშირება ამ სახესთან კარგად ხერხდება გარდამავალ საფეხურთა რიგით, რის საფუძველზედაც ეს ფორმები განხილული მაქვს *Ter. Hilarionis Menegh.*-ის სახესხვაობებად [12, გვ. 190—193]. ეს სახესხვაობებია: *Ter. Hilarionis Menegh. var. fallax* Popch., ფორმები აღწერილი ჰ. აბიხის მიერ *Ter. semiglobosa*-დ; *Terebratula Hilarionis Menegh. var. carneaeformis* Popch., ფორმები აღწერილი ჰ. აბიხის მიერ—*Ter. carnea*-დ და *Terebratula Hilarionis Menegh. var. gibba* Popch. *Ter. Hilarionis Menegh.*-ს დიდი ჰორიზონტული გავრცელება ახსიათებს: ის ცნობილია დიდი ხმელთაშუა ზღვის პალეოგენში დაწებული ბაეარის ალბებიდან—საქართველომდე [12, 13, 15, 18] და ყველგან მხოლოდ შუა ეოცენს უკავშირდება, ე. ი. *Ter. Hilarionis Menegh.* და მისი სახესხვაობანი გეოქრონოლოგიური თვალსაზრისით სახელმძღვანელო ნამარხებს წარმოადგენენ.

სადაურობა. — 1. ლენხუმისა და რაჭის შუა ეოცენის ნემულიტებიანი და დისკოციკლინიანი კირქვები (ცაგერი, ორბელი, თაბორი, ტოლა, სარეწკელა, იღვი, ღვარდია და ქუვიში) [5; 12].

2. ჭართლი. ს. ურბნისი (მდ. მტკვრის ნაპირას გაშიშვლებული ქვიშაქვები, რომელნიც შემოთ თანხმობით მოსდევენ შუა ეოცენის ნემულიტებიანი კირქვებს. ს. გორიჯვარი. ოგერზულის ფუძის კონგლომერატი [2; 4; 5].

გავრცელება. — დიდი ხმელთაშუა ზღვის შუა ეოცენი. ბაეარის ალბები, შეეცარი, ჩრდილო იტალია, უნგრეთი, მცირე აზია (ფრიგია), ბულგარეთი.

კოლექცია. — მ. ფოფხაძის (რაქიდან და ლენხუმიდან); ივ. კაპარავასი (რაქიდან, ლენხუმიდან და ს. ურბნისიდან); დ. კაპარავასი (ს. გორიჯვარიდან). რიცხვი. — 300.

Terebratula Hilarionis Menegh. var. fallax Popch.

ტაბ. 5, სურ. 2

პოლოტიპი № 137-5 ინახება საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყ-ში. 1943. *Terebratula Hilarionis Menegh. var. fallax* ფოფხაძე [12], გვ. 130,

ტაბ. 11, სურ. 1—2.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	47 მმ	45 მმ	43 მმ	38 მმ	31 მმ	23 მმ	19 მმ
სიგანე	35 "	35 "	35 "	29 "	25 "	17,5 "	16 "
სისქე	29 "	24 "	25 "	26 "	16 "	14 "	11 "

5. საქ. სახელმწ. მუზეუმის მთაბებ, ტ. XIV—A

დიაგნოზი. — ნივარა ხუთკუთხოვანია, წაგრძელებული და საკმაოდ გამობურცული. ზურგის საგდულს ახასიათებს სინუსის ჩანასახი, ხოლო ცალ გვერდზე ნაოკი ან ნაოკის ჩანასახი, რის გამო ნივარა ასიმეტრიულია. გვერდის და შუბლის კომისურები სწორია, თხემი გადმოღუნული.

მიმოხილვა. — განსხვავდება *Ter. Hilarionis* Men.-საგან წაგრძელებული ფორმით და ასიმეტრიულობით, ხოლო ცარცული *Terebratula semiglobosa* Sow.-საგან უფრო წაგრძელებული ნივარით, ზურგის საგდულის დიდი გამობურცულობით, უსინუსობით და უნაოკობით, ნივარის ასიმეტრიულობით და უფრო სწორი კომისურებით.

სადაურობა. — ლეჩხუმისა და რაქის შუა ეოცენის ნუშულიტებიანი და დისკოციკლინებიანი კირქვები [5; 12] (ცაგერი, ორბელი, თაბორი, ტოლა, სარეწკელა, ალვი, ლვარდია და ქუვიში).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის.

რიცხვი. — 260.

Terebratula Hilarionis Menegh. var. *carneaeformis* Popch.

ტაბ. 5, სურ. 3

პოლოტიპი № 70ა-5 ინახება საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყ.ში.

1943. *Terebratula Hilarionis* Men. var. *carneaeformis*, ფოფხაძე [12], გვ. 131, ტაბ. 11, სურ. 3—4.

ზომები

სიგრძე	50 მმ	45 მმ	41 მმ	37 მმ	36 მმ	21 მმ	17 მმ
სიგანე	45 "	40 "	35 "	35 "	18 "	18 "	18 "
სისქე	25 "	24 "	22,5 "	19 "	11 "	11 "	

დიაგნოზი. — ნივარა მრგვალია, ან ოვალური, თანაბარი სიგრძე-სიგანისაა, ოდნავ გრძელი. იგი თითქმის ბრტყელია, გლუვი, ზრდის ხაზები მკრთალია ან უჩინარი. გვერდის კომისური სწორია, შუბლის—მორგვალელებული. თხემი გადმოღუნულია, ფორამენი პატარაა და მრგვალი.

მიმოხილვა. — განსხვავდება *Terebratula Hilarionis* Men.-საგან მორგვალელებული ან ოვალური ფორმით და ჩანასახი ნაოკების უქონლობით. ცარცული *Terebratula carnea* Sow.-საგან განსხვავდება რადიალური ხაზების უქონლობით, დელტიდიუმის უჩინარობით, ზრდის ხაზთა სიმციროთ და ბუნდოვნებით, ზურგის საგდულის ნაკლები გამობურცულობით და ამის შედეგად მთლიანად ნივარის მეტი გაბრტყელებით და ზომებით.

სადაურობა. — 1. ლეჩხუმისა და რაქის შუა ეოცენის ნუშულიტებიანი და დისკოციკლინებიანი კირქვები (ცაგერი, ორბელი, თაბორი, ტოლა, სარეწკელა, ალვი, ლვარდია და ქუვიში).

2. ქართლი. ურბნისი (მდ. მტკვრის ნაპირას გაწმენილებული ქვიშაქვები, რომელნიც ზემოთ თანხმობით მისდევნენ შუა ეოცენის ნუშულიტიან კირქვებს) [2; 4; 5].

კოლექცია. — მ. ფოფხაძის, ნაწილი კ. გაბუნიასი და ნ. ყიფიანის.
 ივ. კაქარავასი (ს. ურბნისიდან).
 რიცხვი. — 280.

Terebratula Hilarionis Men. var. *gibba* Popch.

ტაბ. 5, სურ. 2

პოლოტიპი № 66-22 ინახება საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყ-ში.
 1943. *Terebratula Hilarionis* Men. var. *gibba*, ფოფხაძე, [12], გვ. 132,
 ტაბ. 1, სურ. 5.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	35,5 მმ	33,5 მმ	32 მმ	28 მმ
სიგანე	29 "	29 "	27 "	20 "
• სისქე	23 "	19 "	12 "	15 "

ღ ი ა გ ნ ო ზ ი. — ნივარა ძლიერ ასიმეტრიულია, მაღალქედიანი, ზურგის საგდული ბრტყელია; შუბლის კიდე მოკვეთილი. გლუვი ფორმაა, ზრდის ხაზები უმეტესად უჩინარია. გვერდის კომისური სწორია, შუბლის—გაურკვეველი ფორმის ასიმეტრიულობის გამო. თხემი ძლიერ გადმოღუნულია, მისი კიდეები მორგვალეებელია, ფორამენი პატარაა და მრგვალი.

მ ი მ ო ხ ი ლ ე ა. — განსხვავდება *Terebratula Hilarionis* Menegh. და მის, ზემოთ ნახსენებ, სახესხვაობათაგან მუცლის საგდულის მაღალი ქედით (კუზით) და ნივარის ძლიერი ასიმეტრიულობით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. — ლეჩხუმისა და რაჭის შუა ეოცენის ნუმულიტიბინი და დისკოციკლინებიანი კირქევი (სარეწყელა, თაბორი, ჭყვიში).

კოლექცია. — მ. ფოფხაძის, ნაწილი კ. გაბუნიასი, ნ. ყიფიანის და ივ. კაქარავასი.
 რიცხვი. — 30.

Terebratula imeretiensis n. sp.

ტაბ. 6, სურ. 3

პოლოტიპი № 190.3 ინახება საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყ-ში.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	16 მმ	12 მმ	11 მმ
სიგანე	13 "	9 "	8 "
სისქე	9 "	დაზიანებულია	5 "

აღწერა. — ნივარა ტანით პატარაა, სამკუთხოვანი ფორმის. მუცლის საგდული უფრო გამოზურცულია, ვიდრე ზურგის; ზურგის საგდული თითქმის ბრტყელია. გვერდის კომისური სწორია, შუბლის კომისურიც ასევე სწორია, მას მორგვალეებაც კი არ ემჩნევა, განსაკუთრებით მუცლის საგდულიდან. ნივარა გლუვია. ზრდის ხაზები იშვიათია თხემის მიდამოებში და ნივარის შუა ნაწილში, შემდეგ თანდათან ხშირდება და მეტი სიმკვეთრეც ახასიათებთ;

შემჩნეულია რამოდენიმე ზრდის ხაზის შეგვეფუძება. ზრდის ხაზები დასაწყისში მორგვალეებულა, შემდეგ თანდათან სწორდება და ბოლოს შუბლის კომისური თითქმის სულ სწორია. აღსანიშნავია, რომ ზურგის საგდულზე ზრდის ხაზები მორგვალეებულ იერს ბოლომდე ინარჩუნებენ. თხემი საშუალო გადმოღუნულობისაა, უფრო მეტად გამოწეულია, ვიდრე გადმოღუნული ზურკის საგდულისკენ. ფორამენი პატარაა და მრგვალი.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუში სრულიად არა ჰგავს არცერთ ცაცულ და მესამეულ ფორმას, რომელთა დასურათება-აღწერა ხელთ მჭონდა. სადაურობა. — მდ. კარჩხულის დასავლეთით, ოვერზული კონგლომერატიდან [14;].

კოლექცია. — ს. ჩხელიძის.

რიცხვი. — 6.

Terebratula aff. bissinuata Lam.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	59 მმ	50 მმ
სიგანე	50 "	36 "
სისქე	21 "	20 "

აღწერა. — ნიჟარა მოგრძო ოვალურია, უფრო გრძელი, ვიდრე განიერი. ზურგის საგდული ბრტყელია, მუცლის—ზომიერად გამობურცული. უღიდესი სიგანე ნიჟარას შუაში აქვს. სისქე თხემის მიდამოებში და შუაში ერთნაირია, პალეალურ მხარისაკენ კი კლებულობს. კარდინალურ მხარეზე ნიჟარა შევიწროებულია. ნიჟარა დაზიანებულია, დაზიანებულ ნაწილებზე არაერთიარო მოკაზმულობის კვალი არა ჩანს. ზრდის ხაზები, სადაც კი შერჩენილია, ხშირი და წვრილია. გვერდის და შუბლის კომისურები სწორია, თხემი მუცლის საგდულიდან საკმაოდ მოღუნულია, და თვით მუცლის საგდულზეც მოხრილია. ზურგის საგდულიდან თხემი თითქმის ამართულია, ძლიერ მცირედ მოხრილი, თხემის კიდეები მახვილია და მსრებივით გაშლილი, ეს ნაწილი ასიმეტრიულია. ერთ ნიმუშზე შესამჩნევია თითქოს სამკუთხოვანი ორნაწილიანი დელტიდიუმის ნაშთი. ფორამენი ორივე ნიმუშზე დაზიანებულია, ერთ ნიმუშს ემჩნევა, რომ იგი ფართო და განივ-ოვალურია.

მიმოხილვა. — ზემოთ აღწერილი ფორმა მსგავსი არის კოსმანისა და პისაროს მიერ დასურათებულ *Terebratula aff. bissinuata* Lam. [41], ტაბ. [LXII, სურ. 3—1]-ის, სახელდობრ მოგრძო-ოვალური ფორმით, მცირედ მოხრილი თხემით, ზრდის ხაზების ხასიათით. განსხვავდება მისგან ნაკლები შევიწროებით კარდინალურ მხარეზე, გაშლილი გვერდებით თხემის მახლობლად, შედარებით ბრტყელი მუცლის საგდულით და მთლიანად ნიჟარის უფრო გაბრტყელებული ფორმით. დევიდსონს [44, ტაბ. I, სურ. 7] ეს სახე მხოლოდ მუცლის საგდულით აქვს დასურათებული და ამ საგდულის შედარებამ დაამარწმუნა, რომ ის უფრო ჰგავს ჩემს ნიმუშებს, ვიდრე კოსმანისა და

პისაროს ფორმები, დევიდსონის ფორმებიც ნაკლებად არიან შევიწროვებული კარდინალურ მხარეზე. დევიდსონის ნიმუშები განსხვავდებიან ჩემი ნიმუშებისაგან: შევიწროებული შუბლის ნაწილით და უფრო გაღუნული გვერდის კომისურით.

აღნიშნულ განსხვავებათა საფუძველზე მათ აღვწერ, როგორც *Terebratula aff. bissinuata* Lam.

სადაურობა. — სანხ. ოსეთი. კემულთას მიდამოების ზედა ეოცენი [24].
გავრცელება. — პარიზის მიდამოების შუა ეოცენი. ლუტეციური (კოსმანი და პისარო), ინგლისის შუა ეოცენი (დევიდსონი).

კოლექცია. — აღ. ლალიევის (გადმოცემული ივ. კაპარავას მიერ).
რიცხვი. — 2.

Terebratula cf. Seguenziana David.

1900—1901. *Terebratula cf. Seguenziana* Oppenheim. [60], ტაბ. XV, სურ. 14—14B.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	10 მმ
სიგანე	9 "
სისქე	5 "

აღწერა. — პატარა ტანის (ზრდაუქმთავრებელი), მორგვალეული სამკუთხრავანი ფორმის, ასიმეტრიული ნიმუშია, ასიმეტრიულობა ერთ მხარეს ახასიათებს. ზედაპირი გლუვია, ზოგ ადგილას ჩანს სუსტი ზრდის ხაზები გვერდის კომისური სწორია, შუბლის — მორგვალეული, შუბლის კიდე გათხელებულია და ოდნავ აწეული ზურგის საგდულისაკენ. თხემი თითქმის სწორია, ოდნავ გადმოღუნული, ფორამენი ძლიერ პატარაა და მრგვალი.

მიმოხილვა. — აღნიშნული ნიმუში ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურის მხედვეთ წააგავს *Terebratula bissinuata* Lam.-ს [44, გვ. 19, ტაბ. I, სურ. 17], მოკვანილობით, ცალი გვერდის დაფერდებით, თითქმის ჩამოკვეთილი იყოს, მაგრამ განსხვავება ზომებში შესაძლებელია ზრდაუქმთავრებლობით ახსნილიყო, რომ სხვა მკვეთრი განსხვავებაც არ არსებობდეს, სახელდობრ *Ter. bissinuata*-ს ახასიათებს დიდი, მრგვალი ფორამენი და კარგად გამოსახული დელტიდიალური ფირფიტები, აღწერილ ნიმუშს კი ძლიერ პატარა ფორამენი აქვს და დელტიდიალური ფირფიტებიც არ არიან შემჩნეული. აღსანიშნავია აგრეთვე ამ ნიმუშის ძლიერ მკრთალი ზრდის ხაზები და სხვაგვარი მორთულობის უქონლობა, *Terebratula bissinuata* Lam.-ს კი კარგად გამოსახული ზრდის კონცენტრული და აგრეთვე რადიალური ხაზები ახასიათებს.

აღწერილი ნიმუში ამჟღავნებს აგრეთვე მსგავსებას ოპენჰაიმის მიერ დასურათებულ [60, ტაბ. XV, სურ. 14-14 b] *Terebratula seguenziana* David.-სადმი: საერთო მოკვანილობით, თხემისმიერი ნაწილის ოდნავ გადმოღუნვით, პატარა და მრგვალი ფორამენით, საგდულთა თითქმის თანაბარი გამოპურტულობით,

მეტი სისქით საგდულებსა თხემის მახლობლად, საგდულების შუბლის კილისა-კენ გათხელებით, ზურგის საგდულისაკენ ოდნავ აწეული შუბლის კილით და მკრთალი ზრდის ხაზებით. განსხვავდება მისგან გვერდის ასიმეტრიულობით და რადიალური ხაზების უქონლობით, რომელიც ერთ-ერთ სურათს ემჩნევა. ერთი ნიმუშის არსებობის პირობებში უფრო ზუსტი განსაზღვრა მოუხერხებელი აღმოჩნდა.

სადა ურობა. — ახალციხე. მდ. მარდას მარცხენა შენაკადი. ზედა ეოცენის ქვიშაქვები [5].

გავრცელება. — ზედა ეოცენური ნალექები.

კოლექცია. — ივ. კაჭარავასი.

რიცხვი. — 1.

ოჯახი Zeilleridae Rollier

გვარი Zeilleria Bayle

Zeilleria tamarindus Sow.

1847. *Terebratula tamarindus*, d'Orbigny [58], გვ. 72, ტაბ. 505, სურ. 1-4.

1874. *Waldheimia tamarindus*, Davidson [43], გვ. 49, ტაბ. VI, სურ. 7-8.

1907. *Zeilleria tamarindus*, Каракаш [23], გვ. 214, ტაბ. XX, სურ. 6,9
19,24 ტაბ. XXI, სურ. 19-20.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	18 მმ	17 მმ	16,5 მმ	10 მმ	7,5 მმ
სიგანე	15 "	15 "	13,5 "	10 "	7 "
სისქე	10 "	10 "	10 "	6 "	6 "

აღწერა. — ნიყარა მორგვალეზულ-ხუთკუთხოვანია. საგდულები თანაბარი გამოზურცულობისაა. ზოგიერთ ნიმუშს შედარებით ბრტყელი საგდულები ახასიათებს. ზოგჯერ მუცლის საგდული უფრო გამოზურცულია. გვერდის კომისური თითქმის სწორია, მორგვალეზული. ასევე სწორია შუბლის კომისური. ნიყარას აქვს ძლიერ წვრილი ძნელად გასარჩევი ზრდის კონცენტრული ხაზები. ზოგი ნიმუში კი — საესებით გლუვია. თხემი გადმოღუნულია და მორგვალეზული. ფორამენი პატარა და მრგვალი; დელტიდიფი არა ჩანს.

მ ი მ ო ხ ი ლ ე ვ ა. — აღწერილი ნიმუშები ნიყარის მოყვანილობით, თხემის ფორმით, თხემის მოღუნვის ხარისხით, პალეალური მხარის ზოგჯერ დაკუთვხით (რის გამო ნიყარა ხუთკუთხოვანი იერისაა), სწორი და მორგვალეზული კომისურებით ჰგვანან კარაკაშის მიერ აღწერილ და დასურათებულ ყირიმულ ფორმებს. უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც ჰგვანან დ'ორბინის ზოგიერთ ფორმას. დ'ორბინის ტაბ. 505-ის მე-2 და მე-3 სურათებისგან განსხვავდებიან საგდულთა ნაკლები გამოზურცულობით, რაც არსებით განსხვავებას არ წარმოადგენს, ვინაიდან კარაკაშში აღნიშნავს, რომ ამ სახის წარმომადგენლები ზოგჯერ ნაკლები გამოზურცულობით ხასიათდებიანო. დევიდსონის

ფორმებისგანაც არ განსხვავდებიან აღწერილი ნიმუშები და მათთანაც აქვთ საერთო დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: გადმოღუნული, მორგვალეზული თხემი, მრგვალი ფორამენი, ხუთკუთხოვან-მორგვალეზული ფორმა ნიჟარისა, კომისურები და სხვა.

სად აურობა. — ქუთაისის და ლორეშას აპტური და წყალტუმოს გარდამავალი შრეები.

გავრცელება. — ინგლისი. აპტური, ქვ. სენომაური (დევიდსონი). საფრანგეთი. ქვედა ნეოკომური (დ'ორბინი); ყირიმი. ს. საბლის, ჩოკურჩის, ბიასალის და ბიტაკის ბარემული (კარაკაში). ჩრდ. კავკასია. ასის რაიონის ჰოტრიველი (რენგარტენი); ნაჭერალას კრისტალური კირქვები (ანთულა).

კოლექცია. — ი. რუხაძის (ს. ლორეშადან); სობრივესკის (ქუთაისიდან); მ. ფალავასი (წყალტუმოდან).

რეცხვი. — 9.

Zeilleria gumbriensis n. sp.

ტაბ. I, სურ. 6

პოლოტიპი № 134-46 ინახება საქ. მუზ.-ის გეოლოგ. განყ-ში.

ზომები

სიგრძე	17 მმ	16 მმ	15 მმ
სიგანე	14 "	15 "	15 "
სისქე	9 "	9 "	9 "

აღწერა. — ნიჟარა სამკუთხოვანია, ძლიერ პატარა ტანის, უმეტეს შემთხვევაში სიგრძე-სიგანე თანაბარია, ზოგჯერ სიგრძე ოდნავ უარბობს სიგანეს. საგდულები საკმაოდ გამობურცულნი არიან, გვერდის კომისური სწორია, შუბლის—ოდნავ ტალღებრივი. თხემი და მისი კიდეები ძლიერ გადმოღუნულნი არიან ზურგის საგდულისკენ. ფორამენი უმეტეს შემთხვევებში არა ჩანს, ერთ-ორ ნიმუშზე იგი ძლიერ პატარაა და მრგვალი. ნიჟარა გლუვია, ზრდის ხაზები ნიჟარაზე არა ჩანან.

მიმოხილვა. — ნიჟარა თვისი იერით საცნებით ზრდადამთავრებული ინდივიდუუმის შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუხედავად ტანის სიმცირისა თხემი და კომისურები (განსაკუთრებით შუბლის კილის) ნათლად შემოხაზულია და ოდნავ ტალღებრივი და არა მრგვალი, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ახასიათებთ ზრდადაუმთავრებელ ინდივიდუუმებს.

რამოდენიმე ნიმუშის ხელის აპარატის შესწავლამ დაადასტურა, რომ აღწერილი ნიმუშები გვ. *Zeilleria*-ს ეკუთვნიან.

აღწერილი ნიმუშები შეკრებილია ქუთაისის მიდამოებში ზედა აპტურ ნალექებში, და მათ გვერდით ნაპოვნი ტანიო დიდი მხარეთმცოდნეები ან გვ. *Terebratula*-ს ეკუთვნიან, ან არსებითად განსხვავდებიან მათგან სხვადასხვა ნიშან-თვისებებით. აღსანიშნავია მათი მრავალრიცხოვანება შრეში. აღწერილი

ნიმუშები ვერ დაფუკავშარე ვერცერთ ცნობილ ფორმას. პატარა ტანის მხარით. ფეხიანებს წყალწითელას ხეობის ვალანჯინურსა და ჰოტრიველში (გელათის მონასტერთან და მოწამეთასთან) აღნიშნავს მეფერტი. კუზნეცოვიც [25. გვ. 10] იხსენიებს პატარა ტანის მხარითფეხიანებს დასავლეთ საქართველოდან, მაგრამ არა ქვედა ცარციდან, არამედ სენომანურიდან, მაგრამ მათთან შედარების საშუალება არა მაქვს.

სადაურობა. — წყალტუბოს, გუმბრის, ქუთაისის, გოდოვანის ზედა აბტური მონაცრისფრო ქვიშიანი მერგელები; რაქა. ს. ჩორჯოს აბტური კირქვები.

კოლექცია. — მ. ფოფხაძის; მ. ერისთავის (ჩორჯოდან).

რიცხვი. — 27.

Zeilleria Walkeri Dav.

1874. *Waldheimia Walkeri*, Davidson [43], გვ. 54, ტაბ. VI, სურ. 6-9.

1945. *Zeilleria abchazica*, ნუცუბიძე (11), გვ. 179, ტაბ. III, სურ. 1-11, ტაბ. IV, სურ. 1-6.

ზო მ ბ ი:

სიგრძე	17 მმ	16 მმ	15 მმ
სიგანე	14 "	13 "	15 "
სისქე	9 "	9 "	9 "

აღწერა. — ნიჭარა ან ოვალური, ან მორგვალებული, ხუთკუთხოვანი. სიგრძე-სიგანე ზოგჯერ თანაბარია, ზოგჯერ სიგრძე ქარბობს. მუცლის საგდული ოდნავ უფრო გამობურცულია, ვიდრე ზურგის საგდული. ტანით — შედარებით პატარა ნიმუშებია. ზოგიერთი ნიმუშის მუცლის საგდულის შუბლის კიდე შეზნეკილია ზურგის საგდულისკენ. ამიტომ შუბლის კომისური გაშლილი ლათინური *U* სებრი არის, ზოგს კი — უფრო მორგვალებული შუბლის კომისური აქვს. იმის გამო, რომ თხემი ძლიერ გადაღუნულია ზურგის საგდულისკენ, თითქმის ყველა ნიმუშს ემჩნევა მუცლის საგდულზე ოდნავი ამალღება თხემის ნიღბობებში. მიუხედავად თხემის ძლიერი გამოღუნვისა, ფორამენი ცხადად ჩანს. იგი პატარაა და მეტ-ნაკლებად მრგვალი. ზოგ ნიმუშს ზურგის საგდულზე შუაში ხაზად მიღყვება ამალღება. ზოგ ნიმუშს ამალღებათა მსგავსი ნაოქის ორი ჩანასახი ემჩნევა მუცლის საგდულზე. გვერდის კომისური ზოგ ნიმუშზე მრგვალია, ზოგზე ჯერ სწორი, შემდეგ გაღუნული ზურგის საგდულისკენ ბლაგვი კუთხით. ზრდის ხაზები ან არა ჩანან, ან ძლიერ ბუნდოვანნი არიან. ზოგიერთ ნიმუშს აქა-იქ ემჩნევა რადიალური, ძლიერ წვრილი, ლუპათ შესამჩნევი ქველ-ხაზები.

მიმოხილვა. — ხელის აპარატის შესწავლამ დაადასტურა, რომ აღწერილი ნიმუშები გვ. *Zeilleria*-ს ეკუთვნიან. ცნობილი ფორმებიდან მხოლოდ *Waldheimia Walkeri* Dav.-ს ჰკვანან [43, გვ. 54, ტაბ. VI, სურ. 6-9]. მსგავსებას გამოხატავენ მოყვანალობის ნაირობა: მორგვალებული, ოვალური და

ოდნავ ხუთკუთხოვანი, თხემის გადაღუნვის ხარისხი და ფორმა, ნაირი მოხაზულობის კომისურები (მორგვალებული, სწორი, ტალღებრივი), მცირე ზომები, ფორამენის სიპატარავე და სხვა. განსხვავდებიან ამ სახისაგან, ბუნდოვანი ზრდის ხაზებით და უფრო ბრტყელი ზურგის საგდულით. აღსანიშნავია, რომ დევიდსონის *W. Walkeri* ბოზეული ფორმაა.

აღწერილი ნიმუშების შედარებამ ქ. ნუცუბიძის *Zellieria abcha-zica*-სთან დამარწმუნა მათ შესატყვისობაში მით უმეტეს, რომ უმრავლესობა ამ ნიმუშებისა აფხაზეთიდანაა, სახელდობრ ცარცული ვირქვეების სულ ქვედა შრეებიდან, რომელნიც შეიცავენ *Spiticerus* (*Negrelicerus*) *Negreli* Math. (2, გვ. 154). უნდა აღინიშნოს, რომ დევიდსონის *Waldheimia Walkeri*-სთან ისეთი დიდი მსგავსება აქვთ ამ ნიმუშებს, რომ მე არ მიმაჩნია მართებულად ქ. ნუცუბიძის მიერ მათი ახალ სახედ გამოყოფა.

სადაურობა. — აფხაზეთი. მდ. ლალიძის მარჯვენა ნაპირი. ცარცული კირქვების (მუქი კირქვები) სულ ქვედა ნაწილი. ბერიასული ნალექები. რაჭა, ს. კვაცხეთი (ნაყარადან). მდ. ბზიფის ხეობა.

გავრცელება. — ინგლისის შუა ნეოკომური (დევიდსონი).

კვანის ბერიასული ნალექები [2, 11].

კოლექცია. — ივ. კაპარაეისი (აფხაზეთიდან); მ. ფოფხაძის (კვაცხეთიდან).

რიცხვი. — 20.

Zellieria sp. nova?

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	30	მმ
სიგანე	26,5	"
სისქე	15	"

ნიქარის აღწერა. — კოლექციაში არის მხოლოდ ერთი ნიმუში. ნიქარა მორგვალებულ-ოვალურია, ოდნავ წაგრძელებული. მუცლის საგდული უფრო მეტად ამობურცულია, ვიდრე ზურგის. საერთოდ ნიქარა უფრო სქელი და ამობურცულია თხემისაკენ, შებლისაკენ კი — გაბრტყელებულ-გათხელებული. ზრდის კონცენტრული ხაზები მხოლოდ ორგან ჩანს: შებლთან და თხემის მახლობლად; ისინი ძლიერ მკვეთრნი არიან. ზურგის საგდულზე ნიქარას ემჩნევა რადიალური წვრილი ხაზები, რაც ნიქარის გადაცვეთილობის გამო ყველგან არ არის შესამჩნევი. გვერდის და შებლის კომისურები სწორი და ბასრია. თხემი გადმოღუნულია ზურგის საგდულისაკენ, მისი კიდები არ არიან მკვეთრად შემოფარგლული. ფორამენი პატარაა, დელტიდიუმი არა ჩანს.

მიმოხილვა. — ჩემ ხელთ არსებული ტაბულების მიხედვით ეს ნიმუში ყველაზე მეტად ემსგავსება დევიდსონის მიერ აღწერილ და დასურათებულ *Waldheimia Wanklyni* Walker. var. *elliptica*-ს [43, გვ. 51, ტაბ. 7, სურ. 22]. ისე, როგორც ზემოთ დასახელებულ ნიმუშს — ამასაც სწორი და ბასრი კიდები

აქვს. ახასიათებს აგრეთვე, რადიალური ხაზები, რომელნიც კარგად ჩანან ტაბულაზე, მაგრამ რონელთაც აღწერაში არ იხსენიებს დევიდსონი. ეს ნიმუშიც მაქსიმალურად სქელია თხემისაკენ და გათხლებული შუბლის კიდისაკენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩემს ნიმუშს შუბლთან მეტი გათხლება ახასიათებს, რაც, შესაძლოა, ნაწილობრივ დეფორმაციის შედეგი იყოს. ეს ნიმუშიც ისევე გლუვი, უნაოჭო და უსინუსოა, როგორც დევიდსონის, საერთო იერიც ორივეს ერთნაირი აქვთ.

მაგრამ მათ თხემთა შორის განსხვავება ცხადია, სახელდობრ: აღწერილ ნიმუშს თხემი ძლიერ მოღუნული აქვს, მისი კიდეებიც არ არიან მკვეთრად შემოფარგლული, ფორამენიც გადმოწეული და დაახლოებულია ზურგის საგდულს; დევიდსონის ფორამას კი—თხემი თითქმის არა აქვს გადმოღუნული, მისი კიდეები მკვეთრად შემოფარგლულია და ნათლად უჩანს ფართო ორნაწილიანი დელტიდოფი.

ვინაიდან თხემის მოყვანილობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მსგავსებისა, შეუძლებელია ამ ნიმუშის *Waldheimia Wanklynii* Walk. var. *elliptica* Dav.-სათვის მიკუთვნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიმუში სრულიად სხვა იერის არის, ვიდრე იმავე ტაბულაზე სურ. 23-ზე აღნიშნული იგივე სახესხვაობა. ეს უკანასკნელი ცხადად უფრო გრძელი, სქელი ფორმა არის, ვიდრე სურ. 22 და აგრეთვე ჩემი ნიმუში.

შესაძლებელია ეს ნიმუში იყოს *Zeilleria koutaisiensis* Lor., რომელიც მოხსენებულია დას. საქართველოს აპტური ფაუნის სიაში [33, გვ. 169]. სამწუხაროდ, ლორიოლის შრომა ხელთ არა მქონია.

ადგილმდებარეობა.—ქუთაისი, მდ. წყალწითელას ნაპირი. ნაცრისფერი მერგელოვანი კირქვები.

კოლექცია.—სობრიევსკის.

რიცხვი.—1.

გვარი *Glossothyris* Douvillé

Glossothyris *Jacobi* Kil.

1847. *Terobratula hippopus* d'Orbrigny [58], გვ. 85, ტაბ. 508, სურ. 12—18.

1907. *Zeilleria hippopus*, Каракаш. [23], გვ. 216, ტაბ. XXI, სურ. 12.

1910. *Glossothyris Jacobi*, Kilian [55], გვ. 361, ტაბ. 10, სურ. 8.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე . . .	21 მმ	12 მმ	20 მმ
სიგანე . . .	23 „	13 „	21 „
სისქე . . .	17 „	9,5 „	13 „

აღწერა.—ნიჟარა გამობურცულია, თითქმის მრგვალი; უფრო ფართო, ვიდრე გრძელი. ნიჟარა კარდინალურ მხარეზე შედარებით ვიწროა და პალე-

აღწერის მხარისაგან გაფართოებული. მუცლის საგდული უფრო გრძელია, ვიდრე ზურგის. ზურგის საგდული თითქმის ბრტყელია, მუცლის—გამობურცული. ზურგის საგდულის შუბლის კიდესთან შესამჩნევია კარგად გამოსახული სინუსური ჩაღრმავება, რომელიც გრძელდება მუცლის საგდულისაკენ და შემდეგ თანდათან სუსტდება და ქრება. მუცლის საგდულს შუბლთან კარგად გამოსახული ფართო ქედი აქვს. ქედი თხემთან უფრო სუსტია, იგი შუაში ამოწეულია და გვერდებისაკენ დაქანებული. გვერდის კომისური სწორია, შუბლის ლათინურ ასო U-ს მავგარი. ნიუარა საეცებით გლუვია.

თხემი ბლავია, ის ძლიერ გადმოღუნულია ზურგის საგდულისაკენ. ფორამენი მრგვალია, დიამეტრი 3 მმ-ის ზომის. ფორამენის ქვეშ სუსტად გამო-სახული დელტიდიუმი ჩანს.

მიმოხილვა.—ეს ნიმუში ძლიერ ჰგავს *Terebratula hippopus* Roem.-ს, აღწერილს და დასურათებულს დ'ორბინის მიერ, სახელდობრ მსგავსება გამოიხატება: გვერდის და შუბლის კომისურებში, თხემის მოყვანილობასა და გადმოღუნვის ხარისხში, მრგვალ ფორამენში და დელტიდიური ფორფიტების არსებობაში. განსხვავება შესამჩნევია ზურგის საგდულის სინუსში, რომელიც დ'ორბინის ფორმას უფრო ღრმა აქვს. აგრეთვე მის ზოგიერთ ფორმას (სურ. 15) ზურგის საგდული ოდნავ უფრო გამობურცული აქვს და გვერდის კომისურიც პალეაღურ მხარესთან მიხალოვებისას ოდნავ ტალღებრივია. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ზომით დ'ორბინის ზოგიერთი ფორმა უფრო დიდია, ეს განსხვავება არსებითი არ არის, ვინაიდან ზომების შესახებ თვით დ'ორბინი აღნიშნავს, რომ ამ სახეში ნიმუშთა სიგრძე ზოგჯერ 7 მმ-ს უდრის, ხოლო ზოგჯერ 22 მმ-ს აღწევს, აგრეთვე იმასაც დასძენს, რომ ეს სახე ძლიერ ცვალებადია ადგილობრივი პირობების მიხედვითაო.

აღწერილი ნიმუში ძლიერ ჰგავს კარაკაშის ნიმუშებს საერთო იერით და აგრეთვე ცალკეულ ნიშან-თვისებებით, მაგალითად: ბლავი თხემით, მისი ძლიერი გადმოღუნვით, გვერდის სწორი კომისურით, სინუსიანობით და სინუსის სიღრმით, შესამჩნევი ქედით მუცლის საგდულზე და სხვა ნიშნებით. განსხვავება შესამჩნევია მხოლოდ ზურგის საგდულის გამობურცულობაში: ჩემს ნიმუშს თითქმის ბრტყელი ზურგის საგდული აქვს, კარაკაშის ფორმას კი სუსტად გამობურცული, რაც, შესაძლოა, ადგილობრივი პირობების გავლენის გარდა დეფორმაციის შედეგაც იყოს.

სამწუხაროდ ხელთ მაქვს მხოლოდ სამი ნიმუში: ერთი—ზემოთ აღწერილი (წყალტუბოდან), ერთი—ზრდადუმთავრებელი (კვატხუთიდან) და ერთი—საკ-მაოდ დეფორმირებული (გუმბრიდან), რის გამო ჩემსავე მასალაში სხვადასხვა ინდივიდებზე დავიკრების საშუალება არა მაქვს.

კარაკაშის მიერ იმავე ტაბულის მე-13 სურათზე მოცემულ *Zeilleria Favrei* Kar.-ს ჩემი ნიმუში ჰგავს საერთო იერით, მაგრამ, როგორც თვით კარაკაშმა აღწერს—მისი მუცლის საგდულის ქედი ორმაგ ნაოქისაგანაა წარმოშობილი და შუბლის კომისურიც ამიტომ W-ს მავგარი აქვს [23, გვ. 217, ტაბ. XX, სურ. 13], რაც ჩემს ნიმუშს არ ახასიათებს.

ჩემი ნიმუშები როგორც ფორმით, ისე ყველა დამახასიათებელი ნიშან-თვისებით: ზღაგვი თხემით, სინუსით, გამობურცულობის ხარისხით, მრგვალი ფორამენით, სწორი გვერდის კომისურით, U-სებრი შუბლის კომისურით და უფრო მეტი სიფართოთ, ვიდრე სიგრძით საესენებით შესატყვისნი არიან კილიანის *Glossothyris jacobi* Kil. [= *Terebratulina hippopus* d'Orb.]

სადაურობა.— გუმბორის აბტური კირქვები, ს. კვაცხუთის აბტური მერგელოვანი კირქვები და წყალტუბოს აბტური კირქვები.

გავრცელება.—სამხ. აღმ. საფრანგეთის აბტური (კილიანი), ყირიმის აბტური კირქვები (ქარაკაში).

კოლექცია.—მ. ფოფხაძის.

რიცხვი.—6.

გვარი *Dzirulina* Nuzub.

Dzirulina dzirulensis Anth. em. Nuzub.

1898. *Terebratulina dzirulensis*, *Anthula* [39], გვ. 70, ტაბ. III (II), სურ. 1 a—d, 2 a—b.

1941. *Dzirulina dzirulensis*, ნუცუბიძე [10], გვ. 94, ტაბ. V, სურ. 1—8.

1945. *Dzirulina dzirulensis*, ნუცუბიძე [11], გვ. 188, ტაბ. IV, სურ. 9—14.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე . . .	23,5 მმ	12,5 მმ
სიგანე . . .	22 "	13 "
სისქე . . .	14 "	6 "

აღწერა.—ნივარა ხუთკუთხოვანია, უფრო გრძელი, ვიდრე განიერი და ზომიერად გამობურცული; მუცლის საგდული უფრო გამობურცულია, ვიდრე ზურგის. ზურგის საგდული თითქმის ბრტყელია. ორივე საგდულზე ნათლად არიან გამოსახული ზრდის წრიული ხაზები, მაგრამ ისინი იშვიათია, უფრო სწორად, ისინი ზრდის რგოლებს წარმოადგენენ. ნივარა მორთულია წვრილი რადიალური ხაზებით და ამასთანავე დაწინწკლულია. გვერდის კომისური სწორია, მორგვალბული, დაქანებული პალეალურ მხარისაკენ. პალეალური მხარე შევიწროებულია. შუბლის კომისური ტალღებრივია, მაგრამ უფრო სწორის შთაბეჭდილებას იძლევა, რის გამო ნივარას ხუთკუთხოვანი იერი აქვს. თხემი საკმაოდ გადმოღუნულია ზურგის საგდულზე. ფორამენი ოდნავ ოვალურია, საშუალო ზომის, იგი თითქმის მოკვეთილია, განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს გვერდიდან; დელტიუმი უჩინარია. კოლექციაში არის აგრეთვე ერთი პატარა, სამკუთხოვან-მორგვალბული ნიმუში, რომელსაც ახასიათებს წვრილი რადიალური ხაზები და დაწინწკლა. შესაძლოა ეს ნიმუში ამავე სახის ახალგაზრდა ინდივიდუმს წარმოადგენს. ზოგიერთ ნიმუშს ემჩნევა მოკლე დორსული სეპტა.

მიმოხილვა.—ზემოთ აღწერილი ნიმუში თავისი ხუთკუთხოვანი მოყვანილობით, გვერდებისაკენ გაღუნული შუბლის კომისურით, ზომებით, ძლიერ გადმოღუნული და მოკვეთილი თხემით ჰგავს *Terebratula dzirulensis* Auth.-ს, რომელიც ქ. ნუცუბიძის მიერ (11) დადგენილია, როგორც *Dzirulina dzirulensis* Auth. emend Nuzub. ქ. ნუცუბიძის ნიმუშებთან შედარებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჩემი ნიმუშები მათი შესატყვისნი არიან. ვინაიდან ეს სახე ძლიერ ვრცლად და კარგად აქვს აღწერილი ქ. ნუცუბიძეს, ამიტომ მე მის მოკლე აღწერას ვიძლევი. ჩემი ნიმუშები სხვა ადგილებიდანაა.

სადაურობა.—ქუთაისი, მდ. წყალწითელას ნაპირი: ს. ლორეშას აპტური; ს. კვაცხუთის აპტური კირქვები.
გავრცელება.—ძირულის ხეობა, მოლითის გლავკონიტისანი ალბური ქვიშაქვები (ანთულა). ლაშქის და ხარაგოულის აპტური (ქ. ნუცუბიძე).
კოლექცია.—სობრიევის (ქუთაისიდან); ი. რუხიძის (ს. ლორეშადან); მ. ფოფხაძის (ს. კვაცხუთიდან).
რიცხვი.—24.

გვ. *Kingena Davidson*
Kingena aff. Djanelidzei Nuzub.

ზო მ გ ბ ი

სიგრძე	18 მმ
სიგანე	17 "
სისქე	11 "

აღწერა.—ნიჟარა სუსტად გამოსახული ხუთკუთხოვანი ფორმისაა. სიგრძე-სიგანე თითქმის თანაბარია, მუცლის საგდული უფრო გამოზურცულია, ვიდრე ზურგის. თხემი მოკლეა და არ არის ძლიერ გადმოღუნული ზურგის საგდულისაკენ. ფორამენი საშუალო სიდიდისაა და მრგვალი. დელტიდიუმი უჩინარია. თხემის კიდეები არ არის მკაფიო. გვერდის კომისური სწორია, მორგვალბული, ასევე შუბლის, მხოლოდ ოდნავ ტეხილი. როგორც შუბლის კიდეზე, ისე გვერდებზე ჩანს რადიალური წიბოების კვალი. მუცლის საგდულის ზედაპირზე ჩანს ირიბად განწყობილი წვრილი ხაზები. აქა-იქ ორივე საგდულის ზედაპირზე შესამჩნევია კორძების მავაერი ნიშნები. შესამჩნევია მხოლოდ ერთი ზრდის რგოლი შუბლის კიდის მახლობლად. ზურგის საგდულს მიუყვება გრძელი შუა სეპტა.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუში ქ. ნუცუბიძის ფორმისაგან გაირჩევა უფრო ხუთკუთხოვანი მოყვანილობით, სწორი კომისურებით, ხორკლების არსებობით, წვრილხაზობრივი მორთულობით და გარდა შუბლის კიდისა წიბოების არსებობით გვერდებზედაც. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა მისი ახალ სახესხვაობად ან სახედ აღწერის შესაძლებლობა არ არის მასალის სიმცირის გამო.

სადაურობა.—აფხაზეთი. ბზიფის მარჯვ. ნაპირი ნანგრევებთან.—აპტური.

გავრცელება.—რაჭა. ნიკორწმინდა.—აბტური.
კოლქეცია.—ი. კაჭარავასი.
რიცხვი.—1.

Kingona lata Nuzub.

1945. *Kingona lata*, ნუტუბიძე [11], გვ. 185, ტაბ. III, სურ. 1-3.


ზო მ ე ბ ი

სიგრძე	20 მმ	20 მმ
სიგანე	22 "	19 "
სისქე	15 "	11 "

აღწერა.—ნიჟარა ხუთკუთხოვანია, რაც ნათლად ჩანს მუცლის საგდულდიდან, ის ოდნავ ამობურცულია, რაც ერთი შეხედვით უჩინარია. ზურგის საგდული საკმაოდ ბრტყელია, ხოლო მუცლის—გამობურცული, რის გამო ნიჟარა სქელია. ზრდის ხაზები კარგად ჩანან. განსაკუთრებით კარგად არიან ისინი განვითარებული ერთ ნიმუშზე, სადაც ისინი უმეტეს შემთხვევაში ზრდის რგოლებს წარმოადგენენ და მათი მიხედვით შესაძლებელია ნიჟარის მოყვანილობის და მორთულობის აღდგენა მისი ზრდის სხვადასხვა მომენტში. გვერდის კომისურებთანაც კარგად არიან აღბეჭდილი ზრდის მომენტები; აქ მთელი კონაა ზრდის ხაზთა: მორგვალბული, სწორი და დაკბილული. ზრდის ხაზები და რგოლები ისე არიან ნიჟარაზე კრამიტისებრ განლაგებული, რომ ერთი მეორეზე დაწყობილ საგდულების შთაბეჭდილებას სტოვებენ. ეს შემჩნეულია ორივე საგდულზე, მაგრამ უფრო ცხადადაა მუცლის საგდულზე, სადაც უფრო სწორად რომ ვთქვათ, ზრდის რგოლებია და არა ხაზები (ნახაზი № 3). მუცლის საგდულზე თხემის მახლობლად 9 მმ-ის მანძილზე ცხადად მოხაზულია მორგვალბული ნიჟარის ნაწილის განვითარების ადრინდელი სტადია (იხ. ნახაზი № 1-ის 1-ლი სურათი). ასევეა 10 მმ-ზე (სურ. 2); 15 მმ-ის მანძილზე ნიჟარის ნაწილი კვლავ მორგვალბულია (სურ. 3), 16 მმ-ზე (სურ. 4), გვერდის კომისურის შუბლის კიდესთან მოხვევის ადგილას კუთხის წარმოქმნის მიდრეკილება ჩანს, მაგრამ საგდულის ნაწილს კვლავ მორგვალბული იერი აქვს, 18 მმ-ზე (სურ. 5) საგდულის ნაწილი უკვე ხუთკუთხოვანია, მაგრამ გლუვი, მხოლოდ ხუთიოდე მკრთალი სიგრძივი ხაზი ეტყობა უკანასკნელ ზრდის ხაზებს შორის, 19 მმ-ზე საგდულის ნაწილს მოკლე წიბოები უჩნდება (სურ. 6) და ზრდის ხაზთა მიერ მათი გადაკვეთის ადგილას შუბლის კიდე დაკბილულია. ასევეა განვითარების ბოლო სტადიები 20 მმ-ზე (სურ. 7) და 20,5 მმ-ზე (სურ. 8). ზურგის საგდულზე წიბოინობა მხოლოდ 2 მმ-ის მანძილზეა შუბლის კიდიდან. სხვაგვარი მორთულობიდან შეიძლება აღინიშნოს რამოდენიმე რადიალური ხაზი, რომელიც მუცლის საგდულს მიუყვება თხემიდან დაწყებული. ისინი ბოლოს იტოტებიან და ცხად წიბოებად მიუყვებიან საგდულის შუბლის ნაწილს.

თხემი საშუალო გადმოლუნულობისაა, ფორამენი ნახევრად ჩანს და მრგვალი უნდა იყოს. ზურგის საგდულს ძლიერ კარგად ემჩნევა საკმაოდ გრძელი სემპტა.

მიმოხილვა.—ქ. ნუცუბიძის მიერ *Kingena lata* Nuzub.-სთან შედარებაში დამარწმუნა, რომ ჩემი ნიმუშები მათი შესატყვისის არიან: ნივარის ხუთკუთ-



ნახ. № 1. *Kingena lata* Nuzub. ზრდის ხაზების განვითარება.

ხოვანი ფორმით, თხემის მოყვანილობით და მისი გადმოლუნვის ხარისხით, კარგად განვითარებული ზრდის ხაზებით, შუბლის კიდესთან ნივარის დაწიბოიანებით, კომისურთა მოყვანილობით და სხვა. მცირეოდენი განსხვავება ზრდის ხაზთა და წიბოების სიმკვეთრეში, რომელიც განსაკუთრებით ერთ ჩემი ნიმუშს ახასიათებს, გამოწვეულია მხოლოდ ნივარის უკეთ დაცულობით. ხელის აპარატის გასინჯვის საშუალება არა მქონდა მასალის უკმარობის გამო, მაგრამ ეს არც იყო აუცილებელი, ვინაიდან ქ. ნუცუბიძის ნიმუშების ნაწილი იმავე ადგილიდანაა, საიდანაც ჩემი ნიმუშებია და ნიმუშთა გახეხვის შედეგად მის მიერ გვ. *Kingena*-სათვის დამახასიათებელი ხელის აპარატი იქნა მიღებული.

აღნიშნული სახის ზრდის ხაზების განვითარებაზე დაკვირვება (იხ. ნახაზი № 1) ადასტურებს, რომ ამ სახის ნივარებიც ახალგაზრდობაში მრგვალი მოყვანილობის არიან და მხოლოდ ზრდადამთავრებულნი იღებენ სხვა ფორმას; გარდა ამისა შეიძლება გამოყვანილ იქნას დასკვნა, რომ ეს ნიმუშები ახალგაზრდობაში უწიბრონი ყოფილან და მხოლოდ ზრდადამთავრებულთ გასჩენიათ წიბოები.

სადაურობა.—რაჭა. ს. კვაცხუთის ქვ. ცარცული ნალექების ნაყარი. ნიკორწმინდის აპტური კირქვები. წყალტუბო. აპტური კირქვები.

გავრცელება.—ს. ნიკორწმინდის და ს. ლორეშას აპტური (ქ. ნუცუბიძე).

კოლექცია.—მ. ფოთხაძის (კვაცხუთიდან და წყალტუბოდან); მ. ერისთავის (ნიკორწმინდიდან).

რიცხვი—7.

Kingena lima Defr.

1828. *Terebratulina lima*, Defr. Dic. d'Hist. Nat. ტ. I, III, გვ. 156.
 1847. " " d'Orbigny [58], გვ. 98, ტაბ. 512, სურ. 1-4.
 1851-1855. *Kingena lima*, Davidson [42], ტაბ. IV, სურ. 15-28; ტაბ. V სურ. 1-4.

ზომები

სიგრძე	30 მმ	15 მმ
სიგანე	26,5 "	16 "
სისქე	15 "	7 "

აღწერა.—ნივარა ხუთკუთხოვან-მორგვალეხულია. დიდი ნიშნები ღეროგრძელია, ვიდრე განიერი, პატარა ნიშნები პირიქით. ერთ ნიშნს კარგად ემჩნევა ზრდის ხაზები, რომელნიც ჯერ მრგვალნი არიან, შემდეგ ოდნავ კუთხოვანი. ნიშნები დაწინწკლულია; დაწინწკლა ყველგან ერთნაირი სიცხადით არა ჩანს. გვერდის კომისური თითქმის სწორია, შუბლის კომისური მორგვალეხული. თხემი საკმაოდ მოხრილია. ფორამენი საშუალო ზომისაა და მრგვალი.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიშნები ფორმით, თხემის მოხაზულობით, გადმოღუნვის ხარისხით, კომისურებით, ზრდის ხაზებით და სხვა ნიშნებით ჰგვანან *Kingena lima* Defr.-ს დევიდსონის აღწერისა და დასურათების მიხედვით. განსხვავდებიან მისგან ხორკლების უქონლობით, მაგრამ როგორც გვარის, ისე გენოტიპის აღწერისას დასახელებული ავტორი აღნიშნავს, რომ ნივარა ან გლუვია ან ხორკლიანი. ამასვე აღნიშნავს ფიშერიც [51, გვ. 1321] და გარდა ამისა ნივარაზე შემჩნეული ნასერტები (წერტილები) შეიძლება ხორკლების გამოსავალს წარმოადგენენ.

დ'ორბინის მიერ დასურათებული ნიშნებისაგან არ განსხვავდებიან ჩემ მიერ აღწერილი ფორმები.

სადაურობა.—ქუთაისის მიდამოები (ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია).

გავრცელება.—ინგლისი. სენომაური და სენონური (დევიდსონი), საფრანგეთი. სენომაური (დ'ორბინი).

კოლექცია.—სობრიევსკის.

რიცხვი.—3.

გვარი *Terebratulina* d'Orbigny*Terebratulina biauriculata* d'Orb.

1847. *Terebratulina auriculata*, d'Orbigny [58], IV, გვ. 58, ტაბ. 502, სურ. 3-4.
 1847. *Terebratulina biauriculata*, d'Orbigny [58], გვ. 271.

1907. *Terebratulina biauriculata* Каракам [23], გვ. 118, ტაბ. XX, სურ. 28.

ზოგები

სიგრძე	12 მმ
სიგანე	10 „
სისქე	5 „

აღწერა.—კოლექციაში მხოლოდ ოთხი საშუალო დაცულობის ნიმუშია. ერთი მათგანი მხოლოდ ზურგის საგდულითაა წარმოდგენილი. ნიქარა თხელია, საგდულები სუსტადაა გამობურცული, მუცლის საგდული შედარებით უფრო წილუნულია და გამობურცული. ზურგის საგდული მორთულია წერილი და ხშირი ქველ-ხაზებით, რომელნიც შუბლის კიდესთან იკვეთებიან კარგად გამოსახული ზრდის კონცენტრული ხაზებით; ზრდის ხაზები ნიქარის დანარჩენ ნაწილზე შეუმჩნეველია. მუცლის საგდულს ემჩნევა სინუსური ჩაღრმავება, რომელსაც ზურგის საგდულზე ესატყვისება ქედი. გვერდის კომისური ნახევრად მრგვალი მოხაზულობისაა, შუბლის კომისურიც საკმაოდ მოღუნულია (ტალღებრივი). თხემი სუსტადაა გადმოღუნული, ფორამენი სიგრძივ ოვალური.

მიმოხილვა.—აღნიშნული სახე ყველა დამახასიათებელი ნიშან-თვისებით ძლიერ ჰგავს კარაკაშის მიერ აღწერილ ფორმებს. სახელდობრ: სუსტად გამობურცული საგდულებით, წერილი რადიალური ხაზებით, სუსტი სინუსური ჩაღრმავებით და ქედით ზურგის საგდულზე, ოღნავ რკალისებრი გვერდის კომისურით და სხვა. კარაკაში აღნიშნავს, რომ ამ სახეს ოღნავ გამოსახული ყურები აქვს, რაც მის მიერ დასტურათებულ ფორმებს არც კი ემჩნევა. ერთ ნიმუშს გუმბრიდან მხოლოდ ერთ მხარეზე აქვს შერჩენილი ყურის მსგავსი გამონაზარდი.

დ'ორბინის *Terebratulina biauriculata*-საც ასევე ძლიერ ჰგვანან ჩემი ნიმუშები. ერთ ჩემს ნიმუშსაც ხორკლიანი ქველ-ხაზები (წიბოები) აქვს ზოგიერთ ადგილას, ისე როგორც ეს დ'ორბინის სურათებს ემჩნევა; მხოლოდ ხორკლები უფრო მკრთალნი არიან, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ დ'ორბინის მიერ მოცემული დასტურათება ხელითაა შესრულებული.

სადართობა.—წყალტუმოს ალბური ნალექები; ს. გუმბრის ზედა აპტური ნატირისფერი ქვიშიანი მერგელები და ს. გუმბრის მერგელოვანი კირქვები (აპტურში გარდაამავალი შრეები); აფხაზეთი, გავრა.

გავრცელება.—ყირიმი. ს. საბლის ბარემული რკინიანი კირქვები და ს. ჩოკურჩის ბარემული ნალექები (კარაკაში). საფრანგეთის ნეოკომური (დ'ორბინი).

კოლექცია.—მ. ფალავისი (წყალტუბოდან), ივ. რუხაძის (ქუთაისიდან), ე. გაბუნიაისი (აფხაზეთიდან).

6. საქ. სახელმწ. მუზეუმის მთაბზე, ტ. XIV—A.

Terebratulina Martiniana d'Orb.

1847. *Terebratulina martiniana*, d'Orbigny [58], გვ. 58, ტაბ. 502, სურ. 8—12.
 1866. *Terebratulina martiniana*, Schloenbach [65], გვ. 276 (10), ტაბ. I სურ. 1—2.

ზომები

სიგრძე	13 მმ	12,5 მმ
სიგანე	11 „	9,5 „
სისქე	5 „	4,5 „

კოლექციაში ორი ნიმუშია, რომელნიც ოვალურ-სამკუთხოვანი მოყვანილობით, წიბოების ხასიათით და დატოტვით, ფორამენის ფორმით და ამართული თხემით შესატყვისნი არიან დ'ორბინის ფორმებისა. განსხვავდებიან მათგან მორგვალბული შუბლის კომისურით.

სადაურობა.—წყალტუბო. აბტური. ქუთაისი. აბტური.

გავრცელება.—საფრანგეთი. ალბური. გერმანია. ზედა აბტური.

კოლექცია.—მ. ფოფხაძის.

რიცხვი—2.

Terebratulina A sp. n.?

ზომები

სიგრძე	12 მმ
სიგანე	10 „
სისქე	5 „

აღწერა.—ნივარა ოვალურია, უფრო გრძელი, ვიდრე განიერი. მუცლის საგდული ოდნავ უფრო გამოზურკულია. საერთოდ კი საგდულეები თითქმის ბრტყელი არიან. საგდულეები მორთულია ძლიერ წვრილი ქველ-ხაზებით, რომელნიც შეუიარაღებელი თვალთ თითქმის უჩინარია. მუცლის საგდულზე, შუა ნაწილში ქველ-ხაზები შედარებით მსხვილი არიან და ლუბაში მათ წიბოების იერი აქვთ. ორივე საგდულზე შესამჩნევია კონცენტრული ზრდის ხაზები. ზოგი მათგანი ულუპოვად კარგად ჩანს. ზრდის ხაზები მკვეთრია, მაგრამ არა ხშირი. თხემზე ქველ-ხაზები თითქმის მიმქრალია. გვერდის კომისური სწორია, შუბლის კომისურის მოყვანილობაზე ლაპარაკი ძნელია, რადგან შემჩნეული ტალღებრიობა ნივარის გაცვეთის შედეგი უნდა იყოს და მეორე ნიმუში არა მაქვს, რომ შედარება შესაძლებელი იყოს. ზურგის საგდული შუბლის კიდისაკენ ბრტყელია, მუცლის საგდულს კი ემჩნევა ნაოკთა ჩანასახის მსგავსი ოდნავი აბურცვა კიდესთან ქედის მსგავსად და აქეთ-იქით ოდნავი ჩაღრმავება.

თხემი ზურგის საგდულის მხრიდან ოდნავ გადმოლუნულია, თითქმის ამართული; მუცლის საგდულიდან კი ის საკმაოდ გადმოლუნული ჩანს, ხოლო გვერდიდან საშუალო გადმოლუნვას ამჟღავნებს. ფორამენი სიგრძივ ოვალურია და პატარა.

მიმოხილვა.—აღნიშნული ნიმუში ჩემთვის ცნობილ ქვედა ცარცის *Terebratulina*-სადმი არ ამჟღავნებს არავითარ მსგავსებას, ისე, რომ მათთან შედარების შესაძლებლობა არ არის. ეს ნიმუში ჩამოჰგავს ზედა ცარცულ *Terebratulina striata* Dav.-ს. სახელდობრ წერილი ჰავლ-ხაზებით [42, ტაბ. 11, სურ. 18], მორთულობის დაუჯრული იერით, გაფართოებული შუბლის კიდეით და შევიწროებული თხემით (სურ. 21), ასევე თხემის გადმოხრით, ზრდის ხაზებით და სხვა. განსხვავდება მისგან ჰავლ-ხაზთა დიქტომიის უქონლობით და ნაოქთა ჩანასახებით, თუმცა ამ უკანასკნელის მსგავსი რამ თითქოს *Terebratulina striata*-ს ზოგიერთ ნიმუშსაც ემჩნევა (სურ. 18 და 21). რაც შეეხება დ'ორბინის მიერ ამ სახისადმი მიკუთვნებულ ნიმუშებს [58, ტაბ. 504, სურ. 9—17], მათ მიმართ ნაკლებ მსგავსებას ამჟღავნებს ჩემი ნიმუში კომისურებით, თხემის მოყვანილობით და ფორამენით (თუმცა მე-9 სურათსაც ისეთივე ოვალური ფორამენი აქვს, როგორც ზემოთ აღწერილ ნიმუშს). დ'ორბინის მიერ 9—13 სურათებზე გამოხატულ ნიმუშებს ახასიათებთ წიბოებზე წერტილოვნება, რაც ჩემს ნიმუშზე შემჩნეული არ არის.

მასალის უქმარობა მაიძულებს აღნიშნული ნიმუში ჯერჯერობით აღწერო *Terebratulina* sp. n. კითხვის ნიშნით.

სადაურობა.—ს. გუმბრის ზედა აბტური მონაცრისფრო ქვიშიანი მერგელები.

კოლექცია.—მ. ფოფხაძის.
რიცხვი.—1.

Terebratulina n. sp?

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	11 მმ
სიგანე	10 „
სისქე	5 „

აღწერა.—ნიკარა სამკუთხოვანი ფორმისაა, ოდნავ უფრო გრძელი, ვიდრე განიერი. ორივე საგდული ერთნაირი გამობურცულობისაა, უფრო სწორად ორივე ბრტყელია. ზურგის საგდულს შუა ნაწილში ემჩნევა ოდნავ ამალღება, რომელიც შუბლის კიდესთან უფრო მკვეთრადაა გამოხატული. შესაბამისად მუცლის საგდული შუბლის კიდესთან ჩაღრმავებულია. უდიდესი სიფართო ნიქარას, ორივე საგდულზე, შუა ნაწილში აქვს, მხოლოდ თხემის ნაწილი და შუბლის კიდე შევიწროებულია, რის გამოც შუბლის კიდე წვეტიანია. გვერდის კომისური სწორია, შუბლის—სამკუთხოვანი. საგდულები მორთულია ძლიერ წვრილი და ხშირი წიბოებით, ხშირია წიბოთა დატოტვის შემთხვევები.

ბი. ზურგის საგდულზე შუბლის კიდის მახლობლად შესამჩნევია ერთი სამკუთხოვანი ზრდის ხაზი, ასეთივე ზრდის ხაზები, მხოლოდ მეტი (3), მიუყვება მუცლის საგდულს. თხემი საშუალო გადმოლუნულობისაა, ფორამენი კარგად არ ჩანს.

მიმოხილვა.—ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურის მიხედვით აღწერილი ფორმა არ იჩენს მსგავსებას არც ერთ დასურათებულ სახისადმი, მაგრამ მასალის სიმცირის გამო მისი ახალ სახედ გამოყოფა შეუძლებელია.

სადაურობა.—აფხაზეთი. ბერიასული [2].

კოლექცია.—ივ. კაპარავასი.

რიცხვი—1.

Terebratulina B. sp. n.?

ზო მ ბ ი

სიგრძე	19 მმ	25 მმ	11 მმ
სიგანე	15 „	11 „	9 „
სისქე	8 „	7 „	4,5 „

აღწერა.—ნიმუში ოვალურია. ორივე საგდული მცირედ ამოზნექილია. ეს ამოზნექილობა თანაბარია. საგდულებს თხემიდან დაწყებული შუბლის კიდემდე მიუყვება წვრილი და ხშირი სხივური წიბოები, რომელთაც ახასიათებთ დატოტვა. გვერდის კომისურა სწორია, შუბლის—მორგვალეზული. მუცლის საგდულს ემჩნევა ნათლად გამოხატული ზრდის კონცენტრული ხაზები, ზურგის საგდულზე ისინი ან უჩინარი არიან, ან ოდნავ შეიმჩნევა. თხემი ამართულია, გვერდიდან ჩამოკვეთილის იერი აქვს, ფორამენი მრგვალია. არავითარი ნაოკი საგდულებს არ ახასიათებს.

მიმოხილვა.—ეს ნიმუშები საერთო მოყვანილობით მოგვაგონებენ *Ter. echinulata* d'Orb.-ს, განსხვავდებიან მისგან მუცლის საგდულზე ამაღლებისა და ზურგის საგდულზე დებრესიის უქონლობით და მის გამო შუბლის კიდის მორგვალეზით, ნაცვლად ნაოკებისა. *Terebratulina Duteupleznia* d'Orb.-საგან განსხვავდებიან მოყვანილობით, სახელდობრ ამ სახეს ახასიათებს ძლიერ შევიწროებული თხემის ნაწილი, დიდი ფორამენი და ძლიერ ნათლად გამოასახული ზრდის ხაზები.

ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურის მიხედვით ვერ მოხერხდა ამ ნიმუშის რომელიმე უკვე ცნობილ სახესთან დაკავშირება.

სადაურობა.—წყალტუბო. აპტური. რაჭა, კვაცხუთი. აპტური. ქუთაისი. აპტური.

კოლექცია.—მ. ფოფხაძის (კვაცხუთიდან); მ. ფალავასი (წყალტუბოდან); ივ. რუხაძის (ქუთაისიდან).

რიცხვი—3.

Terebratulina echinulata d'Orb.1847. *Terebratulina echinulata*, d'Orbigny [58], გვ. 63, ტაბ. 503, სურ. 7—11.

ზომები

სიგრძე	16 მმ
სიგანე	12,5 "
სისქე	6,5 "

აღწერა. — ნივარა ოვალურია, როგორც ზომებიდანაც ჩანს, უფრო ვრცელი, ვიდრე განიერი. საგდულთა გამობურცულობა ძლიერ მცირეა. მუცლის საგდულს მოხრილობა ემჩნევა საგდულის შუა ნაწილიდანვე, რაც ბოლოს თხემის გადმოღუნვაში მკაფიოდ იხსნება, თუმცა თხემი მანაც არ არის ძლიერ გადმოღუნული, რაც კარგად ჩანს ზურგის საგდულიდან; გვერდიდანაც არ ემჩნევა თხემის დიდი გადაღუნვა. ნივარის ორივე საგდული დიფარულია ძლიერ წვრილი ქველ-ხაზებით, რომელნიც კარდინალურ ნაწილში თითქმის მიმქრალი არიან, პალეალურ ნაწილშიც არ არიან ქველ-ხაზები ისე ნათლად გამოხატული, როგორც ნივარის შუა ნაწილში. ქველ-ხაზთა დიქტომია ერთ-ორ ადგილზე შემჩნეული. ლუბით კარგად ჩანან ზრდის კონცენტრული ხაზები. ზრდის ხაზები ქველ-ხაზების გადაკვეთის გამო საგდულებს დაუჯრულ იერს აძლევენ. კარგად ჩანს აგრეთვე ზრდის ერთი-ორი კვალი, როგორც მუცლის, ისე ზურგის საგდულზე. ზურგის საგდულს შუაში, შებლის კიდის მახლობლად, სინუსური ჩაღრმავება ემჩნევა, რომლის აქეთ-იქით ორი ამაღლებული მოკლე ნაკვია და შემდეგ კვლავ მცირე ჩაღრმავებანი. მუცლის საგდულს შუაში ქედისებრი ამაღლება მიუყვება, რომელსაც აქეთ-იქით ჩაღრმავებანი მოსდევენ და შემდეგ ამაღლებანი, რის გამო ორივე საგდულზე შებლის კიდე ნაკვიანია და ზურგის მხრიდან შებლის კომისურს მოკლე და ფართო M-ის იერი აქვს. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ გაზნეული მუცლის საგდულისაკენ, ხოლო შებლის—კიდესთან მიახლოებისას კვლავ ზურგის საგდულისაკენ გამოზნეული, რაც ამ კომისურს დაბოლოებისთან ტალღებრივ იერს აძლევს. შესაძლებელია, აღნიშნული ნიმუშის შებლის კიდის ასეთი ნაკვიანობა ვახვადებულია დიფორმაციის გამო. დაბეჯითებით ამაზე ლამპარაკი შეუძლებელია მასალის სიმცირის გამო. ფორამენი პატარაა და მრგვალი.

მიმოხილვა. — აღწერილი ნიმუში ოვალური მოყვანილობით, წვრილი და ხშირი წიბოებით, ზომიერად გადაღუნული თხემით და პატარა ფორამენით ჰგავს დ'ორბინის მიერ დასურათებულ *Terebratulina striata*-ს [58, ტაბ. 504, სურ. 9—17], მაგრამ ამ უკანასკნელს კომისურები სწორი აქვს. დევიდსონი [42, ტაბ. 11, სურ. 18—28] იძლევა *Terebratulina striata*-ს დასურათების, სადაც ზურგის საგდულს კარგად ემჩნევა სინუსი (სურ. 18 და 21), შებლის კომისური ოდნავ ტალღებრივია (სურ. 196) და გვერდის კომისურიც არ არის საესებით სწორი (სურ. 18), მაგრამ ასეთი მკაფიო ნაკვები და კომისურ-



თა აშკარა ტალღებრიობა არ ახასიათებს დასურათებულ ნიმუშებს. აღწერილი ნიმუში, მკაფიო ნაოქებით, კომისურების ტალღებრიობით, ზომიერად მოხრილი თხემით, პატარა ფორამენით, ზრდის ხაზთა და წიბოთა მიერ ნივარის დაუჯვრით, წიბოთა სიხშირით და მათი ხასიათის ცვლით სხვადასხვა ნაწილებზე, ესატყვისება *Terebratulina echinulata* d'Orb.-ს.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა .—ბზიფი.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა.—საფრანგეთი. სენონური (დ'ორბინი).

კ ო ლ ე ქ ე ტ ი ა.—ვლ. კურჩოკინის.

რ ი ც ხ ვ ი.—1.

Terebratulina gracilis Schloth.

1813. *Terebratulina gracilis*, Schloth. Leonch. Taschenb. VII, გვ. 112, ტაბ. 3, სურ. 3.

1851—55. *Terebratulina gracilis* [42], გვ. 38, ტაბ. II, სურ. 13—17,

1907. *Terebratulina* sp. Каракаш [23], ტაბ. XX სურ. 21.

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	10 მმ	9 მმ	7 მმ	5 მმ
სიგანე	9 "	8 "	6 "	7 "
სისქე	4 "	4 "	3 "	2,5 "

კოლექციაში რამდენიმე ნიმუშია, მათგან დამაკმაყოფილებელი დაცულობის მხოლოდ ხუთიოდეა.

აღწერა.—ნივარა მრგვალია, ან ოდნავ ოვალური, უფრო გრძელი, ვიდრე ფართო, არათანაბარსაგდულიანი, თხელი და ბრტყელი ზურვის საგდულებით; მუცლის საგდული ოდნავ უფრო გამობურცულია და მოხრილი, ვიდრე ზურვის. ნივარა დაფარულია ხშირი და წვრილი ქველ-ხაზებით, რომლებზედაც ზოგ ადგილას შესამჩნევია ძლიერ წვრილი ხორკლები, ქველ-ხაზებით შუბლის მახლობლად იტოტებიან. ზრდის კონცენტრული ხაზები მეტ-ნაკლებად მკაფიონი არიან; მათი ერთი-მეორის დაცილების მანძილი სხვადასხვაგვარია. თხემი საშუალო გადმოღუნულობისაა, წვეტიანი და ქველ-ხაზებით დაფარული. თხემის კიდეები მორგვალელებულია, ფორამენი პატარაა, ოვალური, საკეტის კიდე—ირიბია. ერთი ნიმუში მხოლოდ მუცლის საგდულითაა წარმოდგენილი, მასზედ კარგად ჩანან კბილები.

მიმოხილვა.—აღნიშნული ნიმუშები ყველა თავისი ნიშან-თვისებით, მაგალითად: მრგვალი ან ოდნავ ოვალური ფორმით, წვრილი და ხშირი ხორკლიანი ქველ-ხაზებით, საკეტი კიდის ირიბი მოყვანილობით, ფორამენით და ზომებით სავსებით შესატყვისნი არიან *Terebratulina gracilis* Schloth.-ის. ეს ნიმუშები აგრეთვე შესატყვისნი არიან კარაკაშის მიერ დასურათებული *Terebratulina* sp.-ის, რომელიც კარაკაშისვე მითითებით (23, გვ. 471) ზედა ცარ-

ცული ფორმა, ნაოენი სიმფეროპოლის მიდამოებში და მხოლოდ შემთხვევით მოხვედრილი ტაბულაზე ქვედა ცარცულ ფორმებთან.

სადაურობა.—ლენხუმი, სარეწკელა. კამპანური მონაცრისფრო, გარედან გამოფიტული კირკვები [5].

გავრცელება.—ინგლისი. ზედა ცარცულის ზედა ნაწილი. ასევე ევროპაში (დევიდსონი).

კოლექცია.—მ. ფოფხაძის.

რიცხვი.—12.

Terebratulina striata Wahl.

1847. *Terebratulina striata*, d'Orbigny [58], გვ. 65, ტაბ. 504, სურ. 9—17.

1851—55. *Terebratulina striata*, Davidson [42], გვ. 35, ტაბ. II, სურ. 18—28.

ზომები

სიგრძე	12 მმ	12,5 მმ+x
სიგანე	8 „	8 მმ+x
სისქე	4,5 „	5 „

აღწერა.—ნიეარა მოგრძო-ოვალურია, უფრო გრძელი, ვიდრე ფართო. ბრტყელი ფორმა, საგდულები თითქმის თანაბარი გამობურცულობის არიან. ნიეარა კარდინალურ მხარეზე შევიწროებულია, პალეალურზე გაფართოებული. თხემიდან შუბლის კიდემდე ნიეარა მორთულია სიგრძივი ხშირი და წვრილი ჰველ-ხაზებით. ერთ ნიმუშზე შემჩნეულია ჰველ-ხაზების დატოტვა შუბლის კიდესთან და უფრო ზემოთ კი ჩამატება ჰველ-ხაზების. ერთ ნიმუშს მეტ-ნაკლები სიხადით ემჩნევა ზრდის კონცენტრული ხაზები, მეორეზე ისინი უფრო კარგადაა გამოსახული და უფრო მკვეთრნი და ხშირნი პალეალურ მხარესთან არიან. გვერდის კომისური სწორია, ოდნავ გაღუნული, შუბლის კომისური—მორგვალბული. თხემი თითქმის ამართულია. ფორამენი კარგად არ ჩანს, გვერდიდან ის მოკვეთილს ჰგავს. კარგად არის გამოსახული ზურგის საგდულის თხემი. აქაც ნათლად ჩანს შევიწროება თხემისაკენ.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუშები ერთი შეხედვით ჰგვიანან თანამედროვე *Terebratulina caput-serpentis* Linn. sp.-ს დასურათებულს დევიდსონის მიერ (76, ტაბ. 1, სურ. 3), განსხვავდება მისგან დეპრესიის უქონლობით, სწორი შუბლის კომისურით და მორგვალბული ფორამენით. ამავე ტაბულის სურ. 14—15 გამოსახული ნამარბი *Terebratulina caput-serpentis* კი უფრო მკვეთრად განსხვავდება აღწერილი ნიმუშისაგან, სახელდობრ: მორგვალბულ სამკუთხოვანი მოყვანილობით, მსხვილი და ხორკლიანი წიბოებით, რომელნიც გადაკვეთილნი არიან ხშირი და წვრილი კონცენტრული ზრდის რგოლებით და ძლიერ დიდი ფორამენით, რომელიც მიბჯენილია ზურგის საგდულის თხემს.



მესამეული *Terebratulina striatula* Sow. [44, ტაბ. 1, სურ. 16] განსხვავდება ჩემი ნიმუშისაგან მეტი სიფართოთ და უფრო მორგვალებული თხემით და შუბლის კიდიით.

აღწერილი ნიმუშები ყველაზე მეტად ჰგვანან *Terebratulina striata* d'Orb. როგორც ოვალური ფორმით, ისე თითქმის ამართული თხემით. ქველ-ხაზთა სიხშირით, დატოტვით, ქველ-ხაზების ჩამატებით, მორგვალებული შუბლის კომისურით და სხვ. დევიდსონის მიერ სურ. 18-ზე გამოსახული ნიმუში განსხვავდება ჩემი ნიმუშისაგან სინუსით და ტალღებრივი შუბლის კომისურით. დევიდსონი განსხვავებას მის მიერ აღწერილ ფორმათა შორის ხსნის ამ სახის დიდი ცვალებადობით. როგორც დევიდსონი, ისე დ'ორბინი აღნიშნული სახის ახალგაზრდა ინდივიდუუმების მორთულობიდან ასახელებენ ხორკლებს, რაც ჩემს ნიმუშებზე შემჩნეული არ არის. ჩანს ეს ნიმუშები ზრდადამთავრებულნი ყოფილან.

სადაურობა.—აფხაზეთი, ს. ამთხელის მიდამოები დანიური? თუ პალეოცენი?

გავრცელება.—საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის და რუსეთის სენონური.

კოლექცია.—არევაძის.

რიცხვი.—2.

Terebratulina aff. *tenuilineata* Baud.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	9 მმ
სიგანე	8 "
სისქე	3 "

აღწერა.—ნივარა პატარაა, სიგრძივ ოვალური. მას ძლიერ ბრტყელი ფორმა აქვს. მუცლისა და ზურგის საგდული ერთი შეხედვით ძნელი გასარჩევია, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ტერებრატულინასათვის. გვერდის და ზურგის კომისურები მორგვალებულია. ნივარა მორთულია ძლიერ წვრილი ქველ-ხაზებით, რომელნიც თხემიდან დაწყებული შუბლის კიდემდე მოუწყვებიან ნივარას. არის შემთხვევა ქველ-ხაზების ჩამატების და გაორტოტების. ქველ-ხაზები ვადაკვეთილია ზრდის კონცენტრული ხაზებით, რომელნიც შედარებით ხშირნი არიან თხემის და აგრეთვე შუბლის კიდის მახლობლად, სადაც ისინი არწიასავით უფლიან ნივარას; მანძილი ზრდის ხაზთა შორის არ არის თანაბარი. თხემი საკმაოდ ამართულია, ფორამენი პატარაა და ბუნდოვნად ჩანს.

მიმოხილვა.—აღწერილი ნიმუშის შედარებამ დევიდსონის, კოენენის და სხვათა მიერ დასურათებულ მესამეულ *Terebratulin*-ებთან ვერ მომცა შედეგები. კოენენის *Terebratulina planicosta*-საგან [56, გვ. 1943, XVII სურ. 8] განსხვავდება წიბოთა ზომებით და თხემის მოყვანილობით. ზ ა ნ დ-

ბერგერის *Terebratulina fasciculata*-ს [64, გვ. 385, ტაბ. XXXIV] ჰგავს მოყვანილობით, მაგრამ განსხვავდება ყველა დანარჩენი ნიშნით. კოსმან და პისაროს *Terebratulina tenuilineata* Baudon-ს აღწერილი ნიმუში ძლიერ ჰგავს: ნიჟარის ფორმით, კომისურებით, თხემით, პატარა ფორამენით და ჰველ-ხაზების ხასიათით მაგრამ დატოტვა ან ჩამატება ჰველ-ხაზებისა სურათზე შეუძმნეველია, რის გამო ამ ნიმუშს აღწერ როგორც *Terebratulina aff. tenuilineata* Baud.

სადაურობა.—სამეგრელო. ს. მუხურის დასაწყისი,—პალეოცენის კირ-ქვები [20].

გავრცელება.—პარიზის აუზის შუა ეოცენი (კოსმანი და პისარო).

კოლექცია.—პ. გამყრელიძის.

რიცხვი.—1.

Terebratulina cf. striatula Sow

1852. *Terebratulina striatula*, Davidson [44], გვ. 14, ტაბ. 1, სურ. 16—16 ab.

1900—1901. *Terebratulina striatula*, Oppenheim [60], გვ. 258, ტაბ. XV, სურ. 15—15 a.

ზო მ ე ბ ი

სიგრძე	14
სიგანე	13 მმ (დაზიანებული)
სისქე	4 "

მხოლოდ ერთი ნიმუშია და ისიც ნაწილობრივ დაზიანებული, მაგრამ ტერებრატულინასათვის დამახასიათებელი მოკაზმელობის გამო შესაძლებელია მისი ვანსაზღვრა.

<p><i>Dryobates major tenuirostris</i> (Bul.) წერილნისკარტა დიდი პრელი კოდალა</p>	s	s
<p><i>Dryobates major kurae</i> Laubm. საქართველოს დიდი პრელი კოდალა</p>	s	—
<p><i>Dryobates siriacus transcaucasicus</i> (Bul.) ჩრდილოეთის სირიის კოდალა</p>	s	s
<p><i>Dendrodromas lilfordi caucasicus</i> (Tschchikwiz chwili) კავკასიის ზოლიანი კოდალა</p>	s	s
<p><i>Leuconotopicus minor colchicus</i> (Bul.) კავკასიის პატარა კოდალა</p>	s	s
<p><i>Dendrocoptes medius caucasicus</i> Bianchi კავკასიის საშუალო კოდალა</p>	s	s
<p><i>Dendrocoptes medius colchicus</i> Bul. ამიერკავკასიის საშუალო კოდალა</p>	s	s
<p><i>Dryocopus martius martius</i> (L.) ჩვეულებრივი შავი კოდალა</p>	s	s
<p>ქვეოჯახი <i>Jynxinae</i> <i>Jynx torquilla torquilla</i> L. ჩვეულებრივი მაქცია</p>	n	n
<p>რიგი <i>Passeres</i> ოჯახი <i>Corvidae</i></p>		
<p><i>Cervus corax corax</i> L. ევროპული ყორანი</p>	s	s

ფრინველთა სახელწოდება	აღმოსავლურ საქართველო	აღმოსავლურ საქართველო
<i>Corvus corone sharpii</i> Oates. აღმოსავლეთის რუხი ყვავი	s	s
<i>Corvus corone corone</i> L. ჩვეულებრივი შავი ყვავი	t	—
<i>Corvus frugilegus frugilegus</i> L. ჩვეულებრივი კილყვავი	s	h
<i>Coloecus monedula soemmeringi</i> Fisch. აღმოსავლეთის კკა	s	h
<i>Pica pica fennorum</i> Linnb. აღმოსავლეთ ევროპის კაქკაქი	s	h
<i>Garrulus glandarius krynicki</i> Kalen. კავკასიის ჩხიკვი	s	(s)
<i>Pyrrhonorax graculus graculus</i> L. ევროპული აღმური კკა	s	s
<i>Pyrrhonorax pyrrhonorax docilis</i> Gm. წინა აზიის შთის კილყვავი	s	s
ოჯახი Sturnidae		
<i>Sturnus vulgaris vulgaris</i> L. ჩვეულებრივი შროშანი, შოშია	h	h
<i>Sturnus vulgaris caucasicus</i> Lorenz. კავკასიის შროშანი	s	rn
<i>Sturnus vulgaris jtkowi</i> But. რუსეთის შროშანი	h	—
<i>Sturnus vulgaris purpurascens</i> Gould. ანატოლიის შროშანი	n	rn
<i>Pastor roseus</i> L. ტარბი	rn	t
ოჯახი Oriolidae		
<i>Oriolus oriolus caucasicus</i> Sarudny. კავკასიის შოლალური	n	n
ოჯახი Fringillidae		
<i>Coccothraustes coccothraustes nigricans</i> But. კავკასიის კულუმბური	s	s

ფრინველთა სახელწოდება	აღმოსავლელი სქანოველი	დასავლელი სქანოველი
<i>Coccothraustes coccothraustes coccothraustes</i> L. ვერობული კულუმბური	h	h
<i>Chloris chloris menzbieri</i> Moltsh. კავკასიის მწვანულა	s	s
<i>Chloris chloris chloris</i> L. ვერობული მწვანულა	h	h
<i>Carduelis carduelis carduelis</i> L. ჩვეულებრივი ჩიტ-ბატონა	h	h
<i>Carduelis carduelis brevirostris</i> Sar. კავკასიის ჩიტ-ბატონა	s	s
<i>Spinus spinus</i> L. პეკევი	s	s
<i>Acanthis cannabina cannabina</i> L. ჩვეულებრივი ჰვინტა	h	h
<i>Acanthis cannabina bella</i> Brehm. თურქესტანის ჰვინტა	n	n
<i>Acanthis flavirostris brevirostris</i> Moore. კავკასიის შთის ჰვინტა	n	n
<i>Serinus pusillus</i> Pall. თავეწილა	s	s
<i>Serinus canaria serinus</i> L. ვერობული იალონისებრი შთიულა	e	—
<i>Pyrrhula pyrrhula rossikovi</i> Derjugin კავკასიის სტვენია	s	s
<i>Erythrina rubicilla rubicilla</i> Sald კავკასიის დიდი კოკობა	s	s
<i>Erythrina erythrina kubanensis</i> Laubm. კავკასიის ჩვეულებრივი კოკობა	n	n
<i>Loxia curvirostra caucasica</i> Bst. კავკასიის მარწუხა	s	s
<i>Fringilla coelebs</i> L. ვერობული სკვინჩა, ნიბლია	h	h

ფრინველთა სახელწოდება	კლასიკური სახელწოდება	დამატებითი სახელწოდება
<i>Fringilla coelebs solomkoi</i> Menzbier კავკასიის სკეინა	s	s
<i>Fringilla montifringilla</i> L. მთიულა ჩიტო	h	h
<i>Montifringilla nivalis alpicola</i> Pall. კავკასიის ალპური მთიულა	s	s
<i>Petronia petronia exigua</i> Ill. კავკასიის კლდის ბელურა	s	—
<i>Passer domesticus caucasicus</i> Bogd. კავკასიის შინაური ბელურა	s	s
<i>Passer montanus trancaucasicus</i> But. ამიერკავკასიის მინდვრის ბელურა	s	sr
<i>ოჯახი Emberizidae.</i>		
<i>Emberiza calandra calandra</i> L. ჩვეულებრივი მეფეტვეია	n	t, (n)
<i>Emberiza citrinella erythrogeneris</i> Bpehm ალმოსავლეთის ჩვეულებრივი ქეროზა	h	h
<i>Emberiza melanocephala</i> Scopoli. თავშავა ქეროზა	n	t
<i>Emberiza cia prageri</i> Laubmann. კავკასიის მთის ქეროზა	s	s
<i>Emberiza hortulana</i> L. ბაღის ქეროზა	n	t, (n)
<i>Emberiza schoeniclus schoeniclus</i> L. ჩვეულებრივი ღერწმის ქეროზა	h	h
<i>Emberiza schoeniclus septentrionalis</i> Brehm. ჩრდილო-ევროპის ღერწმის ქეროზა	h	h
<i>Emberiza schoeniclus stresemani</i> Steinb. უნგრეთის ღერწმის ქეროზა	n	n
<i>Emberiza schoeniclus volgae</i> Stres. ვოლგისიქითა ღერწმის ქეროზა	h	h
<i>ოჯახი Alaudidae.</i>		
<i>Melanocorypha calandra calandra</i> L. ევროპული ველის ტორილა	n	t

ფრინველია სახელწოდება	იღობისთვის საქართველო	დამკვლავ საქართველო
<i>Calandrella cinerea longipennis</i> Eversm. აზიის პატარა ტოროლა	n	t
<i>Calandrella pisaopletta pseudobaetica</i> Stegm. ამიერკავკასიის რუხი ტოროლა	n	t
<i>Galerida cristata caucasica</i> Tacz. კავკასიის ქოჩორა ტოროლა	s	t
<i>Lullula arborea pallida</i> Sar. სამხრეთის ტყის ტოროლა	n	n
<i>Alauda arvensis cantarella</i> Sp. სამხრეთ ევროპის მინდვრის ტოროლა	n	n
<i>Eremophila alpestris penicillata</i> Gould. კავკასიის რქიანი ტოროლა	s	s
ოჯახი Motacillidae.		
<i>Motacilla alba alba</i> L. ჩვეულებრივი თეთრი ბოლო-ქანქალა	h	h
<i>Motacilla alba dukhunensis</i> Sykes. დასავლეთ ციმბირის თეთრი ბოლო-ქანქალა	n	n
<i>Motacilla cinerea cinerea</i> Tunst. ევროპული მთის ბოლო-ქანქალა	s	s
<i>Motacilla flava thunbergi</i> SIBB. ჩრდილოეთის ყვითელი ბოლო-ქანქალა	t	t
<i>Motacilla flava feldegg</i> Mich. ევროპული შავთავა ბოლო-ქანქალა	n	n
<i>Anthus campestris campestris</i> L. ევროპული მინდვრის მწყერჩიტა	n	n
<i>Anthus pratensis</i> L. მდელოს მწყერჩიტა	t	t
<i>Anthus trivialis trivialis</i> L. ჩვეულებრივი ტყის მწყერჩიტა	n	n
<i>Anthus cervinus</i> Pall. წითელყელა მწყერჩიტა	—	t
<i>Anthus spinoletta blakistoni</i> Sw. შუა აზიის მთის მწყერჩიტა	s	s

ფრინველთა სახელწოდება	ილიასკლო სქანოვლო	კახკლო სქანოვლო
<p style="text-align: center;"><i>ოჯახი Certhiidae.</i></p> <i>Tichodroma muraria</i> L. წითელფრთიანი კლდეცოცია	S	S
<i>Certhia familiaris persica sarudny et Loudon.</i> ირანის ჩვეულებრივი მგლინავა	S	S
<p style="text-align: center;"><i>ოჯახი Sittidae.</i></p> <i>Sitta europaea caucasica</i> Reich. კავკასიის ჩვეულებრივი ცოცია	S	S
<i>Sitta canadensis kruperi</i> Peiz. მცირე აზიის შავთავა ცოცია	S	S
<i>Sitta neumayer rupicola</i> Blanf. კავკასიის პატარა კლდის ცოცია	S	S
<p style="text-align: center;"><i>ოჯახი Paridae.</i></p> <i>Parus major major</i> L. ვეულებრივი დიდი წივწივა	S	S
<i>Parus coerules satunini</i> Sar. კავკასიის წიწკანა	S	S
<i>Parus ater michalowskii</i> Bogd. კავკასიის შავი წივწივა	S	S
<i>Parus cristatus cristatus</i> L. ჩვეულებრივი ქოჩორა წივწივა	S	S
<i>Parus lugubris anatoliae</i> Hart. მცირე აზიის ხმელთაშუა ზღვის წივწივა	S	S
<i>Aegithalos candatus major</i> Radde. კავკასიის თოხისტარა	S	S
<i>Remiz pendulinus menzbieři</i> Sar. ირანის ჩვეულებრივი რემეზი	S	S
<i>Remiz pendulinus caspius</i> Peetzam. კასპიის ჩვეულებრივი რემეზი	S	S
<p style="text-align: center;"><i>ოჯახი Regulidae.</i></p> <i>Regulus regulus buturlini</i> Loud. კავკასიის ყვითელთავა ნარჩიტი	S	S
<i>Regulus ignicapillus ignicapillus</i> Temm. ევროპული წითელთავა ნარჩიტი	S	S

ფრინველთა სახელწოდება	აღმოსავლურ საქართველო	დასავლურ საქართველო
ოჯახი Laniidae		
<i>Lanius excubitor excubitor</i> L. ვერობული რუხი ღაცო	h	h
<i>Lanius senator niloticus</i> Sp. ირანის წითელთავა ღაცო	n	n
<i>Lanius minor</i> Gm. შავთავა ღაცო	n	n
<i>Lanius collurio kobylini</i> But. კავკასიის ღაცო	n	n
ოჯახი Bombycillidae.		
<i>Bombicilla garrula garrula</i> L. ჩრდილოეთის ჩვეულებრივი მელდულეკე	Rre	—
ოჯახი Muscicapidae.		
<i>Muscicapa striata neumanni</i> Poche. ციმბირის რუხი მემატლია	n	n
<i>Muscicapa albicollis semitorquata</i> Ham. კავკასიის თეთრყელა მემატლია	n	n
<i>Muscicapa parva parva</i> Bechst. ვერობული პატარა მემატლია	n	n
ოჯახი Sylviidae.		
<i>Phylloscopus collybitus abietinus</i> Nelson. სკანდინავიის კედია-ყარანა	n	n
<i>Phylloscopus collybitus loreuzi</i> Menzb. კავკასიის ყარანა	t	t
<i>Phylloscopus trochilus acredula</i> L. ვერობული ყარანა-ზაფხულა	n	n
<i>Phylloscopus nitidus nitidus</i> Blyth. კასპიისიქითა მწვანე ყარანა	t	t
<i>Phylloscopus sibilatrix</i> Bechst. ფიფთელწარბა ყარანა	n	n
<i>Cettia cettia orientalis</i> Tristram. მესოპოტამიის ბუღბუღლისებრი მეჩალია	n	n
<i>Lusciniola melanopogon mimica</i> Mad. აღმოსავლეთის წვრილნისკარტა მეჩალია	n	n

ფრინველთა სახელწოდება	დამოსავლო სქემოდველი	კავსელო სქემოდველი
<i>Locustella naevia obscurior</i> But. კავკასიის ჩვეულებრივი კრიკინა მეჩალია	t, n	t, (n)
<i>Acrocephalus arundinaceus arundinaceus</i> L. ევროპული შაშვისებრი მეჩალია	n	n
<i>Acrocephalus schoenobaenus</i> L. ქახუბა მეჩალია	n	n
<i>Acrocephalus palustris</i> Becht. ქაობის მეჩალია	(n)	(n)
<i>Hippolais pallida svecica</i> Linderm. აღმოსავლეთის დიდი ბუტბუტა	n	n
<i>Sylvia nisoria nisoria</i> Bechst. მიმინოსებრი ბულბულა	n	n
<i>Sylvia hortensis crassirostris</i> Cretzschmar. მგალობელი ბულბულა	n	n
<i>Sylvia atricapilla dammholzi</i> Stres. კავკასიის თავშავა ბულბული	n	n
<i>Sylvia communis communis</i> Latham. ევროპული რუხი ბულბულა	t	t
<i>Sylvia communis icterops</i> Mën. კავკასიის რუხი ბულბულა	n	n
<i>Sylvia curuca caucasica</i> Ogn. et. Banjkowsk. კავკასიის ბულბულა კვინტა	n	n
ოჯახი Turdidae.		
<i>Turdus viscivorus viscivorus</i> L. ევროპული ჩხართვი	s	s
<i>Turdus eritorum philomelos</i> Brëhm. აღმოსავლეთის წრიბა	s	s
<i>Turdus musicus musicus</i> L. ჩვეულებრივი თეთრწარბა	Rh	—
<i>Turdus pilaris</i> t ბოლოშავი	h	h
<i>Turdus ruficollis atrogularis</i> Jarocki. ყელშავა შაშვი	Re	—

ფრინველთა სახელწოდება	აღმოსავლელი საქართველო	დასავლელი საქართველო
<i>Turdus torquatus amicornum</i> Hart. კავკასიის ყელთეთრა შაში	n	n
<i>Turdus merula aterrimus</i> Mad. კავკასიის შავი შაში	s	s
<i>Monticola saxatilis saxatilis</i> L. ვერობული ჭრელი კლდის შაში	n	n
<i>Monticola solitarius solitarius</i> L. ვერობული ლურჯი კლდის შაში	n	n
<i>Oenanthe oenanthe oenanthe</i> L. ვერობულ-აზიური მელორღია	n	n
<i>Oenanthe hispanica melanoleuca</i> Guld. აღმოსავლეთის შავ-აშლაყი მელორღია	n	n
<i>Oenanthe pleschanka pleschanka</i> Lep. ჩვეულებრივი მელორღია პლემანკა	n	n
<i>Oenanthe isabellina</i> Temm. თეთრკულა მელორღია	n	t, (n)
<i>Oenanthe opistholeuca</i> Trichl. შავმუცელა მელორღია	—	(n)
<i>Saxicola rubetra rubetra</i> L. ვერობული მდელოს ოვსადი	n	n
<i>Saxicola torquata variegata</i> Gmel. ამიერკავკასიის თავშავა ოვსადი	n	n
<i>Phoenicurus phoenicurus</i> L. ვერობული ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	n	n
<i>Phoenicurus phoenicurus samamisiensis</i> Hablizl. ირანის ჩვეულებრივი ბოლოწითელა	n	n
<i>Phoenicurus ochruros ochruros</i> Gmel. კავკასიის შავი ბოლოწითელა	n	n
<i>Phoenicurus erythrogaster erythrogaster</i> Guld. კავკასიის წითელმუცელა ბოლოწითელა	s	s
<i>Luscinia megarhynchos megarhynchos</i> Brehm, ვერობული დასავლეთის ბუღბუღი	n	n
<i>Luscinia megarhynchos africana</i> Fisch. et Reich. ირანის დასავლეთის ბუღბუღი	n	(n)

ფრინველთა სახელწოდება	აღმავალი სქიპოვალ	დასავალი სქიპოვალ
<i>Luscinia luscinia</i> L. აღმოსავლეთის ბუღბუღი	n	t, (n)
<i>Luscinia svecica manga</i> sar. et. Loud. სკანდინავიის კურკურა	t	t
<i>Erithacus rubecula rubecula</i> L. ჩვეულებრივი გულწითელა	t	t
<i>Erithacus rubecula caucasicus</i> But. კავკასიის გულწითელა	s	s
ოჯახი Prunellidae.		
<i>Prunella collaris montana</i> Habl. კავკასიის ალპური კვინტაქა	n	n
<i>Prunella modularis obscura</i> Habl. კავკასიის ტყის კვინტაქა	n	n
ოჯახი Troglodytidae.		
<i>Troglodytes troglodytes hyrcanus</i> sar. et Loud. კავკასიის ლობეშვირალა, კინკრაქა	s	s
<i>Cinclus cinclus caucasicus</i> Mad. კავკასიის ჩვეულებრივი წყლის შაშვი	s	s
ოჯახი Hirundinidae.		
<i>Hirundo rustica</i> L. სოფლის მერცხალი	n	n
<i>Delichon urbica meridionalis</i> Hart. სამზრეთის ქალაქის მერცხალი	n	D
<i>Riparia riparia riparia</i> L. ჩვეულებრივი სანაპირო მერცხალი	n	n
<i>Riparia riparia rupestris</i> Scop. დასავლეთის მთის მერცხალი	n	n
<i>Colymbus siellatus</i> Pantop. წითელყელა ლორიხვი	h	h
<i>Alectoris kakelik kaucaisica</i> Suschk. კავკასიის კაკაბი	s	rs
<i>Trancolinus orientalis caucasicus</i> But. ამიერკავკასიის ღურაჯი	rs	—
<i>Leuconotopicus minor ernstii</i> Dpm. კავკასიის მატარა კოდალა	s	s

ზემოთ მოცემულია საქართველოს ფრინველთა სისტემატიკური სია სახეობათა და ქვესახეობათა ანალიზის საფუძველზე, ზოგიერთი ბიოლოგიური მოვლენის აღნიშვნით და საქართველოს ორი მთავარი ნაწილის ასპექტში: როგორც ცნობილია, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო თავისი ფლორის და ფაუნის შემადგენლობით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება. ზემოდ მოყვანილი სისტემატიკური მასალის გაცნობა იძლევა საკმარისად საინტერესო მონაცემებს საქართველოს ორნიტოფაუნის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

ხ ა რ ტ ე რ ტ ი (Hartert), პალეარქტიკის ორნიტოფაუნის საუკეთესო მკოდნე, პალეარქტიკის ავიოფაუნის სახეობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს 1100 სახეობით. პროფესორ ტუგარინოვის აზრით ამითგან 700 სახეობა შეადის სსრ კავშირის ორნიტოფაუნის შემადგენლობაში, ხოლო ქვესახეობათა რიცხვი კი დაახლოებით 1400 უდრის.

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ საქართველოს ორნიტოფაუნის სისტემატიკური შემადგენლობა განისაზღვრება 327 ფორმით, რაც შეადგენს საბჭოთა კავშირის ფრინველთა ფორმების 23,3%-ს. ეს მოწმობს იმას, რომ საქართველოს ორნიტოფაუნა საკმარისად მრავალნაირია. ის შეიცავს 12 რაზმს და 50 ოჯახს.

სისტემატიკის თვალსაზრისით გავლებული პარალელი საბჭოთა კავშირის და საქართველოს ფრინველთა ზოგიერთ ოჯახს შორის შემდეგ სურათს გვაძლევს:

საბჭოთა სოვ. რესპუბლიკათა კავშირი			საქართველოს სოვ. საბჭ. რესპუბლიკა		
ოჯახების და ქვეოჯახების სახელწოდება	სახეობათა და ქვესახეობათა რიცხვი	პროცენტი	ოჯახების და ქვეოჯახების სახელწოდება	სახეობათა და ქვესახეობათა რიცხვი	პროცენტი
<i>Ciconiidae</i>	2	100%	<i>Ciconiidae</i>	2	100%
<i>Anatinae</i>	14	100%	<i>Anatidae</i>	8	57%
<i>Turdidae</i>	90	100%	<i>Turdidae</i>	25	27,7%
<i>Sylviidae</i>	96	100%	<i>Sylviidae</i>	20	20,8%

თუ ჩვენ ზემოთ მოყვანილი სიიდან გამოვყოფთ ფრინველთა ძირითად ბიოლოგიურ ჯგუფებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ასპექტში, მივიღებთ საკმარისად საინტერესო მონაცემებს:

	აღმ. საქ.	დას. საქ.
მომინდარი	96	89
მობუდარი	122	86
მოზამთრე	44	56
ვადამფრენი	38	73

ეს მონაცემები ნაწილობრივ განმარტავენ აღმოსავლეთ და დასავლეთ-საქართველოს ორნიტოფაუნის ბიოლოგიის ზოგიერთ საკითხს, მაგალითად: აღმოსავლეთ საქართველოს მობინადრე და მობუდარი ფრინველები საგრძნობლად აღემატებიან დასავლეთ საქართველოს ასეთსავე ფრინველებს, დასავლეთ საქართველოში კი მოზამთრე და გადამფრენი ფრინველები სპარბო-ბენი პირველი მოვლენა პოულობს თავის ახსნა-განმარტებას იმაში, რომ დასავლეთ საქართველოში სათანადო ეკოლოგიური პირობების, სათანადო სტაციების უქონლობის გამო არ ბუდობენ და არც ბინადრობენ ტრამალის ტიპური ფრინველები; აღმოსავლეთ საქართველო კი, როგორც ცნობილია, მდიდარია ტრამალებით (შირაქი, ვარდაბანი, უდაბნო და სხვა) და შეიცავს ტრამალების ფორმების შედარებით დიდ რიცხვს. ამის გარდა, ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველო თავისი კლიმატური პირობებით, ზედმეტი ასინესტის და ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობის გამო მთელი რიგი მოზაფხულე ფრინველებისათვის მიუღებელია, როგორც საბუდარი ადგილი.

მოზამთრე სახეობათა რიცხვის კარბობა დასავლეთ საქართველოში ძირითადად აისწნება ჰავის პირობებით: რბილი, ხშირად უთოვლო ზამთარი, აძლევს საშუალებას აქ მოზამთრე ფრინველებს ადვილად გადაიტანონ ზამთრის მკაცრი პირობები და მასთან ერთად ადვილად მოიპოონ საკვები. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში არამობუდარი ქიუყვაევი და ქვა ზამთარში აქ გუნდებდა დადიან ნასიმიდარ ყანებში, იკვებებიან ჩაცვენილი სიმინდის მარცვლებით და ამასთან ერთად მრავალნაირი ცხოველური საკვებითაც.

ტყის ჭაბამი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ზამთარში ძალიან იშვიათია, დასავლეთ საქართველოში ამდროს დიდი რაოდენობით გვხვდება, რადგანაც აქ მას აქვს სანატრელი საზამთრო პირობები: თხელის ტყეები სინესტიით სავსე, დასერილი არა ღრმა ხეებით, ნაწილობრივ ქაობიანი, სქეტი ქვეტყით მდიდარი, აძლევენ მათ უხვ საკვებს და კარგ თავშესაფარს. შავი ზღვის სანაპირო ადგილები, ეჭვს გარეშეა, უქმნიან საუკეთესო ეკოლოგიურ პირობებს. მოზამთრე წყლის და ქაობის ფრინველებს. აქ ჩვენ ვხვდებით მთელი რიგ იხებებს (*Nyroca marila*, *Netta rufina* *Nyroca ferina* და სხვა), რომლებიც საქართველოს პირობებში ზამთარს ატარებენ მხოლოდ მის დასავლეთ ნაწილში. გადამფრენ სახეობათა კარბობა ადვილად გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს მისდევს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრინველთა გადაფრენის გზა.

И. Д. ЧИХВИШВИЛИ

ПТИЦЫ ГРУЗИИ

Резюме

Бесспорно имеются большие достижения в деле изучения орнитофауны Кавказа и в частности Грузии. Особенно это касается систематики. Можно смело сказать, что будущие исследователи вряд ли смо-

гут ныне существующий систематический список птиц Кавказа увеличить больше чем на несколько форм. Но различные мнения современных систематиков, считать ли ту или иную форму за вид или подвид, значительно усложняет решение этого вопроса. К этому же надо добавить и то, что концепция вида очень сложна и недостаточно разработана. Поэтому различные авторы для одной и той же местности насчитывают различное число видов и подвидов. На основании сказанного можно отметить, что приведенный выше список птиц Грузии в будущем может несколько измениться.

Необходимо подчеркнуть, что инвентаризация фауны очень трудоемкое дело, требующее много времени и труда.

Литература по инвентаризации птиц Грузии очень бедна. Имеется по этому вопросу только одна работа „Номенклатура позвоночных Грузии“, изданная в 1926 году, которая достаточно устарела; поэтому считаем целесообразным, чтобы существующие данные по систематике птиц Грузии были бы переработаны согласно новым требованиям науки и пополнены новыми данными.

В работе приведены систематические данные по орнитофауне Грузии с некоторым фактическим материалом по био-экологии в аспекте Западной и Восточной Грузии. Выясняется, что орнитофауна Грузии представлена 327 формами, что составляет приблизительно 23,3% всех форм, встречающихся на территории СССР. Это говорит за то, что орнитофауна Грузии в систематическом отношении довольно богато представлена.

Если из систематического списка птиц выделить основные биологические группы в аспекте Восточной и Западной Грузии, то получим довольно интересные данные:

	Восточная Грузия	Западная Грузия
Оседлые	96	89
Летующие	122	86
Зимующие	44	56
Пролетные	38	73

Эти данные отчасти поясняют некоторые био-экологические вопросы орнитофауны Грузии. Так, например, оседлые и летующие формы Восточной Грузии численно значительно превосходят таковые Западной Грузии. Западная же Грузия богата зимующими и пролетными формами.

Первое из этих явлений находит свое объяснение в том, что в Западной Грузии не имеются подходящие станции для степных форм, Восточная Грузия же, наоборот, богата степями (Ширакская, Гардабан-

სკა, დავიდ-გარეჯინსკა და სხვა). კრძმე ავტო, პო ნაშემუ მწიწნი, ზაპაძაი გრუჯია ვსლედსვიე ივლიშნიე ვლაჟიწნიე ნეპრემლემა დლა დელო გრადა გნეძაიწიწი, სუხოლუბიწი ფორმ. პრევალიროვანიე ვა ზაპაძაი გრუჯია ზიმუიწიწი ფორმ ვ ავსოვნიმ ავწიწნიესა ეა კლიმატიწესკიმი ავსობნიესაი: თელაი, ზაწაწუა ბესსნეჟნია ზიმა ი აბნილე კორმა სოძაოთ ნაილუწიწი უსლოვა დლა ზივოწკი პტიწი დ აოთ იმ ვოჟმოსწი ლეგო პერენესტი ნენაწესა ზიმა. Ⴢო კასაქეს თოგო, Ⴢო პრელთნიე ფორმა ზაპაძაი გრუჯია პრეობლადოთ ნად თაკოვნიმი ვოსოწნიე გრუჯია, ავო ნაოძიწი სოე ავწიწნიესა ვ თომ, Ⴢო ვდოლ ვოსოწნიე ბერეგა Ⴢერნიე მორე ლეჟი ავნი ივ გლავნიმ პრელთნიე პუთეი პტიწი სსსრ.

მ. პაპაძე

კავკასიის კოწახურები

გარეულ ხილულობათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კოწახურს უჭირავს, რომელიც უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც სამკურნალო, დეკორატიული და საღებავი მცენარე.

კოწახურის ძვირფასი თვისებები საჭიროდ ხდის მის უფრო დეტალურ შესწავლას.

საქართველოს ფლორისათვის ოჯახი *Berberidaceae*-ის დამუშავების შედეგად გამოირკვა, რომ კავკასიაში გავრცელებული კოწახურების არსებულმა სისტემატიკურმა შემადგენლობამ ვერ ამოწურა მათი მრავალფეროვანება, რამაც უფრო მეტად გაართულა მათი გარკვევა და შესწავლა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ გავვერკვია ამ გვარის კავკასიაში გავრცელებული სახეობები, მათი სისტემატიკურ-მორფოლოგიური ნიშან-თვისებები და გავრცელების არეალი.

აღნიშნული თემის დამუშავების მიზნით, ჩვენ მიერ გამოყენებული იყო ლიტერატურული მონაცემები და დამუშავებული იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ვ. ლ. კომაროვის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის, საქ. სსრ შუზეუმის ბოტანიკის განყოფილების, აზერბაიჯანის სსრ მეცნ. აკად. ბოტანიკის ინსტიტუტის და სომხეთის სსრ მეცნ. აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმები.

ამის გარდა, ჩვენს მიერ შეგროვილი იყო საჭერბარიო მასალები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და შესწავლილი იყო ცალკეული სახეობანი ბუნებრივ პირობებში, აგრეთვე დაკვირვებას ვაწარმოებდით ბოტ. ინსტიტუტის ცოცხალ მცენარეთა განყოფილების და ბოტ. ბაღის ტერიტორიაზე გავრცელებულ კოწახურებზე.

გვარი *Berberis L.*-ს ბიოგრაფიული გავრცელება და სემიოციტოლოგია

გვარი *Berberis L.*-ს უმთავრესად გავრცელებულია აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში (60° ჩრდილო განედის და 10°-მდე სამხრეთ განედის), ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში.

აღნიშნული გვარის გავრცელების არეალი ევრაზიაში შეიცავს შემდეგ ფლორისტულ ოლქებს: აღმოსავლეთი აზია, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები (პო-

პოვის გაგებით [20]) და ნაწილობრივ ევროპა-ციმბირის ოლქის (ვუ ლ ფ ის მიხედვით [7]), იავაზე და ფილიპინის კუნძულებზე, სამხრეთ ნაწილში.

ჩრდილო ამერიკაში, გვარი *Berberis* L.-სი ფართოდ არაა გავრცელებული. იზრდება მხოლოდ ორი სახეობა, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ვირჯინიიდან გეორჯიამდე, ალეგანიის მთებში და მდინარე მისისიურის აუზში. სამხრეთ ამერიკაში ეს გვარი კი ძლიერ ფართოდ არის წარმოდგენილი; განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, კოლუმბიიდან გორნის კონცხამდე და ტეხლოვან მიწაზე (უმთავრესად გვეხდება კოლუმბიაში, ეკვადორში, პერუში, ჩილში და ბოლივიაში). რამდენიმე სახეობა იზრდება აგრეთვე სამხრეთ ნაწილში, არგენტინაში, ურუგვაიში და აღმოსავლეთ ნაწილში—ბრაზილიაში.

ზემოაღნიშნული გვარის სახეობათა უმეტესი ნაწილი გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიაში (უფრო მეტად მარად მწვანე) და სამხრეთ ამერიკაში (ანდის მთებში).

გვარი *Berberis* L. შნაიდერის მიხედვით [40] იყოფა 21 სექციად. აღნიშნულ გვარში შეშავალი სექციების გეოგრაფიული გავრცელება, ავტორის მონაცემებით, წარმოდგენილია შემდეგი სახით: 10 სექცია, რომელიც დაახლოებით 104 სახეობას შეიცავს, გავრცელებულია აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში და მათ შორის ორი სახეობა ჩრდილოეთ ამერიკაში. სახეობების უმეტესი ნაწილი დაჯგუფებულია აღმოსავლეთ აზიაში. 11 სექციის წარმომადგენელი, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 101 სახეობას, იზრდება მხოლოდ სამხრეთ ამერიკაში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში—ანდის მთებში.

კავკასიის კოწახურები, შნაიდერის მიხედვით, ორ შემდეგ სექციას ეკუთვნის: *Vulgares* C. K. Schn. *Sinenses* C. K. Schn.

სექცია *Vulgares* C. K. Schn, მორფოლოგიური ნიშნებისა და გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით, სხვადასხვაგვარია. ამიტომ შნაიდერი მას სამ ქვესექციად ყოფს. პირველი—*Aetnenses* C. K. Schn. შეიცავს ორ სახეობას. გავრცელების არეალია ხმელთაშუაზღვის კუნძულები (სიცილია, კალაბრია, სარდინია და კორსიკა). მეორე ქვესექცია: *Ignoratae* C. K. Schn. აერთიანებს ხუთ სახეობას; მისი გავრცელების არეალი იწყება ჩრდილოეთ ჩინეთიდან და აღმოსავლეთ მონღოლეთიდან, შემდეგ ვრცელდება ინდოეთში (სიკიმი), ცენტრალურ აზიაში (კაშმირი), სამხრეთ ციმბირში, დასავლეთ ავღანისტანში და აღწევს ჩრდილოეთ ირანამდე. ქვესექცია *Euvulgares* C. K. Schn. შეიცავს 11 სახეობას: მათ შორის 8 სახეობა იზრდება აღმოსავლეთ აზიაში (იაპონია, ჩინეთი, მანჯურია), დანარჩენი სამი სახეობიდან *B. vulgaris*, იზრდება შუა და სამხრეთ ევროპაში, ჩრდილო ანატოლიაში და კავკასიაში; *B. moderensis* Lewe—კუნძულ მაღირაზე და სახეობა *B. orientalis* C. K. Schn.—წინა აზიაში (თურქეთი, სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია და ირანი).

ქვესექცია *Euvulgares* C. K. Schn. შეშავალი სახეობების დამუშავების შედეგად გამოირკვა, რომ ზემოთ აღნიშნული ქვესექციის 8 სახეობა, რომლებიც გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიაში, განსხვავდებიან დანარჩენი სამი

სახეობიდან, რომლებიც იზრდებიან შუა ევროპაში, კავკასიაში და წინა აზიაში, უფრო განიერი ფოთლებით, უფრო გრძელი მეჩხერი ყვავილებით და უფრო მოზრდილი ნაყოფებით. ამის საფუძველზე, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩინია, ეს სახეობები გავაერთიანოთ დამოუკიდებელ ქვესექციად *Japonicae*-ში, რომელსაც ახასიათებს გარკვეული გეოგრაფიული გავრცელების არეალი და გარკვეული მორფოლოგიური ნიშნები, ხოლო 3 სახეობა: *B. vulgaris*, *L. B. maderensis* და *B. orientalis*-კი—ქვესექცია *Euvulgares*-ში, რომლის გავრცელების არეალი იქნება შუა ევროპა, ხმელთაშუა ზღვა, წინა აზია და კავკასია.

ამგვარად, ჩვენი გამოკვლევის შედეგად სექცია *Vulgares* C. K. Schn. შეიცავს 4 ქვესექციას: *Japonicae m. Ignoratae* C. K. Schn.; *Euvulgares* (C. K. Schn.) *m* და *Aetnenses* C. K. Schn.

სექცია *Euvulgares* (C. K. Schn.) *m*-ის სახეობათა გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით, შეიძლება დავუშვათ, რომ ამავე სექციის წარმომადგენელი წარმოშობით დაკავშირებულია აღმოსავლეთ აზიასთან; ხოლო ხმელთაშუა ზღვის მხარეში (ველფის მიხედვით [7]) კი ამ სექციის დამოუკიდებელი ცენტრი შეიქმნა.

სახეობა *B. iberica* Stev. et Fisch. შნაიდერის მონაცემებით ეკუთვნის სექცია *Sinenses*, რომელიც შეიცავს შემდეგ სამ სექციას: *Sieboldiae* C. K. Schn., რომელიც იზრდება იაპონიაში (აერთიანებს ორ სახეობას); *Creticae* ხმელთაშუა ზღვა და მცირე აზია (გაერთიანებულია 5 სახეობა) და მესამე ქვესექცია *Eusinenses* C. K. Schn., რომელიც ექვს სახეობას აერთიანებს. მათ შორის შნაიდერს სამი სახეობა მითითებული აქვს აღმოსავლეთ აზიასათვის (იაპონია, ჩინეთი); ორი სახეობა—ჩრდილოეთ ამერიკისათვის და ერთი სახეობა კი *B. iberica* Stev. et Fisch.—კავკასიისათვის.

ჩვენ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ლენინგრადის კომპაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის პერბარიუმში ყველა სახეობებს, რომელთაც შნაიდერი აერთიანებს ქვესექცია *Eusinenses*-ში და დაერწმუნდით, რომ სახეობა *B. iberica* Stev. et Fisch. განსხვავდება აღნიშნულ ქვესექციაში შემავალ სახეობებიდან: ყვავილედით და ფოთლის მოყვანილობით, და ახლოს სდგას, როგორც მორფოლოგიური ნიშნებით, აგრეთვე გეოგრაფიული გავრცელებითაც, სექცია *Integerrima*-ში შემავალ სახეობებთან, განსაკუთრებით სახეობა *B. integerrima*-სთან. ეს უკანასკნელი სექცია აერთიანებს სამ სახეობას და გავრცელებულია ჩრდილო ჩინეთში, ცენტრალურ, შუა და წინა აზიაში. სექცია *Integerrima*—აქტორის მონაცემებით ხასიათდება შემდეგი მორფოლოგიური ნიშნებით: ფოთლები ლანცეტა მოგრძო ელიფსური ან უკუკვერცხისებრი, კიდემთლიანი იშვიათად შორი-შორ დაკბილული; ფოთლის ფირფიტის ორივე მხარეზე ძარღვები მკვეთრად და გამოსახული; ფოთლის ფირფიტა ქვედა მხარეზე მკრთალი ფერისაა; თესლკვირტი 1—3, სეტი არ აქვს ან ოდნავ გამოსახულია.

უნდა აღინიშნოს, რომ სექცია *Integerrima*-ს ცალკე დამოუკიდებელ სექციად გამოყოფის საკითხი, ჩვენი შეხედულებით, საეჭვოა, რადგან ამ სექციის სახეობები თავისი მორფოლოგიური ნიშან თვისებების მიხედვით ახლოს დგას

სექცია *Sinenses*-ში შენეველ სახეობებთან. ამის გარდა, სექცია *Integerrima*-ს გავრცელების არეალი სექცია *Sinenses*-ს საერთო გავრცელების არეალშია მოთავსებული.

ამის საფუძველზე, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სექცია *Integerrima* დაუქვემდებაროთ ქვესექციის სახით სექცია *Sinenses*-ს, რომლის გავრცელების არეალი იქნება: აღმოსავლეთი აზია, ცენტრალური, შუა და წინა აზია, ჩრდილოეთ ამერიკა.

ეს ჩვენი დებულება ეთანხმება, როგორც სექცია *Integerrima* -ს სახეობების მორფოლოგიური ნიშნების კომპლექსს, აგრეთვე მათ გეოგრაფიულ გავრცელებასაც.

უკანასკნელი სახეობა *B. densiflora* Boiss. et Buhse, რომელიც შნაიდერს მოყავს სახეობა *B. integerrima*-ს სახესხვაობის სახით, ჩვენი მონაცემებით, ეკუთვნის სექცია *Sinenses*-ს კერძოდ ქვესექცია *Integerrima*-ს.

ამგვარად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, კავკასიის კოწახურების შემდეგი განაწილება შეიძლება მივიღოთ:

1. სექცია—*Vulgares* C. K. Schn.

ქვესექცია—*Euvulgares* (C. K. Schn.) m.

სახეობები: *B. vulgaris* L.

B. orientalis C. K. Schn. m.

2. სექცია—*Sinenses* C. K. Schn.

ქვესექცია—*Integerrima* (C. K. Schn.) m.

სახეობები: *B. densiflora* Boiss. et Buhse.

B. iberica Stev. et Fisch.

კავკასიაში გამრავლებული კოწახურების შესწავლის ისტორია

გარი *Eerberis* L.-ს კავკასიის წარმომადგენელთა შესწავლის შედეგად გამოიჩვენა, რომ კავკასიაში იზრდება მხოლოდ 4 სახეობა: *B. vulgaris* L. *B. orientalis* C. K. Schn.; *B. densiflora* Boiss. et Buhse.; *B. iberica* Stev. et Fisch

კავკასიის ფლორის სხვადასხვა მკვლევარების მიერ მითითებულ იყო აგრეთვე ისეთი სახეობები, რომელიც სრულიად უცხო იყო კავკასიის ფლორისათვის. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: შუა აზიაში გავრცელებული სახეობა *B. integerrima* Bng., დასავლეთ მცირე აზიაში—*B. crataegina* DC და სხვა.

ამის გარდა სხვადასხვა ავტორების აზრი კავკასიაში გავრცელებული სახეობების შესახებ მეტად სხვადასხვაგვარი იყო.

1764 წელს ლინეუმ [31] „Species plantarum“ აღწერა სახეობა *B. vulgaris* L. და აღნიშნავს „Hab. in Europae Oriente, Libano“. შემდეგში, 1808 წელს მარშალ ბიბერსტეინს [39] მოყავს სახეობა *B. vulgaris* L. კავკასიის და ყირიმის ფლორისათვის.

მარშალ ბიბერსტეინის შემდეგ, ყველა ავტორებს მოყავდათ კავკასიისათვის სახეობა *B. vulgaris* L.

ქვემოთ ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ უფრო მნიშვნელოვან შრომებს.
 ბუასიე „Flora Orientalis“-ში [26] სახეობა *Berberis vulgaris* L. მიუთითებს „Hab. in Rumelia (Friv!) Caucaso et prov. Transcaucasia MB. (C.A.M). Persia bor. in montosis prov. Aderbaidjan!“ აღნიშნული სახეობიდან, ავტორი ყოფს ორ სახესხვაობას: var. *emarginata* Boiss. — „Folia acutera firmiera racemus densior erectiusculus. Hab. in Rumelia“ და var. *brachybotrys* Boiss. — „Folia minora, racemi abbreviati erectiusculi—in monte Elbrus. Persia bor. (Bunge!)“.

1869 წელს რუპრეხტს [36] მოყავს სახეობა *B. vulgaris* L. კავკასიის სხვადასხვა რაიონებისათვის. ამასთანავე მის მიერ დადგენილია შემდეგი სახესხვაობანი: var. *coriacea* Rupr. „Circa Tiflis, var. *littoralis* Rupr. „Suchum-Poti“.

1873 წელს [42] ტრაუტვეტერი *B. vulgaris* L. მიუთითებს კავკასიის ფლორისათვის. სომხეთისათვის მოყავს ავტორს შემდეგი სახესხვაობანი: *B. vulgaris* L. var. *normalis* Heok. „in Armenia“. და *B. vulgaris* L. var. *integerrima* Trautv. in Armenia m. Ararat minore. აღნიშნული სახესხვაობის სინონიმებად ტრაუტვეტერი სთვლის: *B. densiflora* Boiss. et Buhse-ს, *B. integerrima* Bunge-ს და *B. nummularia* Bunge-ს.

შემდეგში ნ. ა. ბუშს [3] კავკასიისათვის მოყავს სახეობა *B. vulgaris* ამასთანავე პირველად მიუთითებს ორ სახესხვაობას, სახელდობრ: *B. vulgaris* L. var. *emarginata* Boiss-ს ცენტრალურ ამიერკავკასიიდან, რომელიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აღწერილი იყო ბუასიეს მიერ რუმელიიდან და მეორე — *B. vulgaris* L. var. *brachybotrys* Boiss. აღმოსავლეთ კავკასიიდან. ეს უკანასკნელი სახესხვაობა აღწერილი იყო აგრეთვე ბუასიეს მიერ ჩრდილოეთ ირანიდან.

უფრო გვიან ნ. ბუშს მიუთითებს *B. vulgaris* L. კავკასიისათვის და ზემოთ აღნიშნული სახესხვაობის გარდა, მოყავს აგრეთვე რუპრეხტის მიერ აღწერილი სახესხვაობა: *B. vulgaris* L. var. *littoralis* Rupr. დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი, სამეგრელო, გურია).

1905 წელს გამოქვეყნდა შნაიდერის მონოგრაფია გვარი *Berberis* L-ს შესახებ [38], სადაც იგი აღწერს ახალ სახეობას *B. orientalis* C. K. Schn. და მოყავს იგი შემდეგი ადგილმდებარეობიდან: „Russisch Armenien (Szovits.); Persien (Szovits.); Persien Koschadara. (Szovits.); Ghilan. (Boiss.)“. უფრო ადრე ეს სახესხვაობა სახესხვაობის სახით აღნიშნული იყო ბუასიეს მიერ ჰერბარიუმში, *B. vulgaris* L. var. *orientalis*-ის სახელწოდებით, მაგრამ მისი დიაგნოზი ავტორის მიერ ლიტერატურაში არ იყო აღნიშნული.

შნაიდერს სახეობა *B. vulgaris* L. ამ შრომაში მოყავს შუა და სამხრეთ ევროპისათვის და ჩრდილოეთ კავკასიისათვის.

უფრო გვიან 1906 წელს [40] შნაიდერი *B. orientalis* C. K. Schn.-ის მიუთითებს ზემოდ დასახელებული რაიონების გარდა, აგრეთვე აღმოსავლეთ და სამხრეთ კავკასიისათვის.

შნაიდერის დასკვნებმა შეიყვანეს შეცდომაში კავკასიის მრავალი მკვლევარი.

კავკასიის ფლორის ავტორთა შორის ა. გ რო ს პ ე ი მ მ ა პირველად მოიყვანა [30] სახეობა *B. vulgaris* L.-ის ნაცვლად *B. orientalis* C. K. Schn. და პირველი სახეობის სახესხვაობები დაუქვემდებარა მეორეს, სახელდობრ: *B. orientalis* C. K. Schn. var. *emarginata* Boiss.—აღმოსავლეთი და სამხრეთ აკავკასია; *B. orientalis* C. K. Schn. var. *brachybotrys* Boiss.—აღმოსავლეთი კავკასია (დაღისტანი); *B. orientalis* C. K. Schn. var. *littoralis* Rupr.—დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი, იმერეთი, აჭარა). უკანასკნელად ფედ ჩ ე ნ კ ო [23] ეყრდნობა რა შნაიდერის გამოკვლევას, მოყავს *B. vulgaris* L.-სი ევროპასა და ჩრდილოეთ კავკასიისათვის, ხოლო სახეობა *B. orientalis* C. K. Schn.-სი აღმოსავლეთ და სამხრეთ აკავკასიისათვის, ირანისათვის და თურქეთის სომხეთისათვის.

ჩვენს შრომაში [19] სახეობა *B. vulgaris* L.-სი მითითებული იყო მთელი კავკასიისათვის, ხოლო სახეობა *B. orientalis* C. K. Schn. ბუასიეს თანახმად სახესხვაობის სახით დაფუძვემდებარეთ სახეობა *B. vulgaris* L.

ეს იყო გამოწვეული იმით, რომ შნაიდერს არ ჰქონდა მოცემული სრული დიაგნოზი, ამასთანავე ჩვენ არ გვქონდა საშუალება გავცნობოდით აუტენტიკურ ეგზემპლარს. და ამის საფუძველზე ჩვენ შეცდომით ჩავთვალეთ სახეობა *B. orientalis* C. K. Schn., *B. vulgaris* L.-ის სახესხვაობათ და მივიღეთ მის ერთ-ერთ ეკოლოგიურ ფორმად.

უკანასკნელად ლენინგრადში სსრკ კომაროვის სახ. ინსტიტუტში საქრბარიო მასალების დამუშავების შედეგად, შნაიდერის მიერ გარკვეულ ირანის და თურქეთ-სომხეთის მასალებიდან დაერწმუნდით, რომ *B. orientalis* C. K. Schn. წარმოადგენს დამოუკიდებელ სახეობას, რომელიც ხასიათდება გარკვეული მორფოლოგიური ნიშნებით და გარკვეული გავრცელების არეალით. *B. orientalis* C. K. Schn. განსხვავდება *B. vulgaris* L.-დან ყვითელი ფერის ძლიერ დაღარული ნორჩი ტოტებით, ელიფსური, უფრო მეტად ტყავისებრი და ნაკლებ დაკბილული ფოთლებით, უფრო გრძელი და მაგარი ეკლებით.

ჩვენ მოგვეცა საშუალება დაგვეზუსტებინა *B. orientalis* C. K. Schn.-ის გეოგრაფიული გავრცელება კავკასიის ფარგლებში. ეს სახეობა იზრდება მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ აკავკასიაში (დაღისტანი, სამხრეთ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი).

კავკასიის ფარგლებს გარეშე ეს მცენარე იზრდება თურქეთის სომხეთში და ირანში.

ეგზემპლარები სამხრეთ საქართველოდან (მესხეთი), რომლებიც სინამდვილეში წარმოადგენს *B. orientalis* C. K. Schn. ჩვენ უფრო ადრე არასწორად მოგვეყვავა. როგორც ირანის სახეობა *B. densiflora* Boiss. et Buhse.

ამგვარად, ჩვენი საბოლოო გამოკვლევების შედეგად, კავკასიაში იზრდება ორივე სახეობა: *B. vulgaris* L. და *B. orientalis* C. K. Schn.

სახეობა *B. vulgaris* L. ფართოდ არის გავრცელებული მთელ კავკასიაში განსაკუთრებით მის ჩრდილო და დასავლეთ ნაწილში, აღნიშნული სახეობის გავრცელების არეალი სამხრეთით არ სცილდება სომხეთის ფარგლებს.

კავკასიის გარეშე ეს მცენარე იზრდება შუა და სამხრეთ ევროპაში.

კავკასიის ფარგლებში ასეთი ფართო გავრცელების არეალში, სახეობა *B. vulgaris* L., მეტად ცვალებადობს და ჩვენ მიერ აღნიშნული არის შემდეგი სახესხვაობანი: *B. vulgaris* L. var. *angustifolia* M. ვიწრო ტყავისებრი და ძლიერ დაკბილული ფოთლებით—ჩრდილოეთი კავკასია (თერგის ოლქი), *B. vulgaris* L. var. *svanetica* M. ნორჩი ტოტები მკრთალი ყვითელი ფერის დაღარული, ფოთლები მოკაძო-ოვალურ ნაპირებზე შორი-შორ დაკბილული, იზრდება სვანეთში (მესტიის მიდამოები) var. *minor* M. უფრო პატარა ზომის ფოთლები და ნაკლებ დაკბილული, მოკლე ყვავილედი—დასავლეთ საქართველო (იმერეთი); var. *latifolia* M. მეტად განიერი ფოთლებით თითქმის კიდმთლიანი, სიფრიალანისებრი, ფოთლის ფირფიტა ქვედა მხარეზე ღია ნაცრისფერი; ეკლები თითქმის არ აქვს განვითარებული. ქართლი. var. *coriacea* Rupr მორგვალო-კვერცხისებრი-მეტად ტყავისებრი ფოთლებით. ქართლი (თბილისის მიდამოები), გარე-კახეთი (საგარეჯო).

1850 წელს ბუასიემ ბუხეს მიერ შეგროვილი საპერბარო მასალიდან (ცენტრალური ირანი „Jesd“) აღწერა ახალი სახეობა *B. densiflora* Boiss. et. Buhse. (25). უფრო გვიან ბუასიემ თავის შრომაში „Fl. Orientalis“ [26] დააზუსტა აღნიშნული სახეობის გავრცელების არეალი და მოყავს იგი მთელი რიგი სხვა ადგილმდებარეობებიდან. In monte. Ararat (Szw.); in Persia prov. Azerbaidjan (Szw.), in monte Karatau Turkestaniae (Lehm). ამასთანავე ავტორი სახეობა *B. densiflora* Boiss-ს სინონიმად სახეობა *B. integerrima*-ს სთვლის, რომელიც აღწერილი იყო ბუნგეს მიერ 1831 წელს, ცენტრალური აზიიდან (ზერაფშანი) [23].

ბუასის შემდეგ სახეობა *B. densiflora* Boiss. et Buhse კავკასიის ფლორისათვის (აღმოსავლეთ კავკასია), მოიყვანა ლიპსკიმ [15], ხოლო უფრო გვიან ვოლფმა და პალიბინმა [5]. აღნიშნულ ავტორებს, ბუასიეს მიხედვით სახეობა *B. integerrima* Bnge, მოყავთ *B. densiflora* Boiss. et Buhse-ს სინონიმის სახით.

ნ. ა. ბუშმა „Fl. cauc. critica“ [3], პრიორიტეტის წესით, შესცვალა სახელწოდება და მოიყვანა აღმოსავლეთ კავკასიისათვის *B. integerrima*, ხოლო *B. densiflora* Boiss. et. Buhse სინონიმთა რიცხვში მოათავსა.

ნ. ა. ბუშის შემდეგ სხვა ავტორები მიუთითებდნენ აღმოსავლეთ კავკასიისათვის სახეობა *B. integerrima* Bnge-ს.

ბ. ა. ფედჩენკომ [23] პირველად მოიყვანა *B. integerrima* Bnge და *B. densiflora* Boiss. et. Buhse, როგორც დამოუკიდებელი სახეობანი. *B. integerrima* Bnge ავტორის მიერ მიითითებულია ცენტრალური და შუა აზიისათვის, ხოლო *B. densiflora*—ირანისათვის და თურქეთის სომხეთისათვის; სამხრეთ აღმოსავლეთ კავკასიისათვის.

კომაროვის საბ. ბოტანიკის ინსტიტუტის პერბაროეში ჩვენ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ზემოთ აღნიშნული სახეობების აუტენტიკურ მასალებს, რომელთა დამუშავების შედეგად ჩვენ ვიზიარებთ ბ. ა. ფედჩენკოს დასკვნას ამ სახეობათა შესახებ. *B. integerrima* Bnge მკვეთრად განსხვავდება

B. densiflora Boiss. et. Buhse-საგან, როგორც გეოგრაფიული გავრცელებით, აგრეთვე თავისი დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნებით: მურა წითელი ფერის ნორჩი ტოტებით, უფრო გრძელი ყვავილედით და უფრო დიდი ზომის მომრგვალო მოყვანილობის ნაყოფით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ სწორედ არ არის აღნიშნული სახეობა *B. densiflora* Boiss. et. Buhse [19] სამხრეთ საქართველოსათვის (მეს-ხეთი). ამის მიზეზი ის იყო, რომ ბუასიეს [26] და ფელჩენკოს [23], ამ სახეობის შესახებ არ აქვთ სრული დიაგნოზი მოცემული, ამასთანავე ჩვენ ვისარგებლეთ მედვედევის მიერ გარკვეული მასალებით სომხეთიდან, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს სახეობა *B. orientalis* C. K. Schn-ს. ამგვარად, ჩვენი უკანასკნელი გამოკვლევის შედეგად სახეობა *B. densiflora* საქართველოში არ იზრდება და გავრცელებულია კავკასიის ტერიტორიაზე, მხოლოდ სამხრეთ აღმ. ნაწილში (დაღისტანი, სომხეთი, ნახევეანის ავტ. რესპ.), კავკასიის გარეშე—თურქეთის სომხეთი და ირანი.

1821 წელს დეკანდოლმა „Syst. vegetabilium“-ში [27] მოყვანა სახეობა *B. iberica* Stev. et Fisch. მოკლე დიაგნოზით: „*Tamus erectiusculis foliis ablongis subintegriss*“.

უფრო გვიან დეკანდოლი „Pradromus“-ში [28] სახეობა *B. iberica* Stev. et Fisch.-ს იხილავს, როგორც *B. vulgaris* L-ის სახესხვაობას. *B. vulgaris* var. *iberica* Stev. et. Fisch.

შემდგენი რომერ და შულტს [35] მოყავთ კავკასიისათვის *B. iberica* Stev. et. Fisch., როგორც დამოუკიდებელი სახეობა „in Caucaso“.

ამის მიუხედავად ეს სახეობა არ იყო ლიტერატურაში ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახეობა და სხვადასხვა ავტორი მას ან *B. vulgaris* L-ს სახესხვაობად, ან *B. crataegina* DC-ს სინონიმად სთვლიდა [23, 28, 30].

1905 წელს შნაიდერს თავის მონოგრაფიაში [36] სახეობა *B. iberica* Stev. Fisch. მოყავს, როგორც დამოუკიდებელი სახეობა და ყოფს მისგან ორ სახესხვაობას: var. *typica*—კავკასია და var. *paphlagonica*—მცირე აზია (პაფლაგონია).

შნაიდერის ასეთმა ფართოდ გაგებამ, სახეობა *B. iberica* მიიყვანა იქამდე, რომ იგი მის შემდეგაც კავკასიის ავტორების მიერ რჩებოდა გაურკვეველი და არ იყო მიღებული, როგორც დამოუკიდებელი სახეობა.

1928 წელს წ. ა. ტროიციკი [22] სახეობა *B. iberica* Stev. et. Fisch. გააკრეფა არა სწორად, როგორც მცირე აზიის სახეობა.

შემდგენი ტროიციკის შონაცემების საფუძველზე ა. ა. გროსჰეიმს მოყავს *B. crataegina* DC. საქართველოსათვის [8], ხოლო *B. iberica*-ს შესახებ სწერს შენიშვნაში: „Остается выясным приводимый для Кавказа *B. iberica* Stev. et Fisch.—По описанию Швейдера листья у этого вида цельнокрайные, семечка одна—Абх. Гр.: Бат. Кут. В лесах“.

უფრო გვიან ფელჩენკო [23], ცერდნობა რა ნ. ა. ტროიციკისა და ა. ა. გროსჰეიმის შონაციემებს, სახეობა *B. crataegina* DC-ს მიუთითებს აღმოსავლეთ კავკასიისათვის (თბილისი), ხოლო სტევენის სახეობა *B. iberica*-ს კი აღნიშ-

ნული სახეობის სინონიმად სოვლის. ამასთანავე ფედჩენკო შენიშენაში წერს: „Указание на распространение этого вида в Закавказье очень сомнительно и, вероятно, должно быть отнесено к *B. orientalis* C. K. Schn.

გარეჯის უდაბნოს, შირაქ-ელდარის საჰერბარეო მასალების დამუშავების შედეგად და ლიტერატურული მონაცემებით, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სტევენის სახეობა *B. iberica* Stev. et Fisch. წარმოადგენს ნამდვილ დამოუკიდებელ სახეობას, რომელიც ხასიათდება გარკვეულ მორფოლოგიური ნიშნებით და გარკვეული გეოგრაფიული გავრცელებით.

ჩვენ მიერ გამოქვეყნებულია [19] აღნიშნული სახეობის სრული დიაგნოზი და აგრეთვე დადგენილია, რომ სახეობა *B. iberica* Stev. et Fisch. წარმოადგენს ა/კავკასიის ენდემს, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ ცენტრალურ ა/კავკასიის ველზე და ნახევარ-უდაბნოებში.

უკანასკნელად კომპროვის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტში საჰერბარეო მასალების დამუშავების შედეგად, დადასტურდა ჩვენი დასკვნები სახეობა *B. iberica* Stev. et Fisch.-ის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ *B. iberica* Stev. et Fisch. ავტორების მიერ სხვადასხვანაირი გაგება, ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ აუტენტუკური მასალა, რომელიც ინახება ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტში, წარმოადგენს მეტად პატარა ზომის ნორჩი ტოტის ნაწილს, აღებულს ყვავილობის პერიოდში, რომელზედაც ამ სახეობის დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნები არ არის მკვეთრად მოცემული.

ამის გარდა აღნიშნული ეგზემპლარი ინახება საერთო ჰერბარიუმში სახეობა *B. vulgaris* L.-ის ყდაში და შესაძლებელია არ მიიქცია მკვლევარების ყურადღება.

ჩვენ მოგვეცა საშუალება აგრეთვე გავცნობოდით შნიდერის მიერ გარკვეულ ეგზემპლარს *B. iberica* Stev. et Fisch. var. *paphlagonica* C. K. Schn. „Paphlagonia“-დან. ჩვენი აზრით ეს ეგზემპლარები უნდა მიეკუთვნოს სახეობა *B. crataegina* DC.-ს, რომელიც იზრდება მცირე აზიაში.

ამგვარად, ყოველივე ზემოდ აღნიშნულის საფუძველზე დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ გვარი *Berberis* L. კავკასიაში წარმოადგენილია 4 სახეობით: *B. vulgaris* L.; *B. orientalis* S. K. Schu.; *B. densiflora* Boiss. et Buhse; *B. iberica* Stev. et Fisch.

სახეობები *B. integrissima* Bage; *B. crataegina* DC., რომელიც მითითებული იყო ავტორების მიერ კავკასიის ფლორისათვის, ჩვენი დასკვნით აქ არ იზრდება და უნდა გამოირიცხოს კავკასიის ფლორიდან.

უკანასკნელად უნდა აღინიშნოს, რომ დეკანდოლის მიერ აღწერილი იყო საქართველოდან სახეობა *tragaevnthoides* DC. [28] შემდეგი დიაგნოზით: *Spinis 3-partitis parvulis, foliis axilla congestis 1-2 jugis, petiolo apice spinescente.*—Secus flumen Cur prope Tiflis. მის შემდეგ ეს სახეობა მოყავს ლედებურს. ჩვენი გამოკვლევის შედეგად, როგორც რუბრეტი აღნიშნავს [30], ეს ეგზემპლარი სინამდვილეში წარმოადგენს სახეობა *Caragana grandiflora* DC.-ს.

სპეციალური ნაწილი

Gen. *Berberis* (Tourn.) L.

Tourn. ex Gen. ed. I (1737) 94. Linn. Sp. pl ed I (1753) 330; *Berberis* L. sect. *Euberberis* Spach. Hist. nat. veg. Phaner. VIII (1839) 38.

Sect. *Vulgares* C. K. Schn.

in Bull. de L'Herbier Beissier V. №7, 7—12 (1905) 660.

Subsect. *Euvulgares* (C. K. Schn.) m. — sub. sect. *Euvulgares* C. K. Schn. in Bull. de L'Herb. Boiss. V. № 7, — 7—12 (1905) 664, p. p.

Folia dentata margine rarius subintegris, in pagina superiore stomatis semper destituti, utringue papillosa. Flores saepius in racemis sat longis numerasi Ovula 1—2, stylus nullus. Fructus saepius laete rubri.

ფოთლები კიდე-წამწამა ეკლისებრ დაკბილული, იშვიათად კიდემთლიანი. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარეზე ბაგეები არასოდეს არ აქვთ განვითარებულნი, ფოთლის ფირფიტა ორივე მხარეზე ხშირი საწოვრებითაა მოფენილი. ყვავილები ჩვეულებრივ გრძელ მრავალყვავილოვან მტკენებადაა შეკრებილი. თესვები 1—2; სვეტი არ აქვს; ნაყოფები კაშკაშა წითელი ფერისაა.

Berberis vulgaris L. Sp. pl. (1753) 330.

— *B. vulgaris* L. var. *orientalis* V. Papava.

Not. Syst. ac. Geogr. Inst. Bot. Jphil. F. 10 (1941) 92. (non. Boiss)

— *B. vulgaris* L. v. *littoralis* Rupr. Fl. Cauc. crit. (1879) 46. — *B. vulgaris* L. var. *euarginata* etuct. fl. cauc. *B. vulgaris* L. var. *brachybotrys* aukt. fl. cauc. (non. Boiss). p. p.—*B. orientalis* auct. fl. cauc. p. p.

ძლიერ დატოტვილი ბუჩქი ორი მეტრის სიმაღლის, ნორჩი ტოტები ნაცრისფერი მოწითალო ან იშვიათად მკრთალი ყვითელია, გლუვი. ზოგჯერ სუსტად დაღარული. ძველი ტოტები ჩვეულებრივ ნაცრისფერისაა. მუხლათაშორისები 2,5 სმ სიგრძისა, ფოთლები მოყვანილობით უტყვევრცხისებრი 4 სმ სიგრძის (ყუნწით) და 2,5 სმ სიგანის, კიდე-წამწამა ეკლისებრ დაკბილული; ნორჩ ტოტებზე ფოთლები მორიგებითაა განწყობილი და ზოგჯერ შორი-შორ დაკბილული ან იშვიათად კიდემთლიანი. შემოკლებულ ყლორტებზე ფოთლები ჯგუფ-ჯგუფად სხედან, ფოთლის ფირფიტა ბლაგვი ან წაწვეტილი, ქვედა ნაწილში სოლისებრი. ძარღვები კარგადაა გამოსახული. ფოთოლი ქვედა მხარეზე უფრო ღია ფერისაა, ეკლები 1,5—2,5 სმ სიგრძის უმეტეს ნაწილად სამად გაყოფილი. ყვავილები 6 სმ სიგრძის 20-დე ყვავილიანი და შემოკლებულ ღეროების ილღებში სხედან. ყვავილები ყვითელია, გარეთა ყვავილისფერის ფოთოლაკები უფრო პატარა ზომისა და მუქი ფერისაა, შიგნითა ყვავილსაფარის ფოთოლა-

კებს ქვედა ნაწილში, მოგრძო მოყვანილობის სანექტრები აქვს განვითარებული. მტერიანები 6, რიგადაა განწყობილი ფოთოლაკების მოპირისპირეთ; სამტერე ძაფი მოკლეა ბრტყელი და წვერზე ორბუდიანი სამტერე აქვს მოთავსებული. მტერის მარცვლი მორგვალო და ყვითელი ფერისაა. ნასკვი მოგრძო ბუტკო მჯდომარეა; ნაყოფი მოგრძო კაშკაშა წითელი ფერის 4 სმ სიგრძის. თესლკვირტი ჩვეულებრივ ერთია (იშვიათად ორი). თესლის ზედაპირი დანაოკებულა. წაბლის ფერი. IV—V.

იზრდება მთელ კავკასიაში მთის შუა და ქვედა ტყის ზონაში.

საერთო გავრცელება: შუა და სამხრეთი ევროპა. ყირიმში—ჩრდილოეთ ანატოლია.

შენიშვნა: სახეობა *B. vulgaris* L.-ს მონათესავე სახეობებია *B. amurensis* Rupr. და *B. japonica* C. K. Schn. სახეობა *B. amurensis* პირველად აღწერილი იყო რუბრესტის მიერ [39] ამურის ოლქიდან, რომელიც ხასიათდება შემდეგი მორფოლოგიური ნიშნებით: ფოთლები სიფრიფანისებრი, განიერი. უკუკვერცხისებრი; კიდე ღრმად დაკბილული. ყვავილენი გრძელი მეჩხერი, ყვავილები მკრთალი ყვითელი ფერის.

უფრო გვიან რეგელმა [34] ეს მცენარე მიიღო, როგორც ერთ-ერთი ეკოლოგიური ტიპი და მოიყვანა იგი *B. vulgaris* L.-ის სახესხვაობად, სახელდობრ *B. vulgaris* L. var. *amurensis* (Rupr.) Reg. შემდეგი კომაროვი [12] სახესხვაობა *var. amurensis* (Rupr.) Reg. იხილავს, როგორც განსაკუთრებულ გეოგრაფიულ რასას და მოყავს იგი როგორც დამოუკიდებელი სახეობა ამურის ოლქისათვის. სახეობა *B. japonica* C. K. Schn. რეგელს [34] მოყავს სახესხვაობის სახით *B. vulgaris* var. *japonica* Regel., რომელიც განსხვავდება სახეობა *B. vulgaris* L.-დან ელიფსური მოყვანილობის ფოთლებით, კიდე დაკბილული ან იშვიათად მთლიანი და უფრო გრძელი ყვავილენით, და მიუთითებს იაპონიისათვის. შნაიდერი გვარ *Berberis* L.-ის მონოგრაფიაში [38], მიზანშეწონილად სთვლის, რეგელის სახეობა აღადგინოს როგორც დამოუკიდებელი სახეობა და რეგელის მოცემული დიაგნოზით მოყავს იაპონიის ფლორისათვის.

ამგვარად, სახეობა *B. vulgaris* L.-ს შემცვლელ სახეობას ამურის ოლქში წარმოადგენს *B. amurensis* Supr., ხოლო იაპონიაში კი — *B. japonica* C. K. Schn.

B. vulgaris L var. *angustifolia* m

Folia coriacea, anguste obovata, acutata, apice mucronata, nervibus valde prominentibus, margine longe subulato—ciliata, spinae validae simplices v. tripartitae.

ფოთლები ტყავისებრი; მოყვანილობით ვიწრო უკუკვერცხისებრი, გრძილად წაწვეტილი, და ბოლოვდება წვეტით. ფოთლის კიდე უფრო მეტადაა წამწამა-ქალებიანი. ეკლები მაგარი და სამად გაყოფილი, იშვიათად მარტივი.

იზრდება მთავარ კავკასიონზე (თერგის ოლქი) მშრალ ფერდობებზედ.

B. vulgaris L. var. *svanetica* m.

Ramuli annotini pallide—luteae, striatae, folia parva, ablongo—ovalia. remote denticulata, Racemi breves. 10—flori. Spinae breves ad lcm longae.

